ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№175 (234) 19-26 ივნისი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ჰილარის ორდღიანი მასტერკლასი ნაცებისა და სააკაშვილისათვის!

ჩამოვიდა ქალბატონი ჰილარი ტომ სოიერის ბიცოლასავით, დაარიგა და დამოძღვრა საქართველოს პოზიცია-ოპოზიცია, მოიარა კავკასია და თურქეთისაკენ გაეშურა.

დაგვიტოვა ინსტრუქციები: როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა ჩავატაროთ არჩევნები, რომელ ხელში უნდა დავიკავოთ ჩანგალი, როგორ შევიკრათ თასმები ფეხსაცმელებზე და ა.შ.

კიდევ ერთხელ შეახსენა ყაჩაღებად ქცეულ ნაცებს და მათ ბელადს, რომ არჩევნები ობიექტურად და გამჭვირვალედ უნდა ჩაატაროთო, მასმედია სახელისუფლებო წნეხიდან უნდა გაანთავისუფლოთო, სასამართლოები მარწუხებიდან უნდა გაანთავისუფლოთო, პროკურატურა და პოლიცია უნდა მოთოკოთო, ციხეებში ხალხი არ უნდა აწამოთო, ადამიანის უფლებები არ უნდა დაარღვიოთო... მაგრამ, როგორც ამბობენ: **“შეაყარე კედელს ცერცვი”**, უფრო სწორად: **“ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო”**, და უცხო რჯულისა და ჯილაგის ანასხლეტი სააკაშვილი და მისი ამფსონები ძველებური შემართებით აგრძელებენ ყაჩაღობასა და ძალადობას!

ალბათ კარგად იციან ამის თაობაზე ამერიკელებმა, ამიტომ, ჰილარის რიტორიკა არ შეცვლილა და მან იგივე საკითხები წამოსწია წინა პლანზე, რაც ორი წლის წინ ვიზიტისას, ოღონდ უფრო მკაცრად და ზუსტად. კარგად იცოდნენ რა ამის თაობაზე, ამერიკის სახელმწიფო მდივანთან ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მისულმა სახელისუფლებო ტელეარხების **“ჟურნალისტებმა”** სათანადო შეკითხვები მოამზადეს.

ტელეარხ “რუსთავი-2”-ის ერთ-ერთმა კორესპონდენტმა კლინტონს პროვოკაციულად ჰკითხა: იცით თუ არა, რომ რუსები სექტემბრის მიწურულისათვის საქართველოს სიახლოვეს სამხედრო წვრთნებს გეგმავენო. არ ვიცი, როგორი პასუხის იმედი ჰქონდა ამ სახელისუფლებო არხის **“ჟურნალისტს”**, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ჰილარი კლინტონმა მშვიდად მიუგო: **“ყველას თავისი საქმე აქვს. რუსები საჭიროდ თვლიან და იმიტომ ატარებენ სამხედრო წვრთნებს. თქვენ კი წინ საპარლამენტო არჩევნები გელოდებათ და სჯობია სათანადოდ მოემზადოთ, რადგან თქვენთვის ახლა უმნიშვნელოვანესი სწორედ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ობიექტურად ჩატარებაა და არა რუსების წვრთნებზე ვაი-ვიშის ატეხვაო”.**

მე კი, ამ საკრალური შეკითხვის მიღმა (რომელიც უცილობლად ხელისუფლების მიერ იყო ნაკარნახევი) სხვა პროვოკაციული ჩანაფიქრი დავინახე, რასაც შემდეგ მოხერხებულად გამოიყენებდა სააკაშვილი იმ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, რომელთაც დღედაღამ უკიჟინებს – რუსების აგენტები ხართო. მე კი, თავად სააკაშვილი მგონია **“სომხეთის რუსეთის”** აგრესიული წრეების აგენტი (**“საქართველოს რუსეთი”** ჯერ ურია შევარდნაძემ მოასუსტა თავისი გველური პოლიტიკით, სომეხმა სააკაშვილმა კი იგი საერთოდ გაანადგურა) და თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

მართლაც ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს სომხეთის რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ გამოცხადებული წვრთნები და პარლამენტის არჩევნები. ეჭვი ფრიად საძრახისი საქმეა, მაგრამ როცა საეჭვო ფაქტები ერთმანეთს ემთხვევა, იქ უკვე საეჭვო და საჭოჭმანო არაფერია.

სწორედ სააკაშვილმა მიჰყიდა მის მიერ საქართველოს დაუძინებელ მტრად შერაცხულ რუსებს საქართველოს თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი – დაწყებული **“ენგურჰესით”** და დამთავრებული მადნეულის გადამამუშავებელი კომპლექსით.

სწორედ სააკაშვილმა დაიწყო 2008 წლის აგვისტოში ომი რუსების წინააღმდეგ, ისედაც დაკარგულ ტერიტორიებს კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი წაუმატა და, რაც მთავარია, რუსები აიძულა, რომ ედიარებინათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა. დღეს კი აფხაზეთში მხოლოდ გალის რაიონში ცხოვრობს სამოცი ათასამდე ქართველი, სამაგიეროდ, აფხაზეთში 80 ათასი სომეხი ცხოვრობს და მათი რიცხვი განუხრელად იზრდება.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის შემდეგ, ბუნებრივია, შეწყდა ნაბუკოს გაზსადენის მშენებლობა, რომელსაც შეეძლო საქართველოსათვის მხოლოდ გაზის ტრანზიტით უფასოდ მოეტანა ერთი მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. გაზსადენის მშენებლობა შეწყდა, რადგან სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედების წყალობით საქართველო მაღალი რისკის ზონად გამოცხადდა, ასეთ ზონებში კი არცერთი სერიოზული ინვესტორი ფულს არ ჩადებს.

ახლა გეკითხებით, არის თუ არა სააკაშვილი **„სომხეთის რუსეთის“** აგენტი?

კარგად იციან ეს ამერიკელებმა და ალბათ ამიტომაც ჩამოვიდა ქალბატონი ჰილარი ბიცოლა, რომ მიშა გაეფრთხილებინა: **“პრეზიდენტობის ვადაც გაგვიდა და პოლიტიკური ყავლიც და ამიტომ გიჯობს წასასვლელად მოემზადოო”.** მაგრამ მიშას და მის გარემოცვას იმდენი საშინელი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ ხელისუფლების დაკარგვა მათ სამუდამო პატიმრობაში გასტუმრებას ნიშნავს!

ამიტომაც მიდიან ისინი ყოველგვარ პროვოკაციაზე, რომლის დასტურიც გახლავთ **“რუსთავი-2”**-ის კორესპონდენტის ზემოდხსენებული შეკითხვა, რაზედაც სააკაშვილს ალბათ იმედი ჰქონდა, რომ კლინტონი რუსეთს უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდა, მისგან მტრის ხატს შექმნიდა და საქართველოსათვის საფრთხის შემცველად გამოაცხადებდა.

ეს კი ხელს გაუხსნიდა სააკაშვილს, რომ ტერორი დაეწესებინა იმ ოპოზიციური ძალებზე, რომელიც მართლაც საფრთხის შემცველია ნაციონალებისათვის

მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში სააკიანს და მის ამფსონებს, რადგან ჰილარმა დაუფარავად უთხრა: **რუსები თავიანთ საქმეს მიხედავენ, თქვენ კი თქვენს საქმეს მიხედეთო!**

იმას კი რატომღაც არავინ უფიქრდება, რომ ამერიკელებს საქართველოც ფეხებზე ჰკიდიათ, სომხეთიც და აზერბაიჯანიც, რადგან მათ უკვე დიდი ხანია ჰყავთ კავკასიასა და მცირე აზიაში საიმედო პარტნიორი – თურქეთი, რომელიც, სწორედ სააკაშვილის წყალობით, თანდათან ყლაპავს საქართველოს. ამერიკელებს ირანის ნავთობი აინტერესებთ, რადგან მსოფლიოში ენერგომატარებლების რაოდენობის ორმოცდაათი წლის მარაგი თუ არის დარჩენილი. ამიტომაც **“ჩალიჩობენ”** ამერიკელები, რომ, ბირთვული იარაღის შექმნის მომიზეზებით, სამხედრო დარტყმა მიაყენონ ირანს და მის ბუნებრივ სიმდიდრეებს დაეპატრონონ.

ამერიკელთა გაღიზიანებას რუსეთის მდგრადი პოზიციაც იწვევს ირანსა და სირიასთან დამოკიდებულებაში. რუსეთმა, რომელიც, რამდენიმე წლის წინათ, ჯერ გორბაჩოვის, შემდეგ კი ელცინის გამყიდველური ქმედებების შედეგად სულს ღაფავდა როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად, დღეს, სწორედაც რომ ვლადიმერ პუტინის წყალობით, კვლავ დაიბრუნა მსოფლიო გეოპოლიტიკის უძლიერესი პოლიტიკური მოთამაშის სტატუსი. მაგრამ რუსებმა არც ის უნდა დაივიწყონ, რომ კავკასიაში მაშინ იდგნენ მყარად ფეხზე, როცა საქართველოში იდგნენ მყარად. ამისათვის რუსებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ ველიჩკოს **“კავკასია”** და რუს შემოქმედთა სხვა ნაწარმოებები. დღეს კი, რუსების პოზიციები შესამჩნევად შერყეულია კავკასიაში იმის გამო, რომ სომხებზე აკეთებენ აქცენტს. სომხებს კი, არასოდეს გააჩნდათ სერიოზული ავტორიტეტი კავკასიაში და არც დღეს გააჩნიათ.

სომხები მანამ ეფინებიან ფიანდაზად რუსებს, ვიდრე ისინი სჭირდებათ თავიანთი მზაკვრული ჩანაფიქრების სარეალიზაციოდ – კერძოდ, ვიდრე რუსების ხელით ჯავახეთსაც ისევე არ წაგვართმევენ, როგორც აფხაზეთი წაგვართვეს, შემდეგ კი ისინი რუსებს დაუნანებლად **“დაიქნევენ”**.

რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს?

სომხებს რამდენიმე მილიარდერი ჰყავთ, მაგრამ ყველანი ამერიკაში ცხოვრობენ და იქ შოულობენ ფულს. როგორ ფიქრობთ, ამერიკაში მცხოვრები სომხები რაიმე სასიკეთოს ჩაიფიქრებენ იმ რუსეთის მიმართ, რომელმაც დღეს კვლავ ორპოლუსიანად პოლიტიკურ სამყაროდ გადააქცია მსოფლიო და ხელს უშლის ავადსახსენებელი **“ოქროს მილიარდის”** შემომქმედი ამერიკის შეერთებული შტატების მთელ პლანეტაზე გაბატონებას, რის მწარე შედეგებსაც დღეს საქართველო იმკის.

მაგრამ ჯერჯერობით მაინც **“სომხეთის რუსეთი”** მძლავრობს და დაუნდობლად ებრძვის გასანადგურებლად მიზანში ამოღებულ საქართველოს. ჩვენთან ერთად ხომ საბჭოთა კავშირის ყოფილმა ცამეტმა რესპუბლიკამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რუსებმა კი მხოლოდ ჩვენ მოგვიძულეს!

სწორედ ეს გახლავთ **“სომხების რუსეთის”** და გაქართველებული სომხების ვერაგული გეგმის ნაყოფი, რაც გულისხმობს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურად დაშრეტას და სომხეთის გაძლიერებას.

ჰილარი კლინტონმა გულიანად (ალბათ – მამაკაცურადაც) გადაიხარხარა, როცა იუსტიციის სახლში მისულს ქართული პასპორტი გადასცეს. ეს ალბათ ის პასპორტი გახლდათ, რომელიც ხელისუფლებას ბატონ ბიძინა ივანიშვილისავის უნდა გადაეცა, მაგრამ გიჟი რისი გიჟია, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც რაიმე სიგიჟე თუ არ ჩაიდინა. იცის რა ჰილარი კლინტონმა მიშას ეს თვისება, კარგა ხანი აკვირდებოდა ქართულ პასპორტს – იქნებ საქართველოს **“ხაზეინ”** ნაცებს რაღაც შეეშალათ და ვაი-თუ პასპორტში ჩემი კი არა, ბიძინა ივანიშვილის სურათია ჩაკრულიო!

როგორც ჩანს, სააკაშვილმა რაღაცაში ვერ აუწყო ამ ავანტიურაში ფეხი ამერიკელებს და ამიტომაც მიანიშნებენ მას პოლიტიკიდან წასვლაზე. მაგრამ დიდ ფულს დახარბებული სომეხი სააკაშვილი ის ჩიტი არ არის, რომ პოსტი და მასთან დაკავშირებული ვეებერთელა შემოსავლები დაუნანებლად დათმოს. ამიტომაც გააკეთა სააკაშვილმა მართლაც თავხედური განცხადება: **“ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალებმა უეჭველად გაიმარჯვონო”!**

“ყველაფერს გავაკეთებ” კი გულისხმობს დაუფარავ ყაჩაღობას, უდანაშაულო ადამიანების დაუნდობლად ცემას და დაპატიმრებებს, სახელისუფლებო რესურსების თავხედურად გამოყენებას, პოლიტიკური ოპონენტების დაწიოკებას, მათზე ზემოქმედებისათვის კონსტიტუციის შანტაჟურად გამოყენებას, მასმედიის მაქსიმალურად შებოჭვას და სხვა უამრავ საზიზღრობებს...

P.S. როცა, 1893 წელს, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ მეორეს კორონაცია შედგა მოსკოვის გარეუბან ხოდინკაში, უწესრიგობით გამოწვეულ მასობრივ არეულობასა და ჭყლეტას სამასამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. როცა ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახის წევრები დაუნდობლად დახვრიტეს მასონმა-ბოლშევიკებმა ამჟამინდელი სვერდლოვის ოლქში, მაშინაც გამოჩნდნენ ცინიკოსები, რომლებიც ამბობდნენ: “ნიკოლოზ რომანოვმა ხოდინკით დაიწყო და ხოდინკით დაამთავრაო”!

მიხეილ სააკაშვილიც იმდენს იზამს, რომ ავადსახსენებელი, ედუარდ შევარდნაძის მიერ უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლ “ვარდების რევოლუციით” დაწყებულ ანტიქართულ საქმეს გამძვინვარებული ქართველი ხალხის მიერ აგორებულ ნამდვილი რევოლუციით დაამთავრებს, რაც უდავოდ მომაკვდინებელი იქნება არა მხოლოდ სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, არამედ სრულიად საქართველოსათვის!

განა ჩვენი დაუძინებელი მტრებიც ამის მოლოდინში არ არიან?

კლინტონის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ ხალხს ეგონა, რომ ნაცები მეტნაკლებად ობიექტურ წინასაარჩევნო გარემოს შექმნიდნენ საქართველოში, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა – იმის მომიზეზებით, რომ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს რადიომიმღებები ჩართული აქვთ და მგზავრებს მხოლოდ ოპოზიციურ რადიოარხებს “მაესტროსა” და “ფორტუნას” ასმენინებენო, ერთ საღამოს სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს უბრძანეს პარკში დაყენებული მანქანების კარები არ დაკეტოთო, დილით მისულ მძღოლებს კი რადიომიმღებები გათიშული დახვდათ! ახლა კი იქამდეც გათავხედდნენ, რომ მთავარ პოლიტიკურ მეტოქეს ბიძინა ივანიშვილს – დაპატიმრებას, მის პოლიტიკურ პარტიას კი გაუქმებას უპირებენ!

როცა ხელისუფლებას ხალხის გულის მოსაგებად მისი დაყრუების მეტი სხვა გზა აღარ რჩება, იგი მართლაც განწირულია პოლიტიკურ სანაგვეზე გადაგდებისათვის!

ხალხმა ბევრი უმსგავსოება მოითმინა სააკაშვილისა და მისი გარემოცვისაგან, მაგრამ ეს მოთმინების ძაფიც ალბათ მალე გაწყდება და ხალხი თუ ქუჩაში გამოვიდა, სააკაშვილს შეიძლება ეგვიპტელი დიქტატორის ჰოსნი მუბარაქის ბედიც კი სანატრელი გაუხდეს!

ბიძინა ივანიშვილი – „ქურდული მენტალიტეტი არასოდეს დაბრუნდება, მაგრამ ისინი არც ქურდად მომჯდარმა ხელისუფალმა უნდა ჩაანაცვლოს“

„ვეღარავინ შეძლებს ჩვენს შეჩერებას, ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია“, – ამ სიტყვებით მიმართა კოალიცია **„ქართული ოცნების“** ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ქუთაისში შეკრებილ ათასობით მხარდამჭერს.

მისი განცხადებით, მალე **„ქართული ოცნება“** მთელს ქვეყანას დააყენებს ფეხზე, ისევე, როგორც დღეს დგას ქუთაისი და 27 მაისს იდგა თბილისი. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, 27 მაისს თბილისმა ხმამაღლა უთხრა ხელისუფლებას: არა უსამართლობას! არა სიცრუეს! დღეს კი იგივეს ამბობს თბილისი.

„დღეს აქ, ქუთაისში ვდებთ პირობას, რომ ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოსთვის, ჩვენი უფლებებისთვის, ჩვენი ოჯახისთვის. დღეიდან ჩვენ ყველანი თანამებრძოლები ვართ“, – განაცხადა **„ქართული ოცნების“** ლიდერმა.

ივანიშვილი მხარდამჭერებს დაჰპირდა, რომ ამ ბრძოლაში ბოლომდე იდგება მათთან ერთად გამარჯვებამდე. მისი თქმით, მათ უნდა დაანახონ ხელისუფლებას და მთელ მსოფლიოს, რომ საქართველო იყო და ისევ იქნება ქვეყანა, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილია.

აქციის მონაწილეებმა ახალი პარლამენტის მშენებლობაზე რამდენიმე დღის წინ დაღუპული რეზო ნებიერიძის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

ამ თხოვნით მათ კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მიმართა. მან დაღუპულის ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა. ივანიშვილის განცხადებით, ის აკვიატებული იდეები, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი თავის გარშემო თესავს და რომელიც მრავალწლიანი პროექტების რამდენიმე საათში აშენებას გულისხმობს, ყოველთვის ასეთი შედეგით დასრულდება.

„სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი ტრაგედია“, – დასძინა მან და ახალი პარლამენტის ადგილზე დიდების მემორიალის აფეთქების დროს დედა-შვილის ტრაგიკულად დაღუპვის ფაქტიც გაიხსენა.

ქუთაისის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთი დამხმარე ნაგებობის ხარაჩოს ჩამონგრევისას 7 ივნისს რეზო ნებიერიძე დაიღუპა. აღნიშნულის გამო სამართალდამცველებმა სამშენებლო კომპანიის საქმის მწარმოებელი დავით ქავთარაძე დააკავეს. პროკურატურის განცხადებით, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე, ადმინისტრაციული შენობების მიმდებარედ არსებულ მშენებლობაზე, სამშენებლო კომპანიის თანამშრომლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული შენებლო კომპანიის თანამშრომლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობისას დადგინდა, რომ მშენებლობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა, სამშენებლო კომპანიის საქმის მწარმოებელმა დავით ქავთარაძემ არ უზრუნველყო უსაფრთხოების წესების დაცვა. ამის გამო კი, 2012 წლის 7 ივნისს ჩამონგრეული სამშენებლო ხარაჩოს ქვეშ მოჰყვა და მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა სამშენებლო კომპანიის თანამშრომელი რეზო ნებიერიძე.

პროკურატურის ცნობითვე, 2012 წლის 9 ივნისს დავით ქავთარაძე ბრალდებულად იქნა ცნობილი დანაშაულისთვის, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილი. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სასჯელს უსაფრთხოების წესის დარღვევისთვის სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ეს ქმედება ისჯება თავისუფლების შეზღუდვით, ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ივანიშვილი სასამართლოსა და პოლიციის ზეწოლისგან და დაკვეთებისგან გათავისუფლების პირობას იძლევა.

როგორც მან აქციაზე განაცხადა, ყველა პრობლემის მოგვარება ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება. მისი თქმით, პირველ რიგში ხალხს უსამართლობა აწუხებს – ხალხი სამართალს ვერ პოულობს, რადგან ამ ხელისუფლების ნაქები სასამართლო რეფორმა ჩავარდნილია და მეტიც, ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს სასამართლო.

„პრეზიდენტის ხელში მორჩილი სასამართლო ქვეყნის მართვის, ხალხის დათრგუნვისა და დაშინების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. ასე სამართლებრივი სახელმწიფო ვერ აშენდება“, – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ მისი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მისი გუნდი სასამართლოს ყოველგვარი წნეხისგან გაათავისუფლებს და მოსამართლე კანონის უზენაესობით იმოქმედებს და არა პროკურორის მითითებით. **„ამას სჭირდება პოლიტიკური ნება და არა ბიუჯეტი და ინვესტიციები“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

ასევე, ბიძინა ივანიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მისი გუნდი პოლიციას პოლიტიკური დაკვეთებისგან გაათავისუფლებს. **„ის შეასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას და იქნება ქვეყნისა და ხალხის სამსახურში“,** – აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა იმერეთში კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა.

ივანიშვილის განცხადებით, ქუთაისში კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გუბაზ სანიკიძე იქნება; ბაღდადში – არჩილ კბილაშვილი; სამტრედიაში –კახა კალაძე; ზესტაფონში – გოგი ქავთარაძე; ტყიბულში – ელისო ჩაფიძე; ხარაგაულში – ნოდარ ებანოიძე.

ბიძინა ივანიშვილმა ყველას მოუწოდა, აქტიურად ჩაერთონ წინასაარჩევნო მუშაობაში.

„თუ ვინმეს ჰგონია, რომ წარსულის გადახაზვით შეიძლება აწმყოს განდიდება, ძალიან მწარედ ცდება“, – განაცხადა მან.

ივანიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა მიხეილ სააკაშვილის მიდგომები **„ვარდების რევოლუციის“** შემდგომი და მანამდელი საქართველოს მიმართ. მისი თქმით, 8 წელია საზოგადოებას ესმის, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან დაიწყო.

„თითქოს სააკაშვილმა ნულიდან დაიწყო ქვეყნის მშენებლობა და თუ აქამდე რამე იყო, ყველაფერი იყო ცუდი, ჩამორჩენილი და დრომოჭმული; ისეთი სურათი იხატება, თითქოს ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს წარსულის ან საერთოდ უარი უნდა ვთქვათ მასზე... საკუთარი წარსულის არ მცოდნე ხალხი, თავისი სახელისა და გვარის არმცოდნე ადამიანს ჰგავს – თუ არ იცი ვინ იყავი, ვერც იმას გაიგებ, ვინ ხარ და ვინ იქნები“, – აღნიშნა **„ქართული ოცნების“** ლიდერმა.

ამის გათვალისწინებით, აქციაზე ივანიშვილმა გაიხსენა ქუთაისის, როგორც სატახტო ქალაქის ღვაწლი, რომელიც მას საქართველოს ისტორიაში მიუძღვის.

მისი თქმით, წესრიგი მოაქვს სამართალს და სამართლიანობას, უსამართლობისა და ძალმომრეობით დამყარებულ წესრიგში კი, ერთ მოძალადეს მეორე ცვლის. ივანიშვილის განცხადებით, ქუთაისი ის ქალაქია, სადაც ხალხმა საკუთარ თავზე გამოსცადა, თუ რას ნიშნავს კრიმინალებისა და კანონიერი ქურდების მიერ დამყარებული წესრიგი. მან **„სრული პასუხისმგებლობით“** განაცხადა, რომ ეს დრო არც ქუთაისში და არც საქართველოში, აღარასოდეს დაბრუნდება.

„ჩვენ არც იმას დავუშვებთ, რომ „კანონიერი ქურდი“ ქურდად მომჯდარმა ხელისუფალმა ჩაანაცვლოს“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და დასძინა, რომ კრიმინალების დროს პატიოსან მოქალაქეს იმის იმედი მაინც რჩება, რომ სახელმწიფო მოძლიერდება და აღკვეთავს უკანონობას, მაგრამ როცა სახელმწიფო იქცევა როგორც ავაზაკთა ბანდა, გაცილებით საშიში და დამანგრეველია ქვეყნისთვის.

„დიახ, ჩვენ მოვალთ და დავამყარებთ წესრიგს და ეს წესრიგი იქნება დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობაზე და ადამიანის ღირსებაზე დამყარებული წესრიგი“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კოალიცია **„ქართულ ოცნებას“** დაგეგმილი აქვს ააღორძინოს ქართული სოფელი, რისთვისაც საგანგებოდ დაფუძნდება ერთმილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობაში პირველი ეტაპის ინვესტირებისთვის იქნება განკუთვნილი.

ივანიშვილის თქმით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი საბიუჯეტო პრიორიტეტები იქნება ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა.

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, საქართველოში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ აღორძინდეს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა – იდეალური კლიმატური პირობებია, ბევრია სავარგული მიწა და სამუშაო ძალა. **„ქართული ოცნების“** ლიდერის აზრით, ის, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა ფაქტობრივად განადგურებულია, ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია.

„ჩვენ რადიკალურად შევცვლით არსებულ პოლიტიკას. საქართველოში აღარ იქნება მოუხნავი სავარგულები, ჩვენ ამას აუცილებლად შევძლებთ. არავის მივაყენებთ 20-ლარიანი ვაუჩერებით შეურაცხყოფას, რადგან ზუსტად ვიცით – ეს არ არის რეალური დახმარება, ეს ხალხის მოტყუებაა, დაცინვაა, ხოლო შედეგი, გაღატაკებული სოფელი და უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი, მდარე ხარისხის პროდუქტია“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე ცნობით, სოფლის განვითარების გეგმის თანახმად, შეიქმნება ათი ათასობით სამუშაო ადგილი, დახმარება გაეწევა სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ, თვითდასაქმებულ მოქალაქეებს.

ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკა საღ აზრს მოკლებული კაცის ხელშია, ეკონომიკა და ბიზნესი ვერ განვითარდება.

როგორც კოალიცია **„ქართული ოცნების“** ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ქუთაისის აქციაზე განაცხადა, ყოველთვის ცდილობდა, რომ რამდენადაც შეეძლო დახმარებოდა საქართველოს და მის ხალხს. თუმცა, შემდეგ დარწმუნდა, რომ რაც არ უნდა ბევრი ფული გქონდეს, რამდენ ადამიანსაც არ უნდა გაუმართო ხელი, ასობით ისტორიული შენობაც რომ აღადგინო და შეაკეთო, ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობას საგრძნობლად მაინც ვერ შეცვლი.

მისი თქმით, ყოველთვის ფიქრობდა, რომ ქვეყნისა და ადამიანის კეთილდღეობისთვის ყველაზე მთავარი ეკონომიკა და ბიზნესი იყო, ბოლო დროის გამოცდილებამ კი დაარწმუნა, რომ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკა ერთი, საღ აზრს მოკლებული კაცის ხელშია, ვერც ეკონომიკა და ბიზნესი განვითარდება და ვერც ქვეყანა შეიცვლება უკეთესობისკენ. ივანიშვილის განმარტებით, სწორედ ამან გადააწყვეტინა პოლიტიკაში წასვლა.

„ჩვენ მიგვაჩვიეს იმ აზრს, რომ პოლიტიკა თითქოს ბინძური საქმეა, რომ პოლიტიკა უპრინციპო გარიგების ასპარეზია. უნდა ითქვას, რომ ამ აზრის დამკვიდრებაში თავად პოლიტიკოსებსაც დიდი წვლილი მიუძღვით. მაგრამ მჯერა, რომ არსებობს პრინციპული პოლიტიკა, ღირსეული პოლიტიკა, გააზრებული, პრაგმატული პოლიტიკა, რომელსაც წესიერი ადამიანები ქმნიან. და ჩვენ დავამკვიდრებთ ასეთ პოლიტიკას. ჩვენ ამას შევძლებთ!“, – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ მას ამის სჯერა და სწორედ ამიტომ მოვიდა პოლიტიკაში.

მისივე განცხადებით, სწორედ პოლიტიკამ მისცა მას ხალხისთვის გულის გადაშლის საშუალება და ამიტომ დღევანდელი დღის მადლიერია. **„პოლიტიკა რომ არა, ალბათ, ვერასოდეს გავბედავდი ამდენი ხალხის წინაშე გამოსვლას და იმის თქმას, რომ უზომოდ მიყვარს ჩემი ხალხი, ჩვენი სამშობლო! კარგად ვიცი, რომ ერთბაშად ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც ჩვენს ხალხს აწუხებს, შეუძლებელია, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება“,** – დასძინა ბიძინა ივანიშვილმა.

ქუთაისის აქციას 55 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა

ქუთაისის აქციას 55 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა – **IPN**-მა მონაცემები **google map**-ის სპეციალური პროგრამით დათვალა.

საერთაშორისო მედიაში აღიარებული სტანდარტების მიხედვით, მანიფესტაციაზე ხალხის რაოდენობა შემდეგი წესით ითვლება: **google map**-ის სპეციალური პროგრამის მეშვეობით გაიზომა **„ქართული ოცნების“** მიერ ორგანიზებული აქციის ტერიტორია.

ფართობი პირობითად 4 ნაწილად დაიყო. თითოეულ ნაწილზე ხალხის სიმჭიდროვე განსხვავებული იყო. ყველაზე მჭიდროდ ხალხი ტრიბუნის წინ მოედანზე იდგა, მათ შორის გარშემო არსებულ გამწვანებაშიც. დაახლოებით 8000 კვადრატულ მეტრ ფართობზე კვადრატულ მეტრზე 4 კაცის დაანგარიშებით 32 000 მომიტინგე იდგა.

ტრიბუნის უკან მდებარე მრავალსაფეხურიანი კიბის ფართობი დაახლოებით 1000 კვადრატული მეტრია. აქ საშუალო სიმჭიდროვე იყო – კვადრატულ მეტრზე 2 ადამიანი, დაახლოებით 2000 კაცამდე. მოედნის გაგრძელებაზე, აღმაშენებლის გამზირზე მაღალი სიმჭიდროვე იყო. მთლიანობაში დაახლოებით 3500 კვადრატულ მეტრ ფართობზე, კვადრატულ მეტრზე, წინა ნაწილში 4 და მეორეში 3 კაცის დაანგარიშებით დაახლოებით 12.000 ადამიანი იდგა.

აქციაზე მოსული ხალხი იდგა აღმაშენებლის გამზირისა და წერეთლის ქუჩის გადაკვეთაზეც. დაახლოებით 3000 კვადრატულ მეტრი ფართობის ნახევარზე მაღალი სიმჭიდროვე იყო. დაახლოებით 6000 კაცი. ხოლო მეორე ნახევარზე მეტი სიხალვათე შეინიშნებოდა – დაახლოებით 3000 კაცი.

შესაბამისად, საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 10 ივნისის აქციაზე 18.00 საათისთვის მომიტინგეთა რაოდენობა ქუთაისში დაახლოებით 55.000-ს შეადგენდა.

თუ როგორ ხდება მომიტინგეთა რაოდენობის დათვლა, შესაბამის ვიდეომასალას უახლოეს ხანში მედიასაშუალებები შემოგთავაზებენ.

საქართველოს უცნობი ფრესკები

რაჭაში, ნიკორწმინდის ტაძარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებისას დღემდე უცნობი ფრესკები აღმოაჩინეს. ტაძრის ქტიტორთა, ადგილობრივ ფეოდალთა და მთავარანგელოზ მიქაელის გამოსახულებას მეცნიერებმა ჭვარტლით დაფარულ კარიბჭეებში მიაკვლიეს.

ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, რომ ნიკორწმინდის ტაძარი ვინმე ჯავახაძეს მოუხატვინებია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ნიკორწმინდის ახალაღმოჩენილი ფრესკული მხატვრობის ნიმუშები ჩვენი წელთაღრიცხვის XVI საუკუნეს განეკუთვნება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, ნიკა ვაჩეიშვილის განცხადებით, ამ აღმოჩენის შემდეგ ცნობილი გახდა ორი ფეოდალური გვარი, რომელიც XVI საუკუნეში ტაძრის აღდგენაში მონაწილეობდა. ფრესკებზე გამოსახულია ქტიტორთა მთელი ოჯახი. აქვეა მხატვრის წარწერა, შესრულებული ასომთავრულით: **„შენდობა ბრძანეთ და ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენაც შეგინდოთ ღმერთმა“.**

ნიკორწმინდის სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელი, საერთაშორისო პრემიის **„ნოსტრას“** მფლობელი, ცნობილი ქართველი რესტავრატორი ბატონი გურამ ჭეიშვილი ამბობს, რომ კარიბჭის მხატვრობა, სადაც მეცნიერებმა უნიკალურ ფრესკებს მიაკვლიეს, სრულიად შეჭვარტლული იყო და მცირე ორნამენტული ზოლების გარდა არაფერი ჩანდა.

„ამ ორნამენტებზე დაკვირვების შემდეგ საცდელი მონაკვეთები მოვნიშნეთ და მხატვრობის კვალი აღმოვაჩინეთ. ამის შემდეგ დასავლეთის კარიბჭის გაწმენდა დავიწყეთ და ეს პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. ქტიტორთა გამოსახულებებთან მოხსენიებულია ორი გვარი, ჯავახაძეები და წულუკიძეები“, – ამბობს გურამ ჭეიშვილი.

„ნიკორწმინდის ტაძრის უმდიდრეს ინტერიერში ძველი მოხატულობის სულ ახალი ფენები ჩნდება. ეს მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენაა. მხატვრობის ნიმუშების კონსერვაცია წლეულს, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად განხორციელდება“, – მიიჩნევს ნიკა ვაჩეიშვილი.

ნიკორწმინდის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარეობს. ამ დროისთვის უკვე განხორციელდა ტაძრის გამაგრებითი სამუშაოები და გადახურვა. ნიკორწმინდის იმ ფრესკების კონსერვაციის I ეტაპი კი, რომლებიც რთულ მდგომარეობაშია, 2010 წელს დაიწყო. ექსპედიცია ამ ეტაპზე ტაძრის დასავლეთ მკლავის, გუმბათსა და საკურთხეველში არსებული ფრესკების გადარჩენაზე მუშაობს. ეს სამუშაოები აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება.

სარეაბილიტაციო და კონსერვაციის სამუშაოების გარდა, ნიკორწმინდის ტაძრის ტერიტორიაზე, წყლის გადამყვანი სისტემებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

პროექტს სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები ახორციელებენ.

ნიკორწმინდის ტაძარი 1010-1014 წლებში ააგეს. სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები კი მოგვიანებით მიაშენეს. 1534 წელს ტაძარი იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს განუახლებია. ტაძრის შიგნითა ფრესკებიც ამავე პერიოდისაა.

ნიკორწმინდის ფასადები და ეკვდერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: წმინდანთა გამოსახულებებით, მრავალფიგურიანი სცენებით **(„ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვრის ამაღლება“),** რეალური და მისტიკური ცხოველებით, რომლებიც ლაღად და ზუსტად ზის ერთიან სილუეტში.

ნ. ჯაშარიძე

ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

მენცარ კოჩ ანდამატის – ძაძამია მამანტის!

რჩქინათ, სარკო ცხვანტალით
ირკოჩ ართო გაკვირ:
გერგებულ ჯგირ ნახანდით
შისრულ ჯვეშ დანაპირ.
მარგალურ მუ ნინა რენ,
ირ ქიანას გაგმარჩქინ,
ჩიებაშ გოჭყაშ რჩქინაშენით
არძა მენცარს სი დარჯგინ.
პროფესორ, აკადემიკოს
ბრელ დიხას რექ მიღებულ,
ნოტე, ხოლო ქომუჩან
თქვანცალეფ, ჩინებულ.
ჯღირჯშენ ბრელ მეჩით მარა,
მაბირე ზესქვ მეტ ქოშინე,
ღორონთიშ გუნარჩქინა რე,
მაფშალიაცალ ორჩქილე.
წიგნეფ ეცალ ოცქვაფურ,
შხვას მეტ მის აჭარე?!.
თენეფ, მისით ვამოწონსინ,
ნირგა რე, უაიჭარე.
ენა შქვით ტომ... შხვეფ უჯგუშ,
მემხვამუდან ხოლო ბრელ,
უბადო დარლიებუდან დო
მორძინუდან მარგებელ.
იფრელ ჯგირს მეიძალა,
ღორონთქ გუგორძინუას,
სამარგალოშ გურმოჭავეთ
დიდ ხანს დუგორინუას!

ანზორ ბარამია,
ზუგდიდი

სამაგიდო გაზეთ “ილორის” რედაქციას

წმინდა გიორგის მადლი შეგეწიოთ!

ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პუბლიკაციებზე წლების მანძილზე დაკვირვების შედეგად მტკიცდება აზრი, რომ ის ქართულ სინამდვილეში წარმოადგენს ერის უდიდეს მესაიდუმლეს, რომელსაც მოვლენათა განვითარებაზე ობიექტური, სწორი შეხედულებები გააჩნია. მისი პროგნოზები და დასკვნები მართებულია. ურთულეს მოვლენებზე მსჯელობა მიმზიდველი, ლოგიკური და ნათელია. უმწვავეს საკითხებზე ყველასათვის გასაგებად და მოზომილად აკეთებს ანალიზს. უხეშობა და ღვარძლი გამორიცხულია, რაც დღეს იშვიათობაა. ყოველი სიტყვა და ფრაზა ტაქტიანი და წონადია, დებს კონკრეტულ ანალიზს, ისე კი არა, მავანნი ერთ ვაგონ სიტყვას დაახვავებენ, აზრი კი ძალიან მქისეა, ან სრულიადაც არ არის.

ბატონ ალექსანდრეს ინტერვიუების სერია, რომელიც ერისათვის სასურველ გაზეთ “საქართველო და მსოფლიოში” გამოქვეყნდა, როგორც ყველა მისი ნაშრომი, უდიდეს მოწონებას იმსახურებს. ეს არის ერის ბედზე დამაშვრალი კაცის ნაღვაწი, ილიასეული ბრძნული მსჯელობის უბადლო ნიმუში.

ვარ ოჩამჩირელი, მეცხრე ათეულს შეჭიდებული კაცი. ბატონ ალექსანდრეს მამას, ნეტარხსენებულ ხუტას (ალექსანდრეს) ახლოს ვიცნობდი. მაგონდება ბევრი მისი ნაკარგკაცარი, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, მახვილგონიერება. ეს ლამაზი კაცი იყო ნაღდი კოლხი. ბაბუაზეც ბევრი კარგი გამიგია. ოქუმელ ივ. გეგიასთან ერთად საერო საქმეს იყო შეჭიდებული. თანამშრომლობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ხსნიდნენ სკოლებსა და სამკითხველოებს აფხაზეთში.

ბატონი ალექსანდრე წარმოსდგება მაღალინტელექტუალური წრიდან, ბუნებრივია, მისი ფართო თვალსაწიერი მოდის ფუძეძლიერი გენებიდან. მის წინაპრებთან ახლობლობა მაძლევს უფლებას ვთხოვო მას “კოალიცია – ქართულ ოცნებასთან” სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” შეკავშირება, რაც იქნება საწინდარი (მე ასე მჯერა) კოალიციაში “სახალხო კრების”, “ქართული აკადემიის”, ასევე ქართულ ეროვნულ ძალთა გაერთიანებისა. ასეთი ერთობა შექმნის მყარ ნიადაგს ეროვნული საქმეების ჭეშმარიტად კეთებისათვის, რაც ნებისმიერ ანტიქართულ ძალებს დამამშვიდებელ პერანგს ჩააცმევს.

იქნებ არსებობს კიდეც არა არსებითი სხვაობები ამ გაერთიანებათა შეხედულებებში, ერთიანი ძალისხმევით კი გონიერი ერისკაცები აზრთა ამ სხვაობას დაძლევენ. მთავარია სტრატეგიული მიზნის ერთობა, ხოლო ტაქტიკური აბრაკადაბრები დაძლევადია.

ერთი საყოველთაოდ ცნობილი პრეცედენტი მინდა მოვიხმო: 1941 წელს კაცობრიობის გენიამ – სტალინმა სამხედრო და პოლიტიკური კავშირი შეკრა მისთვის სრულიად მიუღებელ პერსონებთან – გონიერ მტრებთან, რათა ცოფიანი მტერი დაემარცხებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფაშიზმი თავისი “სამკუთხედით” მსოფლიოს წარღვნით ემუქრებოდა. და ეს რეალობა იყო. შედეგი ისტორიის ანალებში დიდი ასოებით აღინუსხა. ეს იყო დიდი ტაქტიკური სიბრძნე, რომელიც დიდ საქმეს შეჭიდებულმა ყველა გონიერმა მებრძოლმა დროშად უნდა აიტაცოს. ვგულისხმობ ბატონებს ბიძინას, ალექსანდრეს, ნონას, ნინოს, თეიმურაზს და მათ ტოლ ერისკაცებს. გაერთიანება ხელსაყრელი გარიგება კი არ არის, ესაა ერის შეკვეთა და თუ ერისკაცობაზე აცხადებ პრეტენზიას, მაშინ ერის ხმას უნდა მიაყურადო.

საუბარია ერისკაცებზე და არა იმათზე, ვინც საკუთარი მონუმენტისათვის იბრძვის და ამით ერის მონუმენტს ანგრევს, არამედ საუბარია XXI საუკუნის ცოტნეებზე. თუ მავანი კარიერისტი და “თავად ხოვანსკის სარეკომენდაციო ბარათის” (გოგოლი) მოყვარულია, ჩათვალეთ, რომ ასეთი შვილი გინდ გყოლია და გინდ არა! გათითოკაცება ანგრევს საქართველოს, გაერთიანება ადვილი არაა, მაგრამ პატრიოტიზმს პლუს გონიერება მიგვიყვანს ტაძრამდე.

ერთგან ბრძანა ბატონმა ბიძინამ: “ჩვენ პერსონალურად არავის ვებრძვით, ვიბრძვით მხოლოდ საქართველოსთვისო”. კარგი ნათქვამია, რასაც მინდა დავამატო – თუ ვინმეს საქართველოსთვის ბრძოლა მის წინააღმდეგ ბრძოლად ესახება, ასეთი პერსონა პერსონალურად დასასჯელია.

ვინც საქართველოსთვის იბრძვის, ჩემი დევნილებით, მოხუცებით თუ ახალგაზრდებით მათთან ვარ!

გულითადი პატივისცემით,

ინდიკო ჩხვირკია

სოხუმი ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების აღიარების შესახებ აშშ-ის გადაწყვეტილებას აკრიტიკებს

ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება – აღიაროს საქართველოს სტატუსნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები, შეცდომაა. ამის შესახებ განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ხინთბამ და გააფრთხილა აფხაზები, არ აიღონ ეს დოკუმენტები, ვინაიდან ეს თბილისის მიერ დაგებული **„მახეა“.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა ბათუმში 5 ივნისს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებს საქართველოს მიერ სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის გაცემულ სტატუსნეიტრალურ დოკუმენტებს. **„ეს იქნება ძლიერი ნაბიჯი შერიგებისკენ და კონფლიქტის მშვიდობიან და სამართლიან მოგვარებას შეუწყობს ხელს“,** – განაცხადა კლინტონმა.

7 ივნისს სოხუმში პრესკონფერენციაზე საუბრისას ირაკლი ხინთბამ განაცხადა, რომ მას არ სურს, კლინტონის სიტყვების გარშემო ემოციები გაამძაფროს, ვინაიდან **„აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მისი გამოსვლის მხოლოდ პატარა ფრაგმენტი მიეძღვნა“.**

„თუმცა ძალიან მცდარ გადაწყვეტილებად მიმაჩნია ე.წ. ნეიტრალური პასპორტების აღიარება“, – იტყობინება **„აფსნიპრესი“** ხინთბას სიტყვებზე დაყრდნობით.

„ეს კიდევ ერთი არასწორი სტრატეგიული გათვლაა ობამას ადმინისტრაციის მიერ მას შემდეგ, რაც მათ თანხმობა განაცხადეს ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიების“ გამოყენებაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში“, – განაცხადა მან.

მისი თქმით, საქართველოს სტატუსნეიტრალურ დოკუმენტებს არაფერი აქვს საერთო შერიგებასა და კონფლიქტის მოგვარებასთან, როგორც ამის თაობაზე კლინტონმა განაცხადა ამერიკის გადაწყვეტილებაზე საუბრისას.

„ეს მხოლოდ წააქეზებს საქართველოს ახალი ავანტიურებისკენ“, – განაცხადა ხინთბამ და დასძინა, რომ ეს სამგზავრო დოკუმენტები შორსაა ნეიტრალურისგან.

„ეს არის ქართული დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება გასცემს და, რაც მთავარია, გათვალისწინებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს სტრატეგია. მასში მკაფიოდაა აღნიშნული ქვეყნის კოდი, რომელიც გასცემს ამ პასპორტს – “GEO“ ,– განაცხადა ხინთბამ და დასძინა, რომ თუ ამ დოკუმენტის მფლობელს საკონსულო მომსახურება დასჭირდება საზღვარგარეთ მოგზაურობისას, ამგვარ მომსახურებას იმ კონკრეტულ ქვეყანაში არსებული ქართული დიპლომატიური მისია აღმოუჩენს.

მისი თქმით, ეს დოკუმენტები, ფაქტობრივად, არის მცდელობა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ ქართული პასპორტები მოახვიონ თავს.

„ჩვენ ვენდობით ჩვენს მოქალაქეებს და ვიმედოვნებთ, რომ მათ ესმით, რამდენად სახიფათოა საქართველოს ხელისუფლების შემოთავაზება ნეიტრალურ პასპორტებთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მოქალაქეები, რომელთაც სისხლისმღვრელი ომი და მკაცრი ბლოკადა გამოიარეს, და რომელთაც დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს, არასდროს აიღებენ ამ დოკუმენტებს“, – განაცხადა ხინთბამ.

„მათ უნდათ, რომ მახეში გაგვაბან, რომელსაც თბილისის ხელისუფლება დიდი ხანია, გეგმაზომიერად აგებს უკვე რამდენიმე წელია. თბილისის მიზანი ნათელია – დაგვიბრუნოს საქართველოს შემადგენლობაში, – განაცხადა ხინთბამ. – საქართველოს წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ ნეიტრალური პასპორტების მიზანია აფხაზეთის მოსახლეობის დეიზოლაცია, აფხაზებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ იმოგზაურონ მსოფლიოში და მათი უფლებების დაცვა. ეს ცინიკური ტყუილია. თუ თბილისის ხელისუფლებას ასევე აღელვებს ჩვენი უფლებები, რატომ გვახრჩობენ მთელი ეს წლები საერთაშორისო ბლოკადაში?“

„მიკვირს, რომ ამერიკელებს არ ესმით ის, რომ ნეიტრალური პასპორტებით ქართული ავანტიურა წარუმატებლობისთვისაა განწირული, და რომ არ უნდა გამოყონ ფული ამ ავანტიურის გაგრძელებისთვის, არამედ სხვა მიზნებზე მიმართონ ეს სახსრები. ჩვენ, ასევე, ვხედავთ, რომ ობამას ადმინისტრაციის მიზანი არა აფხაზეთის მოქალაქეების უფლებების დაცვაა, არამედ სხვადასხვა გეოპოლიტიკური გათვლა და თავიანთი თბილისელი მარიონეტების ახირებების დაკმაყოფილება“, – განაცხადა ხინთბამ.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა 6 ივნისს, რომ ვაშინგტონის მიერ სტატუსნეიტრალური დოკუმენტების აღიარება საშუალებას მისცემს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ, **„საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტებით“** იმოგზაურონ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ჩვენი უფლებების დასაკანონებლად ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მიესალმა რა ამ დოკუმენტების შემოღებას, ევროკავშირმა მოუწოდა თბილისს, რომ **„სანამ დოკუმენტი ამ რეგიონების მცხოვრებთა უფრო ფართო ფენისთვის არ გახდება მისაღები, ის მგზავრობის ერთადერთ საშუალებას არ უნდა წარმოადგენდეს“.**

საქინფორმი



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

აი, წარმოიქმნა კონფლიქტი, აი, ბერიას ხელში იარაღმა გაიელვა (ოვსეენკო მტკიცებით ეს იყო პისტოლეტი, და თუ რატომ, ამას მკითხველი გვიან გაიგებს – ს.კ.). და რა, ასეთ ფეთქებადსაშიშ სიტუაციაში ხანჯიანი გაუძრეველად იჯდებოდა სკამზე?

თუ გავითვალისწინებთ სომეხი პარტოკრატის ნერვიულ მდგომარეობას, იგი ფეხზე მაინც წამოვარდებოდა, მაგრამ ლავრენტი ბერია იარაღის სროლაში გაწაფული კოვბოის თვისებებს ავლენს და საკმაოდ შორი მანძილიდან პირდაპირ საფეთქელში ახვედრებს ტყვიას ხანჯიანს (რისთვისაც აღასი ხანჯიანს მორჩილად და დიდსულოვნად უნდა შემოებრუნებინა თავი მარჯვნივ).

სისულელეა?

რა თქმა უნდა!

იქნებ ასე იყო ყველაფერი? ხანჯიანი ბერიას სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა, ბერია კი ემუქრებოდა ხანჯიანს, რომ შრომა-გასწორებით ბანაკში ამოხდიდა სულს. ბოლოს სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი იმდენად გამძვინვარდა, რომ ბერიამ მისი დამშვიდება სცადა. მან თითქოს დაამშვიდა ხანჯიანი, ყურადღება მოუდუნა, შემდეგ კი უკნიდან ვერაგულად მიეპარა, ამოიღო **"ჩამოსხმული ოქროს ტარით დამშვენებული ბრაუნინგი"**, რითაც თითქოს მოგვიანებით ზერნოვს ემუქრებოდა, იარაღის ლულა ხანჯიანს საფეთქელში მიაბჯინა და გაისროლა.

დავუშვათ, ყველაფერი ასე იყო, მაგრამ აქაც ხომ შეუსაბამობას ვაწყდებით. როგორც ვიცით, არც ბერია იყო ცაცია და თუ ეს ასეა, მაშინ, უკნიდან მიპარებულს, მარჯვენა ხელით, ხანჯიანის მარჯვენა საფეთქელში უნდა მოეხდინა გასროლა. მას კი ტყვია მარცხენა საფეთქელში ჰქონდა მოხვედრილი.

მაგრამ კარგი. დავუშვათ, ბერიამ ხანჯიანი მოკლა. მერე როგორღა ვითარდებიან მოვლენები?

ამის თაობაზე უკვე ანტონოვ-ოვსეენკო მოგვითხრობს:

"ხანჯიანის სხეული გაახვიეს (საინტერესოა, ამ საქმეში ვინ ეხმარებოდა ბერიას? – ს.კ.) ხალიჩაში, ავტომანქანით იმ სასტუმროში წაიღეს, რომელიც განკუთვნილი იყო სომხეთის ცეკასა და მინისტრთა საბჭოს თანამშრომლებისთვის. სასტუმროს წინ მდებარე სახლის სახურავზე იმ დღეს მეთუნუქე მუშაობდა. იგი მაღლიდან ყველაფერს ხედავდა. ბერიას ბრძანებით მისმა პირადმა მცველმა სასტუმროს ნომერში მოახდინა გასროლა, რაც ხანჯიანის თვითმკვლელობის იმიტაცია გახლდათ.

წინა დღეს ლავრენტი ბერიამ ხანჯიანი თანამდებობიდან გაანთავისუფლა და იგი სამხარეო კომიტეტში განმარტებების მისაღებად ჩამოვიდა. მკვლელობის მეორე დღეს ბერიამ საჯაროდ გაკიცხა მოკლული ხანჯიანი, ბრალი დასდო მას ნაციონალიზმსა და მუშათა კლასის ინტერესებისადმი ღალატში".

სამწუხაროდ, ძვირფასო მკითხველო, აქაც უამრავი შეკითხვა ჩნდება.

თავი გავანებოთ იმას, რომ სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის თანამდებობა არჩევითი გახლდათ და ბერია ასე ხელაღებით ვერ მოხსნიდა ხანჯიანს. მაქსიმუმი, რაც შეიძლებოდა გაეკეთებინა, იყო ის, რომ დაეყენებინა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი. მაგრამ, თუ ხანჯიანი მოკლა, რაღა საჭირო იყო მისი გვამის ხალიჩაში გახვევა? ისეთი ტვირთის გადასატანად, როგორიცაა ხალიჩაში გახვეული გვამი – სატვირთო მანქანის გამოყენება მაინც გახდებოდა საჭირო.

და რა საჭირო იყო გვამის სასტუმროში გადატანა? განა უფრო ხელსაყრელი არ იქნებოდა გვამის გადატანა სადმე, მიყუჩებულ ადგილზე? მას რომ მალევე აღმოაჩენდნენ, ეს უეჭველი იყო – უგზო-უკვლოდ დაკარგულ სომხეთის პირველ მდივანზე ძებნას მთელი ამიერკავკასიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გამოაცხადებდა. და რაც უფრო დიდ ხანს გაგრძელდებოდა ცხედრის ძებნა, მით უფრო იოლი იქნებოდა მთელი ამ საქმის ჩაფარცხვა...

ან, რა საჭირო იყო ამ ისტორიაში ხანჯიანის ან ბერიას პირადი მცველის გარევა? ასე რომ, სასტუმროს ნომერში გასროლის მოხდენა იმდენად დილეტანტური საქციელია, რომ იგი აშკარად ვერ ჯდება გამოცდილი ჩეკისტის ბერიას ნატურაში.

დაბოლოს, ვინ არის ეს **"სტახანოველი"** მეთუნუქე, რომელიც სამუშაო საათების დამთავრების შემდეგაც დაყიალობს სახლის სახურავზე? თბილისის ცენტრში მაშინ კერძო საცხოვრებელი სახლები არ იყო, ხოლო კერძო პირების მიერ სახელმწიფო დაწესებულების სახურავის რემონტი გამორიცხული გახლდათ.

ამით მე ვამთავრებ ანტონოვ-ოვსეენკოს ციტირებას, მაგრამ აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ციტატები აღებულია არა ხელნაწერებიდან, არამედ პოლიტგამომცემლობის მიერ 1991 წელს გამოქვეყნებული ანტიბერიასეული კრებულიდან. ეს კი ნიშნავს, რომ ოვსეენკოსთან ერთად მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ რედაქციის გამგეს ა.ბ. ნიკოლსკის, რედაქტორ გ.ს. პრუჟინინს, განსაკუთრებით კი კრებულის შემდგენელსა და საერთო რედაქტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვ.ფ. ნეკრასოვს.

მივყვეთ აზრთა მსვლელობას... ის, რაც დაწერა ოვსეენკომ, მას არ შეეძლო აეღო რომელიმე ნაბეჭდი პუბლიკაციიდან. მაგრამ მან საიდანღაც ხომ გაიგო ის, რაც დაწერა? გაეცნო კომაროვის მიერ ცეკაში წარდგენილ ბარათს? არა, რადგან ანტონოვ-ოვსეენკოს ნაბოდვარი დიდად განსხვავდება კომაროვის მიერ შედგენილი ტექსტისაგან! ჩვენ ახლა ამას ვნახავთ.

მაშ საიდან აიღო ყოველივე ეს ოვსეენკომ?

მე ვვარაუდობ, რომ ოვსეენკომ ისარგებლა ერთ-ერთი ინსინუაციით, რომელიც მომზადდა ხრუშჩოვისეულ ცენტრალურ კომიტეტში. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ოვსეენკომ გამოიყენა **"ნახევარფაბრიკატი"**, კომაროვმა კი ცეკაში წარადგინა **"მზა პროდუქცია"**.

აი, რა სწერია კომაროვის ბარათში, რომელიც მაღალი დონის ოფიციალური დოკუმენტის სტატუსითაა წარმოდგენილი.

"ხანჯიანის დაცვის წევრების ჩვენებათა მიხედვით, იგი 1936 წლის 9 ივლისს, საღამოს 7 და 8 საათს შორის დაინახეს თავის ოთახში, ლოგინზე წამოწოლილი, თავში ნატყვიარი ჭრილობით. ამავდროულად, თბილისის სასწრაფო დახმარების სადგურში გამოძახება დაფიქსირებული 9 საათსა და 25 წუთზე, ხოლო დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს 10 საათსა და 25 წუთზე".

რას იზამ, აქაც უამრავი შეკითხვა ჩნდება...

თუ ხანჯიანს ახლდნენ დაცვის წევრები, მაშინ ისინი გვერდიდან არ უნდა მოშორებოდნენ მას. ისინი ხომ ხანჯიანთან ერთად მივიდნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შენობაში, არ დაელოდნენ დასაცავ პირს და მალევე წავიდნენ...

და, მაინც, სად წავიდნენ? სასტუმროში? არა, როგორც ირკვევა, ხანჯიანი თბილისში ცხოვრობდა არა სასტუმროში, არამედ ბინაში. არა პირად ბინაში, არამედ სასამსახურო სახლში, რომელიც მიმაგრებული იყო სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტზე – **"ნომენკლატურული"** ბინის ოთახში.

მაშ რა გამოდის – მცველებმა მიატოვეს დასაცავი პირი და ბინაში დაბრუნდნენ? ნამდვილად არ ჰგავს სიმართლეს.

ვაგრძელებთ: მაგარი მცველები კი არიან, რომლებიც გვამის ნახვის დროს აფიქსირებენ 7-დან 8 საათამდე, და არა **"შვიდ საათსა და რამდენიმე წუთზე"**. ამისთანა დამცველები სასწრაფოს გამოძახების ნაცვლად სამხარეო კომიტეტში დარეკავდნენ. და თანაც ერთსულოვნები არ არიან გვამის აღმოჩენის დროის დაფიქსირებისას. თუ მართლაც ვირწმუნებთ ბერიას ბოროტ განზრახვას, იგი ხომ არ დაუშვებდა იმას, რომ **"სასწრაფოს"** ერთსაათიანი დაგვიანებით გამოძახება დამატებითი სამხილები შეიქმნებოდა?.. თანაც, სამხარეო კომიტეტიდან დარეკავდა და ეტყოდა ექიმებს – ხანჯიანთან მისვლა არ დაჩქაროთო?

არა და არა! ლავრენტი ბერია აქ არაფერ შუაშია. ასე იყო თუ ისე, დაზარალებული საავადმყოფოში მოხვდა. მერე რა ხდებოდა?

"ექიმების კონსილიუმის მუშაობის შემდეგ, – აგრძელებს თხრობას კომაროვი, – აღასი **ხანჯიანი ოპერირებული იქნა 1936 წლის 10 ივლისის დილის პირველ საათსა და 30 წუთზე, რის შემდეგაც იგი გარდაიცვალა. ამის თაობაზე არსებობს შესაბამისი ჩანაწერი საოპერაციო ჟურნალში. ამავე დროს, ხანჯიანის გაკვეთის აქტში, რომელიც შედგა 1936 წლის 10 ივლისს, აღნიშნულია, რომ იგი გარდაიცვალა 1936 წლის 9 ივლისს. საავადმყოფოში ვერ იქნა აღმოჩენილი ხანჯიანის ავადმყოფობის ისტორია, მიუხედავად იმის, რომ იგი ყველა ავადმყოფზე გამოიწერებოდა ხოლმე..."**

რა არის აქ უცნაური? რატომ უნდა შეექმნათ ავადმყოფობის ისტორია ადამიანზე, რომელიც საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა? კომაროვი იმ **"უტვინოთა"** კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც ჭარბობდნენ 1956 წლის პერიოდის საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სწორედ მის მიერ შეთხზული უაზრო მტკიცებულებების საფუძველზე აკეთებდნენ ისინი შორს მიმავალ დასკვნას:

"მოძიებული მონაცემები გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ აღასი ხანჯიანის გვამს ფიქციურად გაუკეთდა ოპერაცია."

ეს უკვე აღარ არის სახუმარო საქმე! იცით, რამდენი ადამიანია ჩართული ამ ფიქციაში? და რატომ არის ეს ყოველივე საჭირო? დავუშვათ, მიიყვანეს ხანჯიანი **"სასწრაფო დახმარების"** საავადმყოფოში. სასწრაფოდ ჩააყენეს საქმის კურსში ხელმძღვანელობა (კომაროვის ბარათში სწერია, რომ საავადმყოფოში მივიდნენ ბერია, აგრბა, ჯანდაცვის სახალხო კომისარი მამალაძე, საქართველოს პროკურორი ვარძიელი და მთავარი ექიმი კირშენბლატი).

ახლა უკვე მე ვამტკიცებ, რომ საავადმყოფოში მიიყვანეს ხანჯიანი, მაგრამ მისი სხეული უკვე გაციებულია... უფროსებმა თავი გაიქნიეს და კირშენბლატს უბრძანეს გვამის გაკვეთა, გარდაცვალების ოქმის შედგენა და თუ არ გამოიკვეთება სისხლის სამართლის დანაშაული, მაშინ ხანჯიანის ცხედარი ერევანში უნდა გადაიგზავნოს.

ხანჯიანი მკვდარია. იგი უკვე ვეღარ ამხელს ბერიას. მაშინ რატომ მოაწყობდა ბერია ფიქციურ ოპერაციას ხანჯიანის ცხედარზე? იმიტომ, რომ მასზე ეჭვები აღძრულიყო? ამასთან, კომაროვის მტკიცებით ბერია მკვლელია და ამ ფიქციაში რა საჭირო იყო სხვა ადამიანების ჩართვა? იმიტომ ხომ არა, რომ შემდეგ მოსკოვისათვის ერთხმად მოეხსენებინათ: ჩვენ ბოლომდე ვიბრძოდით ხელმძღვანელი ამხანაგის სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ!..

სისულელეა?

რა თქმა უნდა.

მაგრამ ამ ნაძირალურ სიცრუეს ხრუშჩოვისეული პარტიის ცენტრალური კომიტეტი სახელმძღვანელო დოკუმენტად გაიხდის. ამასთან, კომაროვის ბარათი გვაუწყებს, რომ **"აგრბა, ვარძიელი და მამალაძე 1937-1938 წლებში გაასამართლეს და დახვრიტეს, კირშენბლატი კი, რომელსაც 10 წელი პატიმრობა მიესაჯა, 1938 წლის თებერვლის თვეში დახვრიტეს პოლტავის ციხეში, სსრკ შინსახკომის პოლტავის მთავარი სამმართველოს "სამეულის" დადგენილებით".**

კომაროვი აქვე მიანიშნებს, რომ ეს ყველაფერ ამაში ლავრენტი ბერიას ხელი ურევია, თუმცა, რისთვის გაასამართლეს მამალაძე და კირშენბლატი, კარგად ჩანს თბილისის **"სასწრაფო დახმარების"** სადგურის იმდროინდელი მუშაობიდან. ფაქტია ისიც, რომ 1938 წლის თებერვალში ბერიას არავითარი კავშირი არ გააჩნდა სსრკ შინსახკომთან და ამიტომ გაუგებარია, როგორ მიუწვდა მას ხელი პოლტავის ციხეზე.

ამასთან, თავად კომაროვი გვაუწყებს: **"მცველები სანოიანი და მკრტიჩიანი დააპატიმრეს ხანჯიანის სიკვდილის შემდგომ და მხოლოდ თვენახევრის შემდეგ გაანთავისუფლეს".** აქვე ისიც ირკვევა, რომ სანოიანი ცოცხალი და ჯანმრთელი იყო 1956 წლებშიც (როგორც ამას კომაროვი გვაუწყებს). მცველები რომ დამნაშავეები ყოფილიყვნენ, ბერია მათ პირველ რიგში დააპატიმრებდა და გაანადგურებდა. არც გაუჭირდებოდა, რადგან ისინი პატარა ფიგურები იყვნენ...

საეჭვოდ მიაჩნია კომაროვს ის გარემოებაც, რომ **"ხანჯიანის გვამი გაკვეთა არა სასამართლო ექსპერტმა-ექიმმა, არამედ პათოლოგოანატომმა ჯორბენაძემ".** მაგრამ რა არის აქ გასაკვირი? ხანჯიანმა გამოსათხოვარი ბარათი დატოვა, ძალადობრივი მკვლელობის ნიშნები არ შეიმჩნევა და მაშ რა საჭირო იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, მით უმეტეს, თუ საავადმყოფოს ჰყავს შტატიანი პათოლოგოანატომი? მით უმეტეს, რომ ჯორბენაძე შემდეგ რეპრესირებული არ ყოფილა.

მაგრამ პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს კომაროვს (იმ დროისათვის 58 წლის პარტიული აპარატის **"სტანდარტულ"** მუშაკს, რომელიც 1959 წელს პენსიაზე გავიდა და 1983 წელს გარდაიცვალა 85 წლის ასაკში) შედარებით ძლიერი კოზირებიც ჰქონდა, რომელსაც ახლა გაგაცნობთ:

"ხანჯიანის გარდაცვალების აქტი 1955 წელს მთავარმა სამხედრო პროკურატურამ გადაუგზავნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებს. სსრკ თავდაცვის სამინისტროს მთავარ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა, პროფესორმა მ.ა. ავდეევმა დაწერა დასკვნა, რომ სიკვდილის აქტის ჩანაწერის მიხედვით არ დასტურდება, რომ ხანჯიანი არ შეიძლებოდა დაღუპულიყო "ლიგნოზეს" სისტემის 6,35 კალიბრის პისტოლეტიდან ნასროლი ტყვიით (სწორედ ეს იარაღი ჰქონდა ხანჯიანს). ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ანგარიშში მითითებული იყო, რომ ხანჯიანმა თავი მოიკლა რევოლვერით და არა პისტოლეტით..."

ამიერკავკასიის კომპარტიის სამხარეო კომიტეტის ანგარიშში, რომელიც წყაროდ გამოიყენა ანტონოვ-ოვსეენკომ, საერთოდ არაფერია ნათქვამი თვითმკვლელობის იარაღზე, მაგრამ აქ საინტერესო სხვა რამეა – ოვსეენკო ჯიუტად ამტკიცებს, რომ ხანჯიანმა თავი მოიკლა სწორედ პისტოლეტით! მე მართლაც აღტაცებული ვარ პროფესორ ავდეევის დასკვნით, რომელმაც ჩანაწერების მიხედვით დაადგინა თვითმკვლელობის იარაღი. ან იქნებ ჯორბენაძემ, რომლის პროფესიულ კეთილსინდისიერებას გარკვეულწილად ეჭვის ქვეშ აყენებს კომაროვი, მართლაც არ გააკეთა ზუსტი ჩანაწერები?

(გაგრძელება იქნება)

ღია წერილი ცნობილ ენათმეცნიერს – ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს!

დღეისათვის, უკვე, საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ არსებობს რაღაც შეუცნობელი ძალა, რომელიც მართავს სამყაროს და მისი ნების გარეშე არაფერი ხდება. ამ შეუცნობელი ძალის შესწავლის საკითხში მოღვაწე მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეუცნობელ ძალას – შემოქმედს დადგენილი აქვს ისეთი კანონზომიერებები, რომელთა გავლენას ვერავინ გაექცევა. ამ კანონზომიერებების შეცნობის და მათთან ჰარმონიული თანაცხოვრებით ბედნიერებას და კეთილდღეობას იღებს ადამიანი, ხოლო მათი საწინააღმდეგო ქმედებებით სასტიკად ისჯება. შემოქმედისთვის არ არსებობს ბოროტება. ჩვენ გვესახება განსაცდელი ბოროტებად, თორემ განსაცდელს ღმერთი შემოქმედი იმიტომ გვივლენს, რომ ამ განსაცდელიდან გამოსავლის ძიებაში ვიჭყლიტოთ ტვინი და ჩავწვდეთ ჭეშმარიტ ღვთიურ კანონზომიერებებს, რომ ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიული თანაცხოვრებით მივიღოთ ნეტარება. ამრიგად, მრავალი ქარტეხილი და მძიმე განსაცდელი, რომლის გავლა უწევს ადამიანს, ბოროტება კი არა, საბოლოოდ, სიკეთე ყოფილა.

როგორც ეტყობა, ე.წ. ქართველი ერი ისე ვუყვარვართ ღმერთს, რომ პასიური და უღიმღამო ცხოვრებისთვის აღარ ვემეტებით. ამიტომაც გვივლენს განსაცდელს. ჩვენს მტაცებელ მეზობელ ქვეყნებს, რომ ქართველების დაშლა – დაქუცმაცება, ასიმილაცია და მისი ტერიტორიების დაუფლება რომ უნდა, ეს სურვილიც უზენაესისგან მოდის, რომ შევიცნოთ ჭეშმარიტება და ღირსეულად დავიცვათ ღვთით ბოძებული ეროვნული ღირებულებები, თვითმყოფადი კულტურა.

ამ ღირებულებების ღირსეულად დაცვა მდგომარეობს ჩვენს წინაპართა და ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების და, ამასთან, არა ვინმეს საწინააღმდეგო, არამედ ყველასათვის სასარგებლო ღვთიური კანონზომიერებების შეცნობაში, ამდენად, სულიერ-ზნეობრივად ამაღლებაში და უზენაესი შემოქმედისთვის მოსაწონი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში. ე.ი. ყოველი განსაცდელი ღვთის ნებით გვევლინება, იმ მიზნით, რომ ავმაღლდეთ სულიერ-ზნეობრივად, განათლებით, ცოდნით, სიბრძნით. ყველა ის მძიმე ცხოვრების ქარტეხილები, რომლებიც კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე ქართველმა ერმა გამოიარა, ჩვენს მიმართ ღვთიური სიყვარულით მოვლენილი განსაცდელი იყო. ამიტომ არ მოვყვები ამ შეცდომებისა და განსაცდელების ჩამოთვლა-გაანალიზებას. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ მხოლოდ ერთ განსაცდელს, რომლის საბოლოოდ შეუცნობლობა, ან შეცნობა, მაგრამ ადრე დაშვებული შეცდომების დაფარვის მიზნით, არ აღიარება, უდავოდ, საბედისწერო, ტრაგიკული შედეგით დამთავრდება. ეს განსაცდელი წარმოადგენს იბერიის სახელმწიფოს დაცემა-განადგურებისა და ფენიქსისებრ აღმდგარ მემკვიდრეთა ისევ გაერთიანების შემდეგ საეჭვო ავტორის მიერ დაწერილი **„ქართლის ცხოვრებაში“** ჩადებულ ნაღმს, რომელიც ვერ შეიცნეს ქართებმა, ჰეგემონობის ხელში ჩაგდების შემდეგ, დადებითად მიიღეს და იმ დროიდანვე დაადგნენ არასწორ გზას. იმ დროიდან დაიწყო ჩვენი ისტორიული წარსულის დაკნინება და გაყალბება, რომელიც ენათმეცნიერებაშიც აისახა.

ყველაზე საშიში და საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნაღმის სასიკეთოდ მიღებისა და მასზე დაყრდნობით განვითარებული და შემდგომ დოგმად მიღებული მეცნიერული შრომების სიყალბის აღიარება უჭირთ ჩვენს მეცნიერებს. უფრო მეტიც, ბატონო ტარიელ, თქვენ და თქვენი თანამოაზრენი, შეგნებულად, თუ შეუგნებლად, თავგანწირულნი იბრძვით, რომ პროტოქართული, იგივე ე.წ. მეგრული (ადამურ – იაფეტურ – იბერიული) ენა აღიარებულ იქნეს, თუ მთლად კილოკავად არა, დიალექტად მაინც, ანუ პირველადი (ძირისეული) ენა გამოცხადდეს და დაკანონებული იქნეს ე.წ. ქართული (ახალი იბერიული) ენის მეორეულ სახესხვაობად, ხოლო მეორეული ენა – პირველად ენად.

ბატონო ტარიელ, მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაგმეს თქვენი გამოსვლები, არ ვაპირებდი ხმის ამოღებას, მაგრამ ცნობილ მეცნიერთა შენიშვნებმა და კრიტიკამ კი არ დაგაფიქრათ, არამედ სულ ცალ ფეხზე დაიკიდეთ ყველას აზრი დ უფრო გააქტიურდით, თითქოსდა, რაღაც უძლეველი ძალა გიმაგრებდეთ ზურგს და გაქეზებდეთ თავდაუზოგავად იბრძოლოთ მიზნის მისაღწევად. თუმცა, თქვენი მიზანი ბუნდოვანია, რამეთუ მოყვანილი არგუმენტები ნათელს ვერ ჰფენენ თქვენს მიზანს, ხოლო ძალა, რომელიც თქვენ გამოძრავებთ, შეიძლება იყოს რწმენის ძალა, რომელიც ყოვლისშემძლეა, ან „ოქროს ზოდების“ ძალა, რომელიც **„მამონას მონაში“**, ასევე, ყოვლისშემძლეა.

მეორე შემთხვევაში ვერაფერს გავხდები, რადგან **„მამონას მონის“** მოქცევა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება, ხოლო პირველ შემთხვევაში, შესაძლებელია თქვენი მობრუნება, თუ უზენაესის მიერ მომადლებული რაინდული თვისების ნაპერწკალი ბუდობს თქვენს სულიერ სამყაროში. ამიტომ გწერთ ამ წერილს იმ იმედით, რომ იქნებ გავაღვიძო თქვენში ღვთიური სულის ნაპერწკალი, რომელიც ყოველ ადამიანშია ჩადებული.

ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის საფუძვლიანმა შესწავლამ რადიკალურად შეცვალა წარმოდგენა ამ ენის ფენომენზე. თუ ადრე მეგრული ენა მეგრელებშიც კი ასოცირდებოდა როგორც მარტივი გლეხის ენა (ამას გვინერგავდნენ საუკუნეების განმავლობაში და იმიტომ), პირდაპირ და მოკლედ რომ ვთქვათ, ბოლო პერიოდის გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ის წარმოადგენს არა მხოლოდ პროტოქართულ ენას, არამედ მსოფლიოში დღეისათვის არსებულ 5545 ენათა დედას (იხ. მამანტი და ცირა ძაძამიების შრომები), ანუ იმ ენას, რა ენაზეც მეტყველებდა მთელი კაცობრიობა უძველეს ხანაში. ამიტომ ე.წ. მეგრული ენის, ანუ ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენის ჩათვლა და დაკანონება ქართული ენის დიალექტად, როცა ქართლური მეტყველება თვითონ წარმოადგენდა იბერიულ ენის დიალექტს, აფეთქებისათვის ამზადებს ლეონტი მროველის **ქართლის ცხოვრებაში** ვერაგულად ჩადებულ ატომურ ბომბს, რომელიც გამანადგურებელი იქნება არამხოლოდ ე.წ. მეგრელებისა, არამედ მთლიანად ქართველი ერისა.

ძნელია დაბეჯითებით თქმა იმისა, რა მიზნით იღწვით: გაუცნობიერებლობის გამო, თუ მიზანმიმართულად სპეციალური დაკვეთის საფუძველზე, მაგრამ, ცხადია, რომ დღეს და ღამეს აერთიანებთ, რომ საზოგადოება დაარწმუნოთ მეგრული ენა – ენა არ არის, ის მხოლოდ ქართულის დიალექტია, მიუხედავად იმისა, ოფიციალური მომხრეები ძალზე ცოტა გყავთ, თუმცა, ბევრს აქვს თბილისში სურვილი სინამდვილეშიც ასე იყოს. ჩვენც, ალბათ, ვიქნებოდით უბედნიერესი ხალხი, ე.წ. მეგრული ენა, კილოკავი თუ არა, დიალექტი მაინც იყოს, რადგან ნაკლები გვექნებოდა, ან სულაც არ გვექნებოდა პრობლემები, მაგრამ, როცა ჭეშმარიტება სულ სხვაა, ბუნებრივი კანონზომიერებების საწინააღმდეგო ქმედებები, საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, ყოველთვის ტრაგიკული შედეგებით მთავრდება.

გამოქვეყნებისთანავე, ჩვენ ყურადღებით გავეცანით, ბატონო ტარიელ, თქვენს ნაშრომს **ქართველები**. ნაშრომში აქსიომასავით გვაწვდით საკუთარ აზრს, რომ სალიტერატურო ქართული ენა ბევრად ახლო დგას პროტოქართულთან, ვიდრე მეგრული და სვანური დიალექტებიო. უფრო მეტი, მეგრულს და სვანურს თქვენ, თითქმის, რაჭულ და მთიულურ კილოებთან ათანაბრებთ. მაგრამ დამადასტურებელი მტკიცებები არა გაქვთ წარმოდგენილი და ვერც ვერავინ წარმოადგენს, რადგან ჭეშმარიტება სულ სხვაა.

გაუგებრია, თქვენს წარმოდგენაში რომელია პროტოქართული ენა, მაგრამ, ცხადია, თქვენი დასკვნები ტენდენციურია. ალბათ, თქვენც ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ტენდენციურად დაწერილ **ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონს** ეყრდნობით, მაგრამ იქ შეუსწავლელია და გაურკვეველია ძირისეული ფორმების ეტიმოლოგია. ამდენად, ქართული ძირების პროტოქართულად მიღება-ტენდენციურია. ალბათ, სწორედ ამიტომ ცდილობთ პოლიტიკური სარჩული დაუდოთ თქვენს მიზანს. მაგრამ საეჭვოა თქვენი პოლიტიკური მიზანი სასიკეთო იყოს ქართველი ერისათვის. ეჭვს რა იწვევს, ამაზე ქვემოთ.

ბატონო ტარიელ, ალბათ, თქვენც დაგვეთანხმებით და თქვენი თანამოაზრენიც, რომ ძირისეული ენა პირველადია, ხოლო დიალექტი და კილოკავები – შემდეგ წარმოშობილი, მეორადი.

ნუთუ აგრერიგად ძნელია, ან, საერთოდ, შეუძლებელია ზუსტად დადგენა იმისა, რომელია პირველადი, ძირისეული ენა და რომელია მეორადი – გვიანდელი წარმოშობისა, რომ დოგმად არ მივიღოთ პირადი სურვილი?

ჩვენი აზრით, ამის გარკვევა მარტივად შეიძლება, ოღონდ შევთანხმდეთ უმარტივეს რეალობაზე: ორი სხვადასხვა ასაკის პიროვნებიდან, რომელია უფრო ადრე დაბადებული, ის, რომელსაც ახსოვს მეორის დაბადება და ფეხის ადგმა, თუ ის, რომელსაც ეს ჭეშმარიტება არ ახსოვს? თქვენ არ ვიცი, მაგრამ, ყველა დაგვეთანხმება, რომ უფრო ასაკოვანია ის, რომელსაც ახსოვს მეორის დაბადება და ზრდა – განვითარება.

მაშ, რომელია ძირისეული ენა, ან მასთან უფრო ახლო მდგომი, ის, რომელიც არკვევს ეროვნული წარმოშობის სიტყვების ჩასახვა – განვითარების პროცესს, თუ ის, რომელსაც ეს არ შეუძლია? ან რომელია უფრო უპრიანი და სამართლიანი – საერთო სალიტერატურო ენას ერქვას იმ ენის სახელი, რომელიც არკვევს ამ ენის ეროვნული წარმოშობის სიტყვათა წარმომავლობას, თუ ერქვას იმ ენის სახელი, რომელიც ამას ვერ ახერხებს?

თამამად შემიძლია განვაცხადო: ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა, წოდებული ქართულად, უფრო იბერიულია, ვიდრე ქართლური, რამეთუ გრამატიკა, თითქმის, იბერიული დარჩა, ხოლო ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირი იბერიულია და მათს ეტიმოლოგიას სინქრონიულ – დიაქრონიულ დონეზე არკვევს, სწორედ, იბერიული ენა, დღეს წოდებული მეგრულად, ხოლო სხვა ე.წ. ქართველურ ენებს ასეთის შესაძლებლობა დღეისათვის, უკვე, დაკარგული აქვთ.

რა დონეზე ვარკვევთ ეროვნული წარმოშობის სიტყვათწარმომავლობას?

წარმოვადგენთ მხოლოდ ერთ მაგალითს (ასეთი 200-მდე სიტყვა და ძირისეული ფორმა გვაქვს შესწავლილი), რადგან საგაზეთო წერილში რედაქციის მოთხოვნისამებრ შეზღუდული ვართ.

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ არსი **სიკეთე**-სი მაშინ ამართლებს თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, როცა ის ყველასათვის სასარგებლოა. გაჭირვებაში ადამიანისთვის ხელის გაწოდება, დახმარება და ფეხზე დაყენება აუცილებელია, მაგრამ გაცემა იმ პირისთვის, რომელმაც პროფესიად გაიხადა თავის მოსაწყლება და მათხოვრობა, ვერაა **სიკეთე**, რადგან ის ეჩვევა მუქთახორობას და ამით ზარალდება მთელი საზოგადოება. მხატვრულად, რომ ვთქვათ, **სიკეთეა** არა დაჭერილი თევზით ადამიანის დასაჩუქრება, არამედ, ასწავლო მას თევზის დაჭერა. ე.ი. **სიკეთეა** გაუნათო ადამიანს გონება, ანუ გასცე მას ყველასათვის სასარგებლო ცოდნა (იხ. ცოდნა – სინათლეა, დედა ენაში).

საკვლევი სიტყვა **სიკეთე**, ჩვენი აზრით, წარმოადგენს შემდეგი სამი სიტყვის კომპოზიტს **სი**[ს] **კეთ**[,] [**რ**]ე (შენში **კეთ**, არის). აქ პირველი და მესამე სიტყვა გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, რას ნიშნავს ძირისეული ფორმა **კეთ**[,]? ენათმეცნიერების ინსტიტუტში ძირისეული ფორმების შესწავლა შეუძლებლად მიაჩნიათ. ამიტომ ამ სფეროში კვლევით სამუშაოებს არ აწარმოებენ და სხვებსაც ურჩევენ ტყუილად არ დაკარგონ დრო. ჩვენი აზრით, შეუძლებელი აქ არაფერია და ეს ფორმა უნდა ჩასახულიყო არქაულ ხანაში, როცა, ჯერ კიდევ, კონსონანტური (თანხმოვნური) მეტყველება იყო იმდროინდელ საზოგადოებაში და ყველა ხმოვნის როლს ირაციონალური , ბგერა ასრულებდა; მაშინ, როგორც აკად. არნ. ჩიქობავა ფიქრობდა, საგფიქსაციო საშუალებები არ იყო. ე.ი. ის თავდაპირველად ჩაისახა ფორმით **კ, თ, ,** რაც თანამედროვე გაგებით წარმოადგენს მარტივ წინადადებას და ნიშნავს: **კვერვა** (ჭედვა, წრთობა) **ნათელისა** (კ, , =კვერა; თ, = ნათელი).

როგორ მიიღო **კ, ,** ბგერათა კომპლექსმა **კვერა**-ს მნიშვნელობა? ჭედვისა და წრთობის პროცესში, როცა რკინას რკინაზე არტყამენ გვესმის **კ, ,** ბგერათა კომპლექსი. სწორედ ამ ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვით მიიღო აღნიშნულმა ქმედებამ (რკინის რკინაზე დარტყმამ) **კვერე** (ჭედე, აწრთე)-ს მნიშვნელობა და აღნიშნულ ფორმად ჩამოყალიბებამდე შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა:

კ, , +რე(კ, , არის) ——-> კ, ,რე ——-> კუერე ——-> კვერე

აღსანიშნავია, რომ ირაციონალურ , ბგერას მიდრეკილება აქვს გახმოვანებისაკენ (იხ. მ. ძაძამია, ენის წარმოშობის საიდუმლოება; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა ქართველურ ენებში).

ცნობილია, რომ თოვლი ნათელის, სიწმინდისა და სისპეტაკის სიმბოლოა.

როგორ ჩამოყალიბდნენ სიტყვები **თოვლი** და **ნათელი**?

მყუდრო გარემოში, როცა ბარდნის და ფიფქები თავზე და მხრებზე გვეცემა, გვესმის **თ, - თ, > თ, ...** ე.ი. **თ,** უკვე განხორციელებული ბუნებრივი მოვლენაა, ის გვესმის ფიფქის მხოლოდ ჩვენზე დაცემის შემდეგ. დღესაც იხსენებენ დაბა ჯვარში 1949 წლის ზამთარს: **თ, , დო თ, ,, თ, , დო თ, ,, დო სუმი დღა დო სერც უჭყვადუო თ, -ნდ, (თოვა და თოვა, თოვა და თოვა, და სამი დღედაღამე უწყვეტად თოვდა). თ, ,** (თოვა), -ასე იტყოდნენ თოვლის მოსვლაზე უძველეს ხანაში. აქედან **თ, ,** + **რე** (თ, , არის) **——> თ, ,რე ——> თოურე ——-> თოულე** (რ ბგერის რელაქსაცია ლ-თი ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა) **——-> თოული ——-> თოვლი** (უ ბგერის დავიწროება ვ-თი, ესეც ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა).

ნ, (, ბგერის გახმოვანების შემდეგ ნა) წყალს ნიშნავს მეგრულად (იბერიულად). მაგ., გვაქვს სიტყვა **ნ, ში**, ქართულად ნავი. **ნ, ში, ნ, ს** კუთვნილება (**ნა**–ს, წყლის ტრანსპორტი). ქართულში გვაქვს **მდინარე** ‖ მდი(ნადი) ნა რე (მდინადი წყალი არის), მეგრულში **მალ ნა რე** (მავალი წყალი არის).

აქედან გამომდინარე, სიტყვას **ნათელი**, ჩამოყალიბებამდე, შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები უნდა განეცადა:

ნ, თ, რე (წყალი თოვლად არის) ——-> ნათერე ——-> ნათელე ——-> ნათელი.

სწორედ, თოვლად ქცეული, რამდენადმე გამყარებული წყალია ნათელი, თორემ სხმული წყალი ბნელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ღრმაა.

მაშასადამე, **სი**[ს] **კეთ**[,] [რ]ე ნიშნავს: **შენში კვერვა (წრთობა) ნათელისა არის.** თუ შენში ჭეშმარიტად მიმდინარეობს ნათელის, ცოდნის, სიბრძნის კვერვა (ჭედვა), შეუძლებელია ეს ნათელი სხვასაც არ გასცე უანგაროდ, მაგრამ აბსოლუტურად უანგაროდაც არ იქნება ის გაცემული, რადგან ასეთი გაცემა მთელი საზოგადოებისთვისაა სასარგებლო და, საბოლოოდ, თვითონაც **სიკეთით** დაგიბრუნდება.

როგორც ვხედავთ, სიტყვა **სიკეთე** დღემდე იმ მნიშვნელობის მატარებელია, რა მნიშვნელობითაც ის ჩაისახა უძველეს ხანაში.

სიტყვათწარმომავლობის კვლევის ის მეთოდი, რასაც მე ვიყენებ, ცნობილი არ არის ენათმეცნიერებაში და, ამდენად, შეუძლებელია ლინგვისტური თვალსაზრისით მისი შეფასებაო, არ არის უარყოფისათვის საკმარისი არგუმენტი, რადგან ცნობილი იმიტომ არაა, რომ 1866 წელს, პარიზში, საენათმეცნიერო საზოგადოების წინაშე გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ არ განიხილავდნენ მეტყველებისა და ენის წარმოშობაზე მასალებს, რამეთუ ამ საკითხში გარკვევა შეუძლებლად მიაჩნდათ. ე.ი. აიკრძალა მეტყველებისა და ენის წარმოშობაზე კვლევის წარმოება, რითაც ენათმეცნიერების განვითარება განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩაკეტილი აღმოჩნდა.

კუკური ფიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“
მეცნიერებათა აკადემიების წევრი.

(გაგრძელება იქნება)

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171, 172, 173, 174

როგორ მოხვდნენ ძველი იბერიელები – პროტოქართველები (წინაქართველები) ეგვიპტეში, პირენეის ნახევარკუნძულზე (ესპანეთი), ბაბილონში (თანამედროვე ერაყი), სირიაში და სხვაგან? – 70 საუკუნის – 7 ათასი წლის წინ, როგორც ამტკიცებენ, წარღვნა მოხდა. არსებობდა ნოეს სამსართულიანი შვიდი განყოფილებისაგან შემდგარი კიდობანი და კიდევ პარალელურად ეკიპაჟები (ორი?), რომელმაც სხვებთან, ერთად იბერიელები, ეს სანაშენო ხალხი, გაფანტა მთელ სამყაროში. ყველაფერი ეს, ჩანს, დაკავშირებულია ატლანტიდის ჩაძირვასთან (კატასტროფასთან). ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი.

მსოფლიოს გამოჩენილი მკვლევარ-მეცნიერები: ძველი არაბები, ბერძენ-ბიზანტიელები, ევროპელები, ამერიკელი ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ლიტერატორები და სხვა მეცნიერული მიმართულების წარმომადგენლები, გარკვევით ადასტურებენ, რომ ძველი კოლხები მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი, უპირველესი შემქმნელები არიან, კაცობრიობის განვითარებისათვის აუცილებელი, სასიცოცხლო დარგების მესაძირკვლენი, რომ კოლხები, ლაზები, ჭანები ყოველ დროს საქართველოს ერთიანობის ფუძე, ხერხემალი იყვნენ, არამარტო ქუჯის დროიდან, არამედ ყოველთვის (კოლხები უძველესი ქართველი ტომები, პროტოქართველები (წინაქართველები) არიან). მათ ჰქონდათ საკუთარი ენა, საკუთარი დამწერლობა, განვითარებული კულტურა – ეს ყველაფერი ქართული იყო, ქართველი ხალხის კუთვნილება.

როდესაც პროფ. გ. ჭელიძე მიუთითებს ქართული და ეტრუსკული სიტყვების თანხვედრილობაზე, აღნიშნავს, რომ ინდოევროპელთა – ბერძენთა, იტალიელთა, ესპანელთა გამოჩენამდე ამ ტერიტორიებზე მოსახლეობდნენ მადალი ცივილიზაციის, მადალი კულტურის წინაბერძნული, წინაიტალიური ტომები – პელაზგები და ეტრუსკები. რომლებიც კოლხური მოდგმის ხალხების „უწინარესი წინაპრები იყვნენ" (**გიზო ჭელიძე,** ისევ ეტრუსკების ნამცვრევები: **„დედა", „წიგნი", „ხუთი"...** გაზ. **„ჩვენი მწერლობა",** 2004, 30 იანვარი, 5 თებერვალი)

წინაბერძნულ ხალხებს შორის კოლხებს, მეგრელებს – ლაზებს (ჭანებს) მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, კუნძულ ევბეაზე ჰქონდათ ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი), ჰყავდათ მეფეები: **ჰიპერიონი**, მისი შვილი **ჰელიოსი**, შემდეგ **აიეტი**. ჰელიოსს თავისი ქვეყანა შვილებისათვის გაუნაწილებია. აიეტის შვილი აფსირტე არგონავტებმა ვერაგულად მოკლეს. **კირკე** და იყო აიეტის, და იყო **პასიფეკ** (არიადნეს დედა) აიეტის დისშვილი – **მონოტავრი**, აიეტის სიძე – **თეზევსი**; **ქალკიოპეს** შვილები – აიეტის შვილთაშვილები – **არგოსი, კიტი – სორე** (კიტი – სოროს), **ფრონტისი, მელისი** (მელასი) ომში დაიღუპნენ (**ამროსი კილასონია,** კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს, ჟურნ. **„აია",** 2001, №9-10, გვ. 75).

მეცნიერებს დამტკიცებულად მიაჩნიათ პელაზგების და კოლხური ტომების იდენტურობის საკითხი. ასევე პელაზგი თესალიელები, მცირე აზიელი ტროელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი პელაზგი სინიტები, ფეაკეთა ტომები კოლხთა მონათესავე ტომებად მიაჩნიათ. კორინთო, ევბეა პელასგების (პელაზგების) ოდინდელი სამკვიდრებელია. აიეტი კორინთოს, ე. ი. კუნძულ ევბეას და კოლხეთის გამგებელია. მედეა ერთხანს კორინთოში ჩადის, როგორც მამის სამფლობელოში.

თავის დროზე ევბეას მაკრონი ერქვა, საიდანაც ამ პელაზგური ტომისათვის მაკროსი შეურქმევიათ. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ მაკრონი (მაკროსი) მეგრელთა სატომო სახელი იყო. მაკრონებად იყვნენ ცნობილი აგრეთვე სანები, უფრო ზუსტად ჭანები, ლაზები.

ივ. ჯავახიშვილი **„მაკრონებს"** აიგივებს მეგრელებთან (**ივანე. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 38.). სტრაბონის ცნობით, მისი დროისათვის **„მაკრონებს"** ეწოდებოდათ **„სანები"** და ისინი ცხოვრობდნენ ტიბარებთან და ქალდებთან ერთად ტრაპიზუნტისა და ფარნაკის ზემოთ (იხ. **თინათინ ყაუხჩიშვილი,** ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 25.).

კუნძული ევბეა არა მარტო კოლხი მაკრონების ძველი საცხოვრებელი იყო, არამედ ამ კუნძულზე მადნების დამუშავებაც კი დაუწყიათ, აქ უცხოვრიათ ხალიბებს. ვირგილიუსის **„გერგიკების"** მიხედვით ხალიბების ტომს პონტოში რკინა აღმოუჩენიათ, რომლისთვისაც სახელი უწოდებიათ ევბეას სოფლის სახელწოდების მიხედვით. ევბეაზე და მიმდებარე კუნძულებზე კოლხურ ტომებს – მეგრელებს, ჭანებს, ჰქონდათ ქალაქ-სახელმწიფო **„ია"**.

კუნძულ კრეტაზე კნოსოსის სამეფო სასახლის ნანგრევების გათხრებისას აღმოჩენილია თიხის ფირფიტები, რომლებსაც ლურსმული წარწერები ჰქონდა. გაშიფვრის შემდეგ ინგლისელი მეცნიერი ჯეიმს ჩედვიკი მიუთითებს, რომ პელაზგ კოლხ მაკრონებს – მეგრელებს, ლაზ-ჭანებს მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეაზე ჰქონდათ ქალაქი-სახელმწიფო, რომლის სახელწოდება **„ია"** ყოფილა და ჰყოლიათ მეფეები – აიეტის წინაპრები ჰიპერიონი, ჰელიოსი და სხვ.

ბერძნული წყაროების მიხედვით კოლხებს მდინარე ფასისზე 120 ხიდი ჰქონდათ აგებული.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს: **„ჩვენ მოგვეპოვება ისტორიული დამოწმება ლეონტი მროველისა, რომ ძველ დროში სვანები მოსაზღვრე ყოფილან იბერიებისა, მათ სჭერიათ არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მთიანეთი. ისინი სახლებულან დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე"** (**ექვთიმე თაყაიშვილი,** როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? ჟურნ. **„აია",** 2001, № 9-10, გვ. 21.), რომ კოლხეთის მოსახლეობის მეორე შტოა სუანები (სკანები).

სვანებზე ძველ ბერძნულ წყაროებში მასალები შედარებით მცირეა. სტრაბონს თავის **„გეოგრაფიაში"** სვანებზე აქვს შესანიშნავი ცნობები: **„სვანებს უჭირავთ დიოსკურიის მაღალი მთები და იქიდან მბრძანებლობენ გარშემო ხალხებზე. მათ ჰყავთ მეფე, რომელიც სამასი მხედრისაგან შემდგარი კრების შემწეობით განაგებს. მათში ყველა მხედარია. მხოლოდ აკლიათ მუდმივი ჯარის გაწვრთნილობა. როგორც ამბობენ, მათ შეუძლიათ გამოიყვანონ 200 ათასი მეომარი, მაგრამ არა ორგანიზებული ძალა. მათ ქვეყანაში, როგორც ამბობენ, მთის ნაკადულებს უხვად ჩამოაქვს ოქრო, რომელსაც იჭერენ ვერძის ტყავით. ამბობენ, აქედან წარმოიშვაო მითი ოქროს საწმისზე"** (**გუდუ (ბადა) სოფია,** ლაზურ-მეგრული (ჭანური) კვალი ისტორიის შორეულ წარსულში. ჟურნ. **„აია",** 2001, №9-10, გვ.83-105).

სტრაბონის წიგნის მიხედვით შედგენილ რუკაზე, პირველი საუკუნის მდგომარეობით კოლხების საცხოვრისი მითითებულია მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში – თანამედროვე დაღესტნისა და ყალმუხეთის ჩათვლით ვრცელი ტერიტორიები.

პროფესორი ზურაბ რატიანი წერს, რომ ყირიმის ნახევარკუნძულიდან კასპიის ზღვამდე, ე. ი. მთელი ჩრდილოეთი, სამხრეთ კავკასია და სამხრეთით მიმდებარე მხარე ძირძველი ქართული (კოლხური) მიწა-წყალია და აგრძელებს: **„მდინარე ყუბანის სათავიდან შესართავამდე, მარცხენა ნაპირის ქვეყანა, შესაბამისი შავი ზღვის სანაპიროთი ტამანის ნახევარკუნძულამდე, უძველესი დროიდან ქართველებით – მეგრელებითა და სვანებით ყოფილა დასახლებული"** (**ზურაბ რატიანი,** პირიქითა საქართველოს ისტორიის საკითხები, გაზ. **„დიოსკურია",** 2004, ოქტომბერი, №16). სტრაბონიც ამბობდა, რომ იმხანად ჰერეთის ე. ი. კასპიის ზღვასთან კოლხები მოსახლეობდნენ.

გარდა სხვა ტერიტორიებისა აზოვის ზღვიდან ყირიმამდე ცხოვრობდნენ მეგრულ-ლაზური ტომები (იბერიელები, ილმერები). **"შესაძლებელია შუმერები მოსული ხალხები არიან,** – ამბობს ი. შილოვი, – **მაგრამ ერთი გარკვეულია, რომ შუმერები მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხის მემკვიდრენი არიან,"** რომ შუმერები მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ხალხები არიან (ვალერი შენგელია).

ისიც ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ქალაქი ნოვოროსიისკი და მიმდებარე ტერიტორიები დასახლებული იყო ვითომ არაქართველებით; ეს მიდამო კოლხეთის მიწა-წყალი ყოფილა და ერქვა **„ლაზური"** (**„ლაზიკა"**). იქვე მდებარეობს ქედი, რომელსაც **„კოწახურის მთაგრეხილი"** ეწოდება.

პლინიუსის მიხედვით მდინარე **რას** (თანამედროვე ვოლგა) სამხრეთით იმჟამად მოსახლეობდნენ გეორგელები ანუ ქართველები, შემდეგი სახელწოდებით: კოლხები, სვანები, მოსხები (ანუ მესხები) (**ნათელა ფოფხაძე,** პრეისტორიული კოლხეთი. გაზ. **„დიოსკურია",** 2004, სექტემბერი, №15. ნ. ფოფხაძეს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს საინტერესო ნაშრომები, მათ შორის გვინდა აღვნიშნოთ მის მიერ შედგენილი კრებული **„ჩვენი საქართველო. ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ"** თბ., 2002, და სხვა მრავალი სტატია. ნ. ფოფხაძე ახალ მეცნიერულ მიღწევებს, ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს ეცნობა ინტერნეტის საშუალებითაც, რასაც ხელს უწყობს უცხოური ენების ცოდნა და ჟურნალისტური გამოცდილება.).

ასევე, კასიტების (კასკების) სალაპარაკო ენა იყო მეგრულ-ლაზური ენა კასიტებისაგან, კასკებისაგან მომდინარეობს მხარის, ადგილის სახელწოდება **„კავკასია"**.

ნ. ფოფხაძე წერს, რომ კოლხეთში (ისტორიულ საქართველოში) ქრისტეს დაბადებამდე მესამე ათასწლეულში მეფობდა **„ადაგ"** (რომლის სახელის მიხედვით დამკვიდრდა ცნება **„ადამიანი"**), დაახლოებით იმავე პერიოდში მოღვაწეობდა მეორე დიდი მეფე **„აია"**, რომლის სახელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო (კოლხეთის) სახელმწიფოს სახელწოდებად.

ანტიკური ხანის ავტორები შეეცადნენ დაედგინათ, კოლხეთის სამეფოს და მისი მითიური დედაქალაქის – აიას (ია) ადგილმდებარეობა, ლეგენდარული მეფე აიეტის, მთელი კოლხეთის დიდებული ისტორია.

პლინიუსის და სტეფანე ბიზანტიელის აზრით ქალაქი აია მდებარეობდა ზღვის მოშორებით მდინარე ფაზისის ნაპირზე, კლავდიოს პტოლემაიოსის (პტოლომეუსი (კლავდიის პტოლომაის, დაახლოებით 100-178) – გამოჩენილი ასტრონომი და გეოგრაფი ელინისტური ხანისა, მისი **„გეოგრაფიის სახელმძღვანელო"** შეიცავს დიდ ცნობებს კოლხეთის შესახებ.) მიხედვით – ზღვის სანაპიროზე ქალაქ ფასისის ჩრდილოეთით, ნიკანორ ალექსანდრიელი კი ქალაქ აიას დიოსკურიასთან აიგივებდა (იხ. **აკ. ურუშაძე.** ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964 და ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, გვ 230).

როგორც ცნობილია, ფასისი მდინარე რიონის ბერძნული სახელწოდებაა. ძველ მსოფლიოში ფასისი და კოლხი (კოლხეთი) ერთ მცნებად აღინიშნებოდა. ფასისი, ძველ წყაროებში მოიხსენიება ბერძენი ავტორის ფსევდო – სკილაქს კარიანდელის პერიპლუსში (ძვ. წ. IV ს.) (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, გვ. 238).

„აიას" (ახალი პოლისი, ნაქალაქევი) მეფე აიეტის მიერ ან მასზე უფრო ადრე (მაგრამ უფრო აიეტი) დაარსებული და აშენებული ქალაქის სახელწოდებაა. კოლხეთის დედაქალაქი აია შავი ზღვის ნაპირებიდან 50 კილომეტრით არის დაცილებული. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას ძველი ბერძნები კოლხიდას, ხოლო ადგილობრივი მკვიდრნი ეგრისს უწოდებდნენ.

ათასწლეულების წინანდელი წყაროები გვაძლევენ დასკვნის საშუალებას იმის შესახებ, რომ ქართველთა აღმნიშვნელი სახელწოდებები: მეგრელი, სვანი, ქარდუელი (ქართველი), აიელი, ტაოელი, შავში ან შავშელი და სხვა, გამომდინარეობდნენ გამოჩენილი მეფეების სახელებიდან: ქარდუ, სვანი (სუანი), ტაო I, ტაო II, შავში, ხალდე (იგივე ჰალდე), აია (**ნათელა ფოფხაძე,** პრეისტორიული კოლხეთი, გაზ. **„დიოსკურია",** 2004, სექტემბერი, №15). ასე ყოფილა წარმოშობილი სიტყვა კოლხი ქალაქის სახელწოდების მიხედვით.

ქართველ ერს, რომელმაც მიწათმოქმედი და მშვიდობიანი ერის სახელი დაიმკვიდრა, უძველესი დროიდან **„გეორგიანებს"** – გეორგებს უწოდებენ.

ქართველ – **„გეორგები"** პირველ საუკუნეშიც ეწოდებოდა იმ ხალხებს, რომელთა ტერიტორიები მდებარეობდა ყირიმის ნახევარკუნძულის უმეტეს ნაწილში, სადაც ქართველთა მეფე აიეტის მიერ დაარსებულ იქნა ქალაქები აია (დღევანდელი ქერჩი), დია და ქუთაია, რომლის შესახებ I საუკუნის უცხოელი მკვლევარები გარკვევით მიუთითებდნენ (**ნათელა ფოფხაძე,** შავ ზღვას კოლხეთის ზღვა ერქვა, გაზ. **„თუთარჩელა",** 2001, 16-23 დეკემბერი).

საქართველოს ძველი სამეფო, ძველი და ახალი იბერიის სამეფო დააარსა სამმა ძმამ – სამმა მოძმე ტომმა: ქართებმა (ქართველებმა), მარგალებმა (მეგრელებმა) და სუანებმა (სვანებმა), ამიტომაა, რომ ის წარმოადგენს სამი ენის მთლიანობას – ქართულის, მეგრულის და სვანურის, უფრო გვიან ამ სამმა, გენეტიკურად ერთმა ეთნოსმა ერთი მთლიანი ერი შეადგინა. ივანე ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ 1908 წელს გამოსულ **„ქართველი ერის ისტორიაში"**, ქართველების სამ უმთავრეს შტოზე მიუთითებს, რომ **„ქართველებს ენათმეცნიერება სამ უმთავრეს შტოდ ყოფს: ერთ შტოს ქართლურად მოსაუბრენი შეადგენენ („ქართლელნი, კახელნი, ფშავ-ხევსურნი, მესხები, აწინდელი იმერლები და გურულები); მეორეს იბერიელნი ეკუთვნიან, ანუ მეგრელ-ლაზ-ჭანები; ხოლო მესამეს სვანები"** (**ივანე ჯავახიშვილი.** ქართველ ერის ისტორია, ქართველთა სამი შტო, 2011, გვ. 18. წიგნი 1908 წლიდან არ გამოცემულა. ახალი გამოცემის ორგანიზატორები, საპატიო დოქტორები როლანდ ჯალაღანია და დავით ქობალია წერენ: **„ნაშრომი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12 ტომეული შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი ხელმეორედ გამოცემა. მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ენის ფენომენების თაობაზე".** ივანე ჯავახიშვილის წინამდებარე წიგნი გამოცემის ორგანიზატორებმა მთელ საქართველოში უფასოდ დაარიგეს.).

როგორც ითქვა, დიოდორე სიცილიელი და პლინიუს უფროსი ადასტურებენ: ეგვიპტის მეფე სეზოსტრისმა **„დაამარცხა ადგილობრივი მეფე"** სელუფკე და დიდი ალაფი-განძით დაბრუნდა თავის ქვეყანაში. პლინიუს უფროსი ახსენებს აიეტის შთამომავალ სავლაკს, რომელიც მოღვაწეობდა ეგვიპტის ფარაონ რამზეს II-ის დროს და რომელიც (სავლაკი) თავის ქვეყანაში და სვანეთში დიდძალ ოქროს მოიპოვებდა. აქედანაც ჩანს, რომ კოლხეთის ძველი მეფეები (ფიხუნია და სხვ.) დიდი ხნით ადრე მოღვაწეობდნენ (ჰქონდათ სამეფო), ვიდრე ეგვიპტეს მართავდა რამზეს II.

აღსანიშნავია პლინიუს უფროსი, რომელიც კოლხეთის მეფე სავლაკს (გვიანდელი ელინური ხანა) იხსენიებს, როგორც აიეტის შთამომავალს და რომელსაც უამრავი ოქრო და ვერცხლი მოუპოვებია სვანეთის ქვეყანაში: პლინიუსი თავის თხზულებებში გარკვევით აღნიშნავს, რომ **„სავლაკს სასახლეში ჰქონდა ოქროს კამარები, ვერცხლის კოჭები, სვეტები და პილასტრები"**, რომლებიც მას ნამდვილად წამოუღია ეგვიპტის ლეგენდარული მეფის სესოსტრისისაგან. ზოგიერთები – დ. კაპანაძე, კ. გოლენკო და სხვ. – კოლხეთის მეფე სავლაკს მიაწერენ მონეტების მოჭრას (რომელიც ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრით თარიღდება). სულ შემორჩენილია სამი ტიპის ვერცხლისა და სპილენძის 7 ცალი მონეტა. სამი ინახება ბერლინის მუზეუმში, ერთი ბრიტანეთის მუზეუმში, სამი ცალი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. სავლავის ზოგიერთ მონეტაზე გამოსახულია მამაკაცის თავი სხივებიან გვირგვინში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, გვ. 642.) და ისე როგორც **„კოლხურ თეთრში"** ხარი, ძლიერების სიმბოლო.

(გაგრძელება იქნება)

8+1 – ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაცვლად

წელს ბოლო ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდება. მომავალი წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ახალი კონტინგენტის მიღება გამოსაშვები-საატესტატო 8 გამოცდითა და ზოგადი უნარების ერთი გამოცდით მოხდება. ამის შესახებ **„მასწავლებლის სახლში“** თავად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა. **„...მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. ახლა არის 8 საატესტატო გამოცდა და 4 უმაღლესში მისაღები გამოცდა. სკოლის 8 გამოცდისთვის ცალკე ემზადება ბავშვი, მერე ქირაობს რეპეტიტორს და ემზადება დანარჩენი 4 გამოცდისთვის. რეპეტიტორის ქირაობის საშუალება ბევრს არ აქვს. აღმოჩნდა, რომ საზოგადოება ისევ დავყავით პრივილეგირებულ, ცხვირაწეულ ტიპებად და დანარჩენ საზოგადოებად. ამას მე ვერასოდეს მივიღებ,“** – უთხრა სააკაშვილმა შეკრებილებს.

„ჩვენ დავკარგეთ დრო. განათლების სამინისტროში ამაზე კამათში რომ არ გეტარებინათ დრო, წელს უკვე ეროვნული გამოცდები აღარ ჩატარდებოდა. მომავალ წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები აღარ ჩატარდება. იქნება 8 გამოცდა და 1 ტესტი მხოლოდ უნარ-ჩვევაში, როგორც არის საფრანგეთში, გერმანიაში და ყველა ცივილურ ქვეყანაში და ამ გამოცდების შედეგებით ახალგაზრდები ჩააბარებენ უმაღლეს სასწავლებელში. ვისაც სკოლა უკვე დამთავრებული აქვს, იმათთვის ცალკე შეექმნით ტესტებს... ადრე გამოცდები იყო რატომღაც მარტო ზაფხულში. ბავშვები, რომლებიც ვერ ჩააბარებენ, წლის განმავლობაში როცა მოუნდებათ, მაშინ სცადონ გამოცდების ჩაბარება. როცა ჩააბარებენ, მაშინ ჩააბარონ,“ – თქვა პრეზიდენტმა.

8+1 (8 საგანი და 1 ზოგადი უნარები) მოდელით უმაღლეს სასწავლებლეში სტუდენტების მიღების იდეა გასულ წელს სწორედ მაშინ გაჩნდა, როცა პირველად გამოსაშვები-საატესტატო გამოცდები შემოვიდა. როგორც ცნობილია, საატესტატო გამოცდები **კატ**-ის (კომპიუტერთან ადაპტირებული ტესტირებით) ტიპის საგამოცდო მოდელით ტარდება. სისტემის მიხედვით, სკოლადამთავრებული კომპიუტერთან ზის და სპეციალური პროგრამით შეკითხვებს პასუხობს. კითხვა მარტივი დავალებით იწყება და თანდათან რთულდება...

შარშანვე გამოცდების ეროვნული ცენტრის ახლა უკვე ყოფილი დირექტორი და მისი მოადგილეც (ახლა უკვე ყოფილი) ამბობდნენ, რომ საატესტატო გამოცდებით სტუდენტების უმაღლესებში მიღების იდეა მართლაც არსებობს, მაგრამ ეს ისეთი ტიპის საატესტატო გამოცდების ტესტებით, რომლებიც ახლა გვაქვს, შეუძლებელია.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სამინისტროში ამის შესახებ კამათი ყოფილა.

როგორც მაია მიმინოშვილი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ამბობდა, **„საუბარი იყო იმაზე, რომ გამოსაშვები გამოცდები იმ ფორმით (კომპიუტერთან ადაპტირებული ტესტირება, რომლის დროსაც სკოლადამთავრებული მარტივი დავალებების ხარჯზე ახერხებს ბარიერის გადალახვას – რედ.) დარჩეს, როგორც ვატარებთ, და ამას დაემატოს უნარების გამოცდა. აი, აქ იყო ჩვენი უთანხმოება, რადგან ამ ფორმატით – კომპიუტერთან ადაპტირებული ტესტირებით, როგორიც არის გამოსაშვები გამოცდები, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების სისტემა ვერაფრით ვერ იქნება. მაშინ, უნდა შეიცვალოს ტესტები, უნდა დაემსგავსოს მისაღები გამოცდების ტესტების ფორმატს, სადაც ღია დავალებებიც გვაქვს და დახურულიც; ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტი, საატესტატო გამოცდისგან განსხვავებით, ასევე, იძლევა აბიტურიენტის წერის კულტურისა და ლოგიკური უნარის, მათემატიკური მსჯელობის უნარის შემოწმების საშუალებას. ყოველივე ამის საშუალებას გამოსაშვები გამოცდების ტესტი ნაკლებად იძლევა...“**

აკადემიკოსი ზურაბ ვახანია თვლის, რომ თუკი საატესტატო გამოცდებით მოხდება სტუდენტების ჩარიცხვა უმაღლეს საწავლებელში, მაშინ უნდა შეიცვალოს საატესტატო გამოცდის ტესტი.

„იმ საატესტატო ტესტით, რაც ახლა გვაქვს, მართლაც არ შეიძლება სტუდენტების ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში. შეიცვლება თუ არა ეს ტესტები ისეთად, რომ დაემსგავსოს უმაღლესში მისაღებ ტესტს, აქ ტექნიკური სიძნელე იქნება. მარტივად რომ ვთქვა, არ შეიძლება არაფერი დაწეროს აბიტურიენტმა და ისე გახდეს სტუდენტი. ასეთი რამე არსად არ ხდება! უბრალო რამე – შეუძლია თუ არა აბიტურიენტს მსჯელობა, აზრის ჩამოყალიბება – ეს სად უნდა შემოწმდეს?! ამ საატესტატო ტესტში მარტო პასუხებია შემოსახაზი. ასეთივე ტესტია ზოგადი უნარების ტესტებიც, რომელსაც უმატებენ. აქაც მარტო შემოსახაზებია. ამ ტესტში მაინც უნდა დაამატონ რამე დასაწერი. აპირებენ ამას თუ არა, არ ვიცი.“

ილიაუნის პროფესორი გიორგი გახელაძე ამასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, დიმიტრი შაშკინის იმ გამოსვლას იხსენებს, რომელიც რამდენიმე კვირის წინ შედგა და 8+1 მოდელის ინიციატივაზე ისაუბრა.

„მინისტრმა თქვა, რომ საატესტატო გამოცდებში წლიდან წლამდე თამასა აიწევდა და გართულდებოდა. თუმცა წელს თამასა აწეული იყო საატესტატო გამოცდებზე მოსწავლის მხოლოდ დაშვების თვალსაზრისით. საზოგადოდ კი ატესტატის ნიშანს პლუს უნარების გამოცდით განვითარებულ ქვეყნებში სტუდენტის მიღება უმაღლეს სასწავლებლებში ნაკლებად ხდება. იქ უნივერსიტეტებს მეტი ავტონომია აქვთ. ჩვენთან გაართულებენ თუ არა ამ სატესტატო გამოცდებს, გახდიან თუ არა უფრო რელევანტურს – ეს უცნობია. თუმცა, აქ გართულება სულაც არ არის მთავარი, რადგან საერთო ჯამში ამ გამოცდებს მაინც ექნება არა უმაღლესში მისაღები გამოცდების ფუნქცია, არამედ გამოსაშვები.“

ვახანია თვლის, რომ **„თუკი დაუმატებენ ყველა საგანს თითო დასაწერს, განსაკუთრებით ქართულ ენასა და ლიტერატურას, ასევე უცხო ენასაც, ეს შედარებით წაადგება საქმეს“**, მაგრამ აქ მეორე დიდი თავსატეხი ჩნდება:

„მოკლედ, ყველა საგანს უნდა დაემატოს ერთი რამე დასაწერი, წერითი დავალება. მაგრამ ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ამ გამოცდების სკოლაში ჩატარება, რადგან რომ დაწერენ მოსწავლეები, ამ ნაწერებს რა უნდა უყონ?! 2 000 სკოლაში კი იმის გაკონტროლება, რომ არ დაიწყოს მექრთამეობა, ფიზიკურად შეუძლებელია. აქ უკვე ყველანაირი თაღლითობა შეიძლება მოხდეს.“

აკადემიკოსი ეჭვობს, რომ სამინისტრო, რაკი წელსვე გეგმავდა ერთიანი ეროვნული გამოცდების გაუქმებასა და უმაღლესებში სტუდენტების მიღებას საატესტატო გამოცდებით, საგამოცდო ტესტის შეცვლას საერთოდ არ აპირებდა.

ზურაბ ვახანია: **„ნუ დაწერს ნურაფერს და ისე იყოს სტუდენტიო** – ამასაც ფიქრობენ სამინისტროში, როგორც ეს ილიაუნის რექტორმა გიგი თევზაძემ თქვა – **რა საჭიროა სტუდენტს რამე დავაწერინოთო. ამ მხრივ რექტორების პოზიცია ასეთია: რაც შეიძლება ადვილი იყოს გასტუდენტება იმიტომ, რომ რჩებათ შეუვსებელი ადგილები და ამით ფული ამოქაჩონ. ძალიან ბედნიერები იქნებიან, თუ სულ გაუქმდება გამოცდები. რაც შეეხება სამინისტროს სურვილს: უნდათ, რაც შეიძლება ნაკლები დარჩნენ რეპეტიტორები, რადგან აქ დიდი ფული ტრიალებს. ანუ მათ კონტროლის გარეშე ტრიალებს დიდი თანხები. როგორც გითხარით, რექტორებს ფულის ამოქაჩვა უნდათ, სამინისტროში – ფულის გაკონტროლება, განათლებაზე კი არც ერთი ფიქრობს და არც მეორე.“**

პროფესორი გიორგი გახელაძე მიიჩნევს, რომ უმაღლესებში მისაღები საგამოცდო სისტემა უფრო სხვანაირი უნდა იყოს, ვიდრე არის;

„მთავარია უმაღლესი სასწავლებლების როლი, მათი ავტონომიურობა და მათ მიერ დაწესებული მოთხოვნები გახდება სტუნდენტისთვის მისაღები.“

შეიცვლება თუ არა საგამოცდო სისტემაში რამე, ამაზე სამინისტროდან არავინ საუბრობს.

2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მზადება გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა კი უკვე დაიწყო. საამისოდ თბილისში ხუთი საგამოცდო ცენტრი გაიხსნება. საგამოცდო ცენტრები იქნება ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისში, ახალციხეში, გორში, თბილისში, რუსთავში, თელავში, სიღნაღსა და ხულოში.

თბილისის ხუთ საგამოცდო ცენტრში 20 ათასამდე აბიტურიენტი გაივლის საგამოცდო პროცესს, მათგან 3600 – 175-ე საჯარო სკოლის საგამოცდო ცენტრში.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 28 ივნისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით იწყება. 29 ივნისს ამავე საგნის მეორე სესიაა;

მეორე გამოცდა აბიტურიენტებს 2 ივლისს უცხო ენაში ექნებათ; თუმცა 2-ში – მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც გერმანულ ენას აბარებენ;

2, 3 და 4 ივლისს მეორე სესიად ისევ უცხო ენის გამოცდა ამჯერად ინგლისურ ენაში; ფრანგულსა და რუსულ ენებში – 5 ივნისს; 6 ივლისის პირველ სესიაზე აბიტურიენტები ლიტერატურის გამოცდებზე გავლენ; ამავე დღეს მეორე სესიაზე სტუდენტები საგრანტო კონკურსში მოსინჯავენ ძალებს და დაფინანსების გასაუმჯობესებლად ზოგადი უნარების გამოცდას ჩააბარებენ.

უნარების გამოცდას აბიტურიენტები 9-10 ივლისს პირველ და მეორე სესიად ჩააბარებენ; ამას 11 ივლისს მოჰყვება გეოგრაფია; 12 ივლისი – ფიზიკა; 16 ივლისს – ისტორია; 17 ივლისი მათემატიკის გამოცდის დღეა; 18 ივლისი კი ბიოლოგიის;

ერთიანი ეროვნული გამოცდები 19 ივლისს ქიმიის გამოცდით დასრულდება.

მ. ოთარაშვილი



„დეზერტირების“ ამჟვეყნიური ჯოჯოხეთი

როგორც ძველი აღთქმიდან მახსოვს, ძველი ებრაელები ნაგავსაყრელს ეძახდნენ ჯოჯოხეთს. ეს სახელი რომ არ არსებულიყო მე დავარქმევდი **„დეზერტირების“** ბაზრობას. აქაურობა განსაკუთრებით წვიმიანში და ნაწვიმარზე ჰგავს ჯოჯოხეთს. ჩემში მუდმივად პროტესტს იწვევს, ღია ცის ქვეშ, ან საგანგებო ფარდულებში შეყუჟული, ნაგავში ჩაფლული გამყიდველ-გადამყიდველების შემგუებლობა სიბინძურესთან და უწესრიგობასთან, რომელსაც თვითონვე ქმნიან. დღემდე ვერ ამიხსნია რა ხასიათი აქვს ამ ბედკრულ ხალხს? პირველ რიგში იმიტომ ბედკრულს, რომ გარემოს გაუმჯობესების სურვილი არ აქვს. ვიღაც მეტყვის, იმიტომაც დგას მანდ სავაჭროდ, რომ გარემოს გაუმჯობესება უნდაო, ალბათ საცხოვრებელ გარემოს იგულისხმებთ, თორემ სამუშაო გარემოს რომ თვითონვე იუარესებენ, არაერთხელ შეესწრებივარ პირადად. ასე მაგალითად, კომბოსტოს გამყიდველი ქალი, დაზიანებულ ფოთლებს აცლის ბოსტნეულს და მაგიდის ქვეშ ყრის. მთელი დღე იმ ნაგავში ზის. ღამით მისი მაგიდის ქვეშ მეეზოვის ცოცხი არ ხვდება. შესაბამისად კომბოსტოს ნაგავიც ძველდება და იტკეპნება, მას ახალი ემატება და ასე გრძელდება მანამ, ვიდრე ვინმე მადლიანი ცოცხს არ გამოჭკრავს მაგიდის ქვეშ. ასე ხდება მწვანილის გამყიდველებთან, ასე ხდება ხილის გამყიდველებთან და ა.შ. ადამიანები აბიძნურებენ სამუშაო გარემოს და ნაგავში ისე ყელყელაობენ მთელი დღე, რომ აშკარად არც სუნი აწუხებთ და არც უსიამო სანახაობა. მარტივი ლოგიკაა, რომ აწუხებდეთ, ხომ დაასუფთავებენ იმ ადგილს მაინც, სადაც თვითონ ვაჭრობენ?

იმაშიც შემედავება ვინმე, ნეტავ რა იცი, რომ ეგრე ხდება, რა ყოველდღე იქ დადიხარო? დიახ, ერთი პერიოდი გამიჩნდა დაკვირვების სურვილი და ერთი კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილებში მართლა ყოველდღე დავდიოდი. მერე საგაზეთო სტატიებიც ვუძღვენი ამ თემას, მაგრამ რა? მიუხედავად იმისა, რომ მრავალმხრივ უზნეომ და უკუღმართმა, დედაქალაქის ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში ნინოშვილის ქუჩაზე გამოუყო **„დეზერტირელებს“** სავაჭრო ადგილი, დახლებიც დაუდგა, გადაუხურა კიდეც და მგონი ძირს ასფალტის საფარიც დაუგო, არ მიდის ეს ხალხი სიმშრალესა და სისუფთავეში და კვლავ ნაგავში დგანან. იქ კლიენტი არ მოვაო. აბსურდია. მშიერი კაცი იქ მიდის სადაც საჭმლის სუნი სცემს. ადამიანიც ცხოველივით არის, რაც სჭირდება, იმის გეშს, მით უფრო საჭმლისას, ყოველთვის იღებს. ან რა პრობლემაა, თუ დეზერტირების სანაგვეზე არ დახვდებათ ასეთი ჯოჯოხეთი, დაიწყებენ მისი ასავალ-დასავალის ძებნას და მიადგებიან ნინოშვილზე. მოკლედ, თითიდან გამოწოვილი პრობლემა მგონია ის, რომ მეტი გადასახადი იქნება, ის, რომ იქ მყიდველი არ მოვა, ის, რომ გადასახადების გამო პროდუქტის გაძვირება კლიენტს დაუფრთხობს. კარგი, რა. არ მჯერა მე ამ აბსურდების და ჯოჯოხეთის ტრფიალის. ერთი კი ზუსტად ვიცი, არ მინდა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში ებრაული ჯოჯოხეთის მსგავსი სანახაობა იყოს და ნაწვიმარზე, ან წვიამიანში ამ ადგილზე მოხვედრილს გული მიწუხდეს და მერეოდეს იმ საშინელი სიმყრალის და სიბინძურის გამო, რომელიც იქ სუფევს.

ამბობენ, რა გარემოშიც ცხოვრობ, იმას ჰგავხარო, ჰოდა, რა გარემოშიც ცხოვრობს და შრომობს (ამას თუ შრომა ჰქვია) ეს ხალხი, ალბათ ისეთიც არის (ბოდიშს ვიხდი იმ ადამიანების წინაშე, ვინც არც ასეთ გარემოში კარგავს ღირსებას, დახლიც მოწესრიგებული აქვს, პეწსაც ინარჩუნებს, თავაზიანობასაც და მყიდველიც არ აკლია) და მხოლოდ ფეხებით კი არ დგას ნაგავში, სულშიც უგროვდება. სხვანაირად გაუგებარია ზურგსუკან მიყოლებული წყევლა იმ მოქალაქეებისადმი, რომელთაც ვინმეს პროდუქტი დაუწუნეს და სხვისკენ გაეშურნენ. ღმერთო ჩემო, ნუთუ ვინმე ვალდებულია, რომ ნაგავი იყიდოს?

დახლზე დაჭყლეტილი, აქოთებული სამი დღის მარწყვი რომ უდევს გასაყიდად და ზევიდან აქვთ წაყრილი საღი ხილი, თუ ჭკვიანი მყიდველი მიუხვდება ეშმაკობას, ვიღაც სინდისთან გამწყრალი გადამყიდველი ჯერ თავის მართლების დროს დებს ქმარ-შვილს სამარეში, მერე კი, თუ ვერ დაგარწმუნა თავის **„ფსევდო“** გულწრფელობაში, შენ მოგაწყევლის, არ დაინახა შენმა თვალებმა არაფერი, შენ დაბრმავდი ამ საღამოს, არ ჩგსვლოდეს პირში არაფერი და ა.შ. სათვალავი მერევა, არ მახსოვს უკვე რამდენჯერ ვიჩხუბე ასეთი ენაგაუკუღმართებულების გამო. მე რომ ერთთან პროდუქტს ვყიდულობდი, მეორე ზურგშექცეულ მყიდველს წყევლიდა. გამოვესარჩლები ხოლმე, იმას, ვისაც არც მისი მისამართით ნათქვამი ავსიტყვაობა გაუგია და ალბათ სასურველი პროდუქტით ხელდამშვენებულიც მიდის შინ. სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ აზრი არ აქვს, **„დეზერტირების“** ჯოჯოხეთში მობობოქრე დემონების ჭკუის სწავლებას. ისინი არასოდეს შეიცვლებიან, ისევე, როგორც წუწებიან და მტვრიან ქუჩაში დაბალ დახლებზე გამოფენილი შემწვარი თევზის, ქათმის ხორცის და კატლეტის კლიენტები. ისინი, ვისაც მზა საჭმლით უნდა შიმშილის მოკვლა, იმას კი ვერ ხვდება რა შხამს უშვებს სტომაქში. მოკლედ მე მინდა გავაქრო **„დეზერტირების ჯოჯოხეთი“** და ხალხი სიბინძურის სიყვარულს გადავაჩვიო, მინდა, მაგრამ არ ვიცი როგორ მივაღწიო სასურველ შედეგს.

ე. ლომიძე

სააკაშვილის მიერ გაწეული ის ხარჯები მოგიტანეთ, რომელიც აქამდე არ გამოქვეყნებულა, ეს არის ექსკლუზივი მხოლოდ თქვენთვის

"ქრონიკა" იწყებს ქვეყნის მატყუარა პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის **"სიცრუის ნაკვალევზე"** სიარულს. ამით საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რას შეპირდა იგი ხალხს, როცა ვარდით ხელში პარლამენტში შევარდა, შევარდნაძეს ჩაი დაულია და რას აკეთებს ახლა, პრეზიდენტობიდან 10 წლის გარიჟრაჟზე.

დაპირება პირველი

მამუკა ბალიაშვილი,– პარტია "სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზის" ***ერთ-ერთი ლიდერი:***

– მიშა პრეზიდენტი რომ გახდა, მალევე დანიშნა შეხვედრა პუტინთან, შემდგომ კი თბილისი-მოსკოვის რეისის სამგზავრო თვითმფრინავის ეკონომკლასის ბილეთი აიღო და ისე ჩავიდა მოსკოვში. **აეროპორტში გააკეთა ასეთი განცხადება – მოვიდა დრო, როცა ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს იქ, სადაც არის მისი ხალხი და იგი არ უნდა განსხვავდებოდეს უბრალო მოქალაქეებისაგან.** ცხადია, ეს იყო შესანიშნავი ტონი, მას ასეთივე გაგრძელება რომ მოჰყოლოდა. იმ პერიოდში იგი მეტროთიც დადიოდა და სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც კი ჯდებოდა. შესანიშნავად მახსოვს, როგორ იმგზავრეს მეტროთი, საბურთალოს ხაზზე, სანდრამ, მიშამ, გიგი უგულავამ და იქვე თქვეს: – ქამრის შემოჭერის დრო არის, ხელისუფლებამ არ უნდა იცხოვროს ისე, როგორც შევარდნაძის ხელისუფლება ცხოვრობდაო. მიშას ტერმინი **"გაღლეტილი"** და ხალხთან თავის მოსაწყლება ძალიან უყვარს. მაშინ ხალხს საკუთარი ახლობლებიც **"გაღლეტილებად"** წარმოუდგინა და დაჰპირდა, რომ მკაცრად დასჯიდა ყველას, თუ მათ სხვა ქონება გამოუჩნდებოდათ. **ახლა მარტო სააკაშვილის ბიძისა და ძმის ინტერესებზე რომ ვილაპარაკოთ ისეთ მნიშვნელოვან ბიზნესში, როგორიცაა საწვავი, მთელი დღე დავკავდებით, რადგან ამ ბიზნესის მთავარი მონოპოლისტი სააკაშვილის ოჯახი და მისი ახლობლობაა. მიშას კი ხალხისათვის მიცემული დაპირება აღარც ახსოვს და, უფრო მეტიც, საზოგადოებრივი აზრი უკვე ფეხებზე ჰკიდია, ისე ჰყავს შეპყრობილი და დატყვევებული დიქტატორის ცხოვრებას.** ამჯერად მიშას მხოლოდ ჰაერში და მიწაზე სეირნობებს შევეხები და ქვეყნისათვის მიყენებული ზარალის მცირე ნაწილს გაგაცნობთ.

მოკლედ, მოსკოვში ეკონომკლასით გაფრენიდან ზუსტად ოთხ თვეში მან საკუთარი 15-20 ადგილიანი თვითმფრინავი შეიძინა, რომელსაც მოფერებით **"პეპელასაც"** კი ეძახდა. მიშას ეს სიამოვნება ქვეყნის ბიუჯეტს 5 მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. სააკაშვილი თავს იმით იმართლებდა, რომ ეს პრეზიდენტის გადაადგილებისა და ოპერატიულობისათვის იყო აუცილებელი, თუმცა, ამ თვითმფრინავის შეძენამდეც მას სახალხო თვითმფრინავით აღარ უსარგებლია. ქართულ ავიაკომპანიებს **"აწერდა"** თვითმფრინავებს და ასე იყო მუდმივად ჰაერში ჩამოკიდებული.

2006 წელს ქვეყანაში უკვე სრული განუკითხაობაა. ყველა ბიზნესს უკვე სააკაშვილის ოჯახის წევრები და **"ნაციონალური მოძრაობის"** მამამთავრები აკონტროლებენ, მისი გარემოცვის ქონება კოლოსალურად არის გაზრდილი, მილიონებს აღწევს. ნაცებმა დაიწყეს სასახლეების შენება, უცხოეთში ქონების დაგროვება. ამასთან ერთად, ცხადია, იზრდება პრეზიდენტის ხარჯებიც. 2007 წელს კი სააკაშვილი უკვე **"ბოინგს"** ყიდულობს, უფრო მეტი ხალხით რომ იფრინოს და კომფორტულად **"იგულაოს"**, რაშიც ათ მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა, ცხადია, სახელმწიფოს ხარჯზე. იმის მიუხედავად, რომ ამაზე ოპოზიციამ საკუთარი პოზიცია გამოხატა, მას ამის თაობაზე რეაგირებაც კი არ მოუხდენია, და ხალხის აზრით საერთოდაც არ დაინტერესდა.

სხვათა შორის, **"ბოინგის"** შემდეგ **მიშამ კიდევ ერთი თვითმფრინავი შეიძინა, რომლის ტარებასაც უცხოეთიდან სპეციალურად მოწვეული კონსტრუქტორი ასწავლიდა, რაშიც ასევე დიდ თანხებს ვიხდიდით ბიუჯეტიდან. მას ასევე ჰყავს რამდენიმე ვერტმფრენი, რომელზეც, რატომღაც, არავინ საუბრობს. ამ ვერტმფრენით დადის ყაზბეგში და სხვა მთიან რაიონებში.** არავინ იცის რა ბედი ელის ამ ქონებას, როცა ის პრეზიდენტობის ვადას ამოწურავს, მაგრამ ამჯერად საუბარია ამ ყველაფრის საჭიროებაზე. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომლის პრეზიდენტმაც შეიძლება საკუთარ თავს მისცეს უფლება ისეთ სასახლეში იცხოვროს, რომელიც აიშენა, ჰყავდეს ძვირადღირებული ავტომანქანები, თვითმფრინავები, ვერტმფრენები, როცა ქვეყანაში მცხოვრები ხალხი სიღარიბის ზღვარზე და შიმშილით სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იმყოფება. უკვე ეჭვს არ ბადებს არავისში, რომ მიშა არის გაიძვერა და მატყუარა, მაგრამ მე ახლა მის მიერ გაწეული ის ხარჯები მოგიტანეთ, რომელიც

აქამდე არ გამოქვეყნებულა. ეს არის ექსკლუზივი მხოლოდ თქვენთვის. ამ ხარჯებში, ცხადია, მის საჰაერო ფრენებს და გადაადგილებებს დიდი ადგილი ეთმობა. **"ალია"** წერდა ექსკლუზიურად, როგორ **"შოპინგობდა"** მიშა მილანში, და ეს ყველაფერი, ცხადია, არც თუ ისე მცირე ხარჯებთან არის დაკავშირებული. მისი ფრენები, ნაყიდი ძვირფასი საათები, შოპინგები და გრიალი, ცხადია, საქართველოს მოსახლეობასა და ბიუჯეტს საშინელი თანხები უჯდება.

– მითხარით, აბა ექსკლუზიური და სკანდალური ციფრები.

– ბოლო ორთვენახევრის განმავლობაში, სააკაშვილის ტრანსპორტირებაში დახარჯული საწვავისათვის **პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადახდილი აქვს ოთხჯერ – 589.860 ლარი, 683.150 ლარი, 500.000 ლარი და 600.150 ლარი, რაც ჯამში ორმილიონნახევარ ლარამდე გამოდის.** ორი თვის განმავლობაში გაწეულ სხვა ხარჯების თანხებსაც გეტყვით და მიხვდებით **მიშას როგორ აქვს ქამარი "შემოჭერილი". ინტერნეტის ქსელის მოწყობაზე დახარჯული აქვთ 270.000 ლარი, კომპიუტერული ტექნიკაში 95.000 და 44.700 ლარი, ციხეფერი ელექტრომობილით გაიძვერულად რომ დადის, ამას იმითაც მიხვდებით, რომ მისი მანქანების შეკეთებაში კოლოსალური თანხებია გაწერილი – 199.999 ლარი, 60.800 ლარი, 28.800 ლარი, 21.500 ლარი,**

38.000 ლარი, 75.000 ლარი, 24.000 ლარი. სხვა ციფრებსაც მოგახსენებთ: პრეზიდენტის ფოსტა-კომუნიკაციებზე ორ-სამ თვეში 15 ათასი ლარი დაიხარჯა, საბეჭდი მასალებისათვის – 60.000 ლარი, 35.000 ლარი და 300 ლარი. ოპტიკურ ხელსაწყოებზე – 6.700 ლარი, ქსელსა და ინტერნეტზე – 111.000 ლარი და 9.500 ლარი, მონაცემთა ბაზაში –10.450 და 78.000 ლარი, დაზღვევაში, სულ – 74.000 ლარი. კიდევ გავაგრძელო დახარჯული თანხების ჩამოთვლა?

– კიდევ აქვს ხარჯები?

– ხუმრობთ? მე კიდევ ვერ მოგიტანეთ ეს სია სრულად. კომპიუტერებში დახარჯულია **74.000 ლარი, 4.200 ლარი და 8.950 ლარი. საოფისე მანქანებში 30.000 ლარი, 300.000 ლარი, 18.750 ლარი, 25.400 ლარი, 30.000 ლარი, 8.000 ლარი, 4 ათასი ლარი, 11 ათასი ლარი. რამდენიმე თვეში მარტო 45.000 ლარის ქაღალდი აქვთ გახარჯული. ტელე-რადიო გადაცემებისათვის – 10.600 ლარი, 10.300, 12.500 ლარი აქვთ გამოტანილი.** ციფრები ხარჯებში ასე ცალ-ცალკე წერია და მეც ასე გაწვდით. ასეთი პრეზიდენტის ყოლა, სჯობია, საერთოდ არ გვყავდეს პრეზიდენტი. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი უნდა გითხრათ, **ყველაზე მცირე და თვალშიმოსახვედრი თანხა მიშას ხარჯებში არის პრესა, მთელი წლის განმავლობაში ამაში მხოლოდ 7.500 ლარი აქვს გამეტებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას ხალხის აზრი, მათი მდგომარეობა, რომელიც ჟურნალ-გაზეთებიდან უნდა გაიგოს, საერთოდ არ აინტერესებს.**

– მამუკა, მიშასა და მისი ხელქვეითების კვებაზე რა სწერია, რამდენი იხარჯებაო? როგორც ვიცით, სააკაშვილი მადას არ უჩივის, თუმცა ამას ვერც მიშას ადმინისტრაციის თანამშრომლებზე ვიტყვი. რადგან რამდენჯერაც მომიხდა იქ მისვლა, დერეფანში სულ გაშლილი მაგიდა და მიშას საყვარელი მწვანე ვაშლები დამხვდა.

– ზოგიერთი ხარჯები ვერ მოვიპოვე, ნელი, რადგან, როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით ტენდერი არ ჩაუტარებიათ. **დარწმუნებული ვარ, რაც ახლა ხარჯები გითხარით, აქაც ეს თანხები ზუსტად ამ მიზნით არ არის გამოყენებული და მიშას სხვა მიმართულებითაც აქვს დახარჯული – ვთქვათ, ძვირფასი საათების შესაძენად, თვითმფრინავის მართვის შესწავლის მიზნით უცხოელი სპეციალისტების თუ მასაჟისტების ჩამოსაყვანად და ა.შ. სწორედ ამიტომ ვსაუბრობთ, რომ საქართველოს პრეზიდენტს, ან სხვა პოლიტიკოსს, რომელიც ხელისუფლებაში გარკვეული დაპირებით მოდის და ამბობს – მე ვიმგზავრებ ეკონომკლასით, არ მინდა დაცვა, სასახლეები არ მეძნებაო და ა.შ. არ უნდა დაავიწყდეს, რომ ხალხი ამას იმახსოვრებს.** როცა ვერ შეასრულებ დანაპირებს და ქვეყანას თავზე დაიმხობს, როგორც ეს მიშამ გააკეთა, ხალხი აუცილებლად ეტყვის და ყურსაც აუწევს ამ ტყუილისათვის, თუმცა ყურის აწევა ცოტაა, რაც მიშას ხალხისგან მოელის ცრუპენტელობისა და ქვეყნის დაღუპვისათვის.

ნელი ვარდიაშვილი,
"კვირის ქრონიკა", 11-17 ივნისი, 2012 წელი

მარტვილელი ფეოდალები მოსახლეობას ანიოკებენ

მარტვილის რაიონში ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება მოსახლეობის ტერორს განაგრძობს. საქმე ეხება უპრეცედენტო მასშტაბის კანონდარღვევას, როცა ხელისუფლებამ სოფლების მუხურჩასა და ვედიდკარში მცხოვრებ 625 კომლს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და საძოვრები უკანონოდ წართვა და ფარულად გაასხვისა. მოსახლეობის მიწების მითვისების ეპიცენტრში კვლავ საქართველოსთვის კარგად ცნობილი იტალიური კომპანია „ფერერო“ დგას, ამჯერად შვილობილი კომპანია „აგრი ჯორჯიას“ სახით. ეს კომპანია შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში სამეგრელოში „ფეოდალურ კორპორაციად“ ჩამოყალიბდა და მის ზურგს უკან მდგომი ქართველი მაღალჩინოსნებისთვის მოსახლეობის ხარჯზე ხელის მოთბობის ერთერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა.

მარტვილის სოფლებში მიწების გარშემო შექმნილ ვითარებაზე „თავისუფალ პრესას“ ესაუბრა სოფელ მუხურჩის მკვიდრი და ერთ ერთი დაზარალებული პიროვნება ბიორგი ყურუა.

– რა ხდება მარტვილის სოფლებში მიწებთან დაკავშირებით და რა პრობლემები ექმნება ამის გამო მოსახლეობას?

– უპირველეს ყოვლისა, სანამ იმ პრობლემატიკაზე ვისაუბრებდეთ, რომელიც არსებობს მარტვილის რაიონში, კერძოდ, სოფლებში ვედიდკარსა და მუხურჩაში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის მხოლოდ კონკრეტული პრობლემა ჩვენი სოფლის, თუმცა ყველაფერზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

მოგეხსენებათ, საქართველო ოდითგანვე იყო მიწათმოქმედი ქვეყანა და შესაბამისად სოფლის მეურნეობა ყოველთვის იყო პრიორიტეტული დარგი. მაგრამ დღეს ყველაფერი ამის საწინააღმდეგოდ კეთდება, რადგან აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღებელია თითოეული ქართველისთვის ის პოლიტიკა რომელსაც ხელისუფლება ზოგადად სოფელთან მიმართებაში ატარებს. ჩვენი სოფლის მაგალითზე თუ ვიტყვით, ხელისუფლებამ 625 ოჯახს სრულიად უკანონოდ მიწა ჩამოართვა და **„გაასხვისა“**. არადა, ჯერ კიდევ 1995 წელს პრეზიდენტის მიერ გაიცა ბრძანებულება, რის საფუძველზეც ამა თუ იმ რეგიონში რესურსების მიხედვით უნდა ყოფილიყო მოსახლეობისთვის მიზომილი საკარმიდამოდ 12,500 კვ.მ. მიწა. მაგრამ მარტვილში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოხდა რეალურად მიწების გადამალვა თავიანთი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და თითოეულ კომლს მიეზომა 7,500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. როგორც შემდეგ გაირკვა მიწის რესურსი გააჩნდა ამ რაიონს, გააჩნდა ამ კონკრეტულ სოფლებს, უბრალოდ სწორად არ იქნა აზომილი (ამას ადასტურებს თავად სოფლის რწმუნებული გულთაზ ცანავაც). ამიტომ მოსახლეობამ ამაზე პროტესტი გამოთქვა და გადაწყვიტა მიწის ფართობი ერთ ჰექტრამდე მოემთავრებინა.

საბოლოოდ ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეადგინა ე.წ. **„ოქმი №1“**, რომელიც ჩვენი აზრით არის ყალბი, რადგან ძნელი დასაჯერებელია, გამგეობას ოქმი მანამდე საერთოდ არ ჰქონოდა შედგენილი. აქედან გამომდინარე წამოიჭრა ეს პრობლემა, რომელმაც პირველად თავი ჯერ კიდევ 2008 წელს იჩინა. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ დღესაც იგივე ადამიანები მუშაობენ საკრებულოსა თუ გამგეობაში, ასევე სოფლის რწმუნებულად, რომლებმაც თავის დროზე მიწის ნაკვეთები მოპარეს მოსახლეობას, თუმცა დღეს გაცილებით უარესს ჩადიან და სამუდამოდ ართმევენ მიწას, უფრო მეტიც, უკვე ეზოებშიც შედიან.

პრობლემა თავიდან წარმოშვა იმან, რომ მოსახლეობას მიწის ნაკვეთებზე, რომელიც მიზომილი იქნა თითოეულ კომლზე, არ ჰქონდა მიღება-ჩაბარების აქტები. სწორედ ამით ისარგებლა ხელისუფლებამ და მოსახლეობას გაუყიდა როგორც საკომლო მიწის ნაკვეთები, ისე საძოვრები. ამ უკანასკნელის არარსებობა სოფლის მცხოვრებელთათვის არანაკლები პრობლემაა ვიდრე მიწის ნაკვეთის გარეშე დარჩენა, რადგან მოგეხსენებათ საძოვარი სოფლისთვის არის უმნიშვნელოვანესი, ვინაიდან მეტი სხვა საშემოსავლო წყარო არ არსებობს გარდა მსხვილფეხა საქონლისა.

პრობლემის წარმოშობისთანავე მოსახლეობამ დააყენა საკითხი: თუ იყო რესურსი იმისა რომ კანონით დადგენილ ფარგლებში 12,500 კვ.მ. ჰქონოდა თითოეულ კომლს, მაშინ რატომ მიეზომათ მათ თითო ჰექტარი? მაგრამ ეს ყოველივე თავის დროზე მოხდა იმიტომ რომ საკრებულოს თავჯდომარეს და სხვა თანამდებობის პირებს მიესაკუთრებინათ 8-10 ჰექტარი და ჰქონოდათ მიწის ნაკვეთები მფლობელობაში, როგორც მეიჯარეებს.

– ვის მიჰყიდა ეს მიწის ნაკვეთები ხელისუფლებამ?

– 2008 წელს კონკრეტული მიწის ნაკვეთები მუხურჩასა და ვედიდკარში გასხვისდა როგორც იურდიულ პირებზე, ასევე შპს **„აგრი ჯორჯიაზე“** (ცნობისთვის, შპს **„აგრი ჯორჯია“** იტალიური კომპანია **„ფერეროს“** შვილობილი ორგანიზაციაა, ზ.ჯ.). როდესაც მოსახლეობას განუმარტეს რომ მათი მიწის ნაკვეთები უნდა დარეგისტრირდეს და ნახაზებსა და შემდგომ გასაფორმებელ დოკუმენტებში კონკრეტული თანხის გადახდა მოსთხოვეს. მოსახლეობამ მიმართა საჯარო რეესტრს და გააკეთა ნახაზი, მაგრამ აღმოჩნდა რომ ეს მიწის ნაკვეთები გაყიდული იყო კერძო პირზე, რომან რურუაზე.

– დახმარებისა და რეაგირებისთვის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის არ მიგიმართავთ?

– ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მტკივნეულია ეს თემა, ამიტომაც ვიბრძვით ჩვენი უფლებების და კუთვნილი ქონების დასაცავად. აქედან გამომდინარე, მივმართეთ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, რათა ჩართულიყვნენ ამ პროცესში და გამოსავალი ერთობლივად მოგვეძებნა და პრობლემა კონსტრუქციულად მოგვეგვარებინა. მაგრამ ამაოდ.

– თქვენი პრობლემით გამგებელი მამუკა დანელია არ დაინტერესებულა?

– ჩვენ გამგებელ დანელიას ოფიციალური განცხადებით მივმართეთ, რომელსაც 477 ადამიანი აწერდა ხელს და მოვითხოვეთ მისგან ჩვენი პრობლემისთვის ყურადღება მიექცია და გულთან ახლოს მიეტანა, რადგან გლეხმა თუ მიწა არ მოხნა, პროდუქცია არ აწარმოა და არ მიეცა საშუალება შეინახოს მსხვილფეხა პირუტყვი მისგან სარგებლის მიღების მიზნით, მაშინ მის არსებობას სოფელში არანაირი აზრი არა აქვს. ყველასგან მოულოდნელად გამგებლისგან მივიღეთ ოფიციალური პასუხი, რომ **„ეს საკითხი მის კომპეტენციაში არ შედიოდა და მიწა არა გამგეობამ, არამედ ეკონომიკის სამინისტრომ გაასხვისა“.**

მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს თუ საიდან მოხვდა ეკონომიკის სამინისტროში ჩვენი საკუთრება გასასხვისებლად, თუ, რა თქმა უნდა, თავად გამგეობამ არ მიაწოდა ეს მონაცემები?!

– მაგრამ მამუკა დანელია მარტვილის გამგებელია და სწორედ იმ ადამიანების მიერ არის არჩეული, რომლებიც ამ უკანონობის შედეგად დაზარალდნენ, ნუთუ არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობს მათ წინაშე?

– დიახ მამუკა დანელია და ის გუნდი, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, არჩეულია ამ ადამიანების მიერ და შესაბამისად იგი ვალდებულია, რომ მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტის გზები გამოძებნოს მათი ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ, როგორც ჩანს, მას ხალხის პრობლემები საერთოდ არ აინტერესებს.

– პროკურატურისთვის ან სასამართლოსთვის ხომ არ მიგიმართავთ?

– როდესაც ადგილობრივ დონეზე ვერაფერს გავხდით გადავწყვიტეთ მიგვემართა საკანონმდებლო ორგანოსთვის. შეიკრიბა რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებიც უნდა წასულიყვნენ თბილისში და გაეკეთებინათ განცხადება, რათა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება მიგვეპყრო ამ პრობლემისადმი. პირველი რაც გაკეთეს გამგებელმა მამუკა დანელიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ გოროზიამ (სოფლის მეურნეობის მინისტრის ზაზა გოროზიას ძმა, ზ.ჯ.) იყო ის რომ დაავალეს სოფლის ხელმძღვანელებს პოლიციის თანმხლებ პირებთან ერთად გაეფრთხილებინათ ყველა სამარშუტო ტაქსის მძღოლი, რომ ამ ადამიანების გადაყვანა თბილისში არ მომხდარიყო. უფრო მეტიც, არა თუ სამარშუტო, არამედ კერძო ტაქსებსაც არ მისცეს გადაადგილების უფლება.

– გინდათ თქვათ რომ ამ ადამიანებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ დედაქალაქში ჩასვლის შესაძლებლობა არ მისცა?

– მიუხედავად ამ დაპრკოლებებისა ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა თბილისში ჩასვლა და მიმართეს ფრაქცია **„ერთობა სამართლიანობისთვის“** იმდროინდელ ხელმძღვანელს გიორგი ცაგარეიშვილის... ჩატარდა ბრიფინგი პარლამენტში, რის შემდეგაც გიორგი ცაგარეიშვილის პროტექციით მთვარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სახელზე გაიგზავნა განცხადება, სადაც წერია რომ მიწის ნაკვეთები უკანონოდ იქნა გასხვისებული, ასევე აღწერილია ის ფაქტიც, რომ ზაალ გოროზია პოლიციის თანმხლებ პირებთან ერთად დადიოდა სოფელ-სოფელ და აწიოკებდა მოსახლეობას და მათგან მოითხოვდა მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ეთქვათ უარი. ჩვენ მოვითხოვეთ პროკურატურისგან შეესწავლა ეს საკითხი და დაედგინა თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რატომ ახორციელებდნენ ზეწოლას მოსახლეობაზე და საერთოდაც ვინ მისცა თავს იმის უფლება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები გაესხვისებინა.

მთავარი პროკურატურისგან ეს განცხადება გადმოიგზავნა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურაში, ხოლო შემდგომ სენაკის პროკურატურაში. ამის მერე არანაირი რეაგირება არ ყოფილა, არ დაკითხულა არცერთი ადამიანი, როდესაც მოვითხოვეთ თუ რატომ არ ხდება რეაგირება ისინი არა თუ ოფიციალურ, არამედ სიტყვიერ პასუხსაც არ იძლევიან.

– როგორ ფიქრობთ, რეალურად ვინ დგას „აგრი ჯორჯიას“ უკან... ანუ ვინ არის დაინტერესებული ამ მიწების მითვისებით?

– სწორედ ამის გარკვევას ვითხოვთ პროკურატურისგან. მაგრამ თუ გადავხედავთ არსებულ ფონს და იმ არასასურველ რეალობას, რომ გლეხს კუთვნილ მიწას უპრობლემოდ ართმევენ და ამ დროს სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა გოროზიას გააჩნია მარტვილის რაიონში 275 ჰექტარი მიწის ფართობი... ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ხელისუფლების ასეთი მიდგომა. რეალურად ისინი სპობენ გლეხს, როგორც ფენას და ამ დროს ჩინოვნიკები სარგებლობენ ამით და იძენენ ძალიან დიდ უძრავ ქონებას.

რაც შეეხება შემდგომ განვითარებულ მოვლენებს... როდესაც დავით ბაქრაძე იყო ჩამოსული მარტვილში, მან განაცხადა რომ ამ მიწებთან დაკავშირებული საკითხი არის ტექნიკური შეცდომა, რომელიც მოგვარებადია.

– რა იგულისხმა დავით ბაქრაძემ „ტექნიკურ შეცდომაში“?

– რა მასშტაბის ტექნიკურ პრობლემაზეა საუბარი ეს ცალკე შეგვიძლია განვიხილოთ კოსტანტინე ესვანჯიას მაგალითზე. ამ ადამიანმა 2002 წელს 49-წლიანი იჯარით, ოფიცილურად შეიძინა 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ამის მიუხედავად 2008 წელს ისე გაუყიდეს ეს მიწა, რომ მისთვის არაფერი არ უკითხავთ. მიუხედავად ამისა იგი დღემდე იხდის სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ საიჯარო გადასახადს. ასევე აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ ისევ კოსტანტინე ესვანჯიაა მითითებული მფლობელად, მაგრამ მას არ ეძლევა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის დამუშავების უფლება. მან მიმართა სასამართლოს, მაგრამ სამივე ინსტანცია წააგო. ყველაზე აბსურდული ფაქტი ის არის რომ ესვანჯიას 2010 წელს დაუგვიანდა გადასახადის გადახდა და 2011 წელს საჯარიმო ქვითარი გამოუგზავნეს და ჯარიმა გადაახდევინეს. ამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მარტვილში რეალურად მიმდინარობს რეკეტი ხელისუფლების მხრიდან რა თქმა უნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების დახმარებით.

გარდა მიწის ნაკვეთებისა, აქ წარმოიშვა პრობლემა ზუგუს საძოვრებთან დაკავშირებით. ეს არის კონკრეტული ტერიტორიის ნაწილი არა მხოლოდ საძოვრის თვალსაზრისით, არამედ მას აქვს ისტორიული დატვირთვაც. კერძოდ, **„ზუგუ“** არის ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლი, სადაც დაფლულია კოლხური კულტურული მემკვიდრეობის უამრავი ნიმუში, რომელიც ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი.. ეროვნულ მუზეუმში ეს ტერიტორია მოხსენიებულია, როგორც **„ნაჭვიშ ზუგუ“**. აქ ადრე პროფესორ გოგაძის მიერ ტარდებოდა გათხრები, მაგრამ უსახსრობის გამო გადაიდო და ჯერ კიდევ არ არის დადგენილი თუ რა მნიშვნელობის ძეგლთან გვაქვს საქმე. **„აგრი ჯორჯიამ“** კი ეს ტერიტორია მიისაკუთრა, მძიმე ტექნიკით დაამუშავა, გადახნა და კოლხების კულტურული მემკვიდრეობა გაანადგურა.

მანამდე, როდესაც **„აგრი ჯორჯიამ“** ამ ტერიტორიის შემოკავება დაიწყო, მივედით და მოვითხოვეთ ჩვენთან სასაუბროდ ამ კომპანიის წარმომადგენელი გამოსულიყო და ჩვენს კითხვებზე პასუხი გაეცა, მაგრამ არავინ მოსულა ჩვენთან, გარდა გამგებელ მამუკა დანელიასი, რომელიც პოლიციის თანხლებით მოვიდა. მან განგვიცხადა, რომ **„მოვა მძიმე ტექნიკა დასამუშავებლად და თუ თქვენ წინააღმდეგობას გაუწევთ დაგაპატიმრებენო“**. ანუ შეიძლება ითქვას, რომ გამგებელი დანელია, მის მოსახლეობას, მის ამომრჩევლებს პირდაპირ დაჭერით დაემუქრა, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი უფლების და კერძო საკუთრების დასაცავად იბრძოლებდნენ.

– როგორც ვიცი თქვენ ამის შემდეგ დაგაკავეს კიდეც...

– დიახ, როდესაც **„აგრი ჯორჯიას“** წარმომადგენლებმა დაიწყეს შემოკავება ამ საძოვრების, ჩვენ ჩვენი უფლებების დაცვა გადავწყვიტეთ. ვინაიდან აღნიშნული კომპანიის ოფიციალური პირი არ გამოვიდა ჩვენთან შესახვედრად დავიწყეთ ამ ღობის მორღვევა პროტესტის ნიშნად. ამის მერე ღამით 10-11 საათზე მოხდა ჩვენი აყვანა და გადაყვანა პოლიციის შენობაში. როდესაც ვიკითხეთ თუ რატომ დაგვაკავეს? გვიპასუხეს, რომ **„აგრი ჯორჯია“** გვიჩიოდა ქონების ხელყოფის გამო. შემდეგ ახსნა-განმარტებები ჩამოგვართვეს და გაგვათავისუფლეს.

– თქვენი შემდგომი ნაბიჯი რა იქნება... რა გზებით აპირებთ თქვენი უფლებების დაცვისთვის ბრძოლას?

– ჩვენ არ ვაპირებთ დანებებას. ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, ოღონდ კანონიერი გზებით და ადრე თუ გვიან აღვადგენთ სამართლიანობას.

ესაუბრა ზურაბ ჯამბურია

პედაგოგი-განმანათლებელი ნინო თომას ასული დიდია-შერვაშიძე

ნინო დიდია-შერვაშიძე გახლდათ გამოჩენილი აფხაზი პედაგოგი და განმანათლებელი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მრავალი ღირსეული მოქალაქის აღმზრდელი. მთელი მისი შეგნებული სიცოცხლე და მოღვაწეობა დაკავშირებული აფხაზეთთან, სადაც იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მის სახელსა და ხსოვნას დღესაც მოწიწებით ეპყრობა მთელი აფხაზი ერი.

ნინო დიდია-შერვაშიძე დაიბადა 1881 წლის 14 ოქტომბერს აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში. ბავშვს თითქოს დაბადებიდან დაჰყვა სწავლის ნიჭი – 17 წლის ასაკში წარმატებით დაამთავრა თბილისის მე-3 ქალთა გიმნაზია, რომლის შემდეგ განათლებას ეუფლებოდა ქალაქ ქუთაისში, სადაც ეზიარა პედაგოგის სპეციალობას. ამის შემდეგ, ჯერ ქუთაისის სკოლებში მასწავლებლობდა, მერე კი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და იქ ასწავლიდა.

1913 წლის მიწურულს ნინო დიდია ცოლად გაჰყვა მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძეს (ჩაჩბას) – მეფის არმიის პოლკოვნიკს, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეს, სწავლულს, ადამიანს, რომელმაც პირველმა შეადგინა აფხაზეთის გეოგრაფიული რუქა **"აფსნი ახსაალა"**. მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და მიხეილ შერვაშიძე ფრონტზე გაემგზავრა. იგი დაინიშნა მოსკოვის მე-4 გრენადერთა პოლკის მეთაურად, რომელიც იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. 1916 წელს ნინომ ქალაქ პეტერბურგში დაამთავრა მოწყალების დის კურსები და არმიაში წავიდა, რათა მეუღლის გვერდით ყოფილიყო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნინო დიდია-შერვაშიძემ და მისმა მეუღლემ აფხაზეთში დაიდეს ბინა. სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა მათი ერთად ყოფნა – მიხეილ შერვაშიძეს ტიფი შეეყარა და იგი 1919 წელს გარდაიცვალა. ნინოს მთელი სიცოცხლე ახსოვდა მომაკვდავი მეუღლის დანაბარები: **"ჩემო ძვირფასო, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ. აფხაზი ხალხი, რომელიც მე ყოველთვის საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა, ამჟამად განათლებას ძლიერ მოკლებულია. ნუ დაზოგავ ნურც ძალისხმევას, ნურც სახსრებს, მოუყარე თავი აფხაზ ბავშვებს და ასწავლე მათ წერა-კითხვა..."**

ნინო სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა მეუღლის ამ ანდერძისა.

დაქვრივებულმა ქალმა მეუღლის ცხედარი, ყველა ქრისტიანული წესი დაცვით, სოფელ კვიტოლში გადმოასვენა და საგვარეულო სასაფლაო **"აშტა დუ"**-ზე მიუჩინა სამარადჟამო სამყოფელი, თავადაც იმ სოფელში დაიდო ბინა და აქტიურად შეუდგა პედაგოგიურ-აღმზრდელობით საქმიანობას. მძიმე ჟამი უდგა მაშინ ქვეყანას, შიმშილისაგან დასუსტებული ხალხი უბრალო დავადებებსაც კი ვერ უმკლავდებოდა. ძალიან დიდი იყო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ე.წ. **"ისპანკის"** (გრიპოზული ეპიდემიური დაავადება, რომელიც ამჟამად ლიკვიდირებულია) ეპიდემიის დროს მან შექმნა **"ავადმყოფთა კომიტეტი"** და სამედიცინო დახმარებას უწევდა აფხაზეთის დაავადებულ მოსახლეობას. სწორედ ქალბატონი ნინოს ძალისხმევითა და ინიციატივით შეიქმნა სოფელ კვიტოლში საავადმყოფო და აფთიაქი.

1919 წელს ნინო დიდია-შერვაშიძემ დარიბ გლეხთა ოჯახებებიდან შეაგროვა ბავშვთა ჯგუფი, რომლებსაც სოფელ კვიტოლის სკოლა ჰქონდათ დამთავრებული და მოამზადა ისინი სოხუმის პედაგოგიურ სემინარიაში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

1920 წელს, გაზეთ **"აფსნიში"**, მომავალი დიდი პოეტი **ᲝᲣᲐ ᲙᲝᲓᲝᲜᲘᲐ** წერდა: **"...დიდი მადლობა მინდა ვუძღვნა ქალბატონ ნინო თომას ასულ შერვაშიძეს, რომელმაც მე სასწავლებლად გამაგზავნა...".** ამავე გაზეთში **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲑᲣᲚᲘᲐ** წერდა: **"ყველას, ვისაც სურს, რომ აფხაზეთში განათლებამ დაისადგუროს, დიდი მადლობა უნდა უძღვნას ნინო შერვაშიძეს, რომელიც ყველაფერს აკეთებს აფხაზი ბავშვებისათვის შესაბამისი განათლების მისაცემად".**

1920 წელს ნინო თომას ასული დიდია-შერვაშიძე აირჩიეს აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების კოდორის მაზრის განყოფილების უფროსად და მისი ინიციატივით ოჩამჩირეში გაიხსნა ინტერნატი დარიბი ოჯახის შვილებისათვის. ინტერნატში ეწყობოდა შეხვედრები აფხაზეთის განმანათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებთან **რაუდენ ᲨᲨᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲙᲕᲘᲙᲕᲔᲡᲫᲘᲠᲗᲐᲜ, ᲞᲐᲕᲚᲔ ᲑᲘᲑᲖᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ, ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲐ ᲣᲠᲘᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ** და სხვებთან. **"თავისი ავტორიტეტით ნინო შერვაშიძემ მიაღწია იმას, რომ ამ დაწესებულებისაგან აერიდებინა მენშევიკური მთავრობის რისხვა"** – იხსენებდა **ᲚᲔᲝᲜᲢᲘ ᲒᲝᲚᲐᲜᲯᲘᲐ**.

1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატი ნინო შერვაშიძეს აგზავნის თბილისში, ინსტრუქტორ-პედაგოგთა კურსებზე.

1922 წელს მისი ინიციატივით გაიხსნა აფხაზეთის ბავშვთა სახლი, რომლის დირექტორადაც თავად დაინიშნა. დადიოდა აფხაზეთის სოფლებში, არჩევდა ბავშვებს. **"ეს იყო ჩემთვის უაღრესად საპასუხისმგებლო სამუშაო,** – წერდა ქალბატონი ნინო საკუთარ ავტობიოგრაფიაში, – **დიდი შრომის ფასად ხდებოდა ყოველივე, რათა ეს ბავშვთა სახლი სანიმუშო გამხდარიყო მთელ საქართველოში".**

ბავშვთა სახლის აღზრდილთა ერთ-ერთი პირველი თაობის წარმომადგენელი არქიფო ლაბახუა წერდა: **"მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარა ქალბატონმა ნინომ ბავშვთა აღზრდას, დედობრივ მზრუნველობას იჩენდა თითოეულის მიმართ, მათი რიცხვი კი 50-ს აჭარბებდა. ეს ქალი მართლაც სასწაულებს ახდენდა თავისი მცირერიცხოვანი კოლექტივით".**

შემდეგ იგი ახასიათებს ნინო შერვაშიძის პიროვნულ თვისებებს: **"იცვამდა სადად, მაგრამ დიდი გემოვნებით, მხრებს ყოველთვის უფარავდა ნაქსოვი შავი ფერის მანდილი (რაც დაღუპული მეუღლის გლოვის სიმბოლო გახლდათ და სიცოცხლის ბოლომდე ატარა ოჯახის ერთგულმა ადამიანმა), გამოირჩეოდა ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით, იყო მკაცრი და მომთხოვნი, უპირველესად კი საკუთარი თავის მიმართ, სამსახურში ყველასადმი ერთნაირად თბილი დამოკიდებულება ჰქონდა".**

1924 წელს ნინო შერვაშიძე გადაჰყავთ გაგრის საბავშვო სახლის დირექტორად, რომლის აღზრდილები შემდეგ თვალსაჩინო სპეციალისტები გახდნენ. სამთო ინჟინერმა **ᲐᲠᲫᲘᲨᲝ ᲚᲐᲑᲐᲮᲣᲐᲛ**, ინჟინერ-მშენებლებმა **ᲝᲙᲝᲚᲘᲢᲔ ᲨᲐᲦᲐᲕᲐᲛ, ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲐᲛᲘᲩᲑᲐᲛ, ᲨᲐᲛᲘᲚ ᲐᲑᲣᲛᲐᲕᲐᲛ**, სახალხო არტისტმა **ᲛᲘᲜᲐᲓᲝᲠᲐ ᲖᲣᲮᲑᲐᲘᲐᲛ**, დამსახურებულმა პედაგოგებმა **ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲚᲐᲑᲐᲮᲣᲐᲛ და ᲚᲔᲝᲜᲢᲘ ᲐᲩᲑᲐᲛ**, გამორჩენილმა ქირურგმა ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲔᲛᲮᲕᲐᲠᲛᲐ, ინჟინრებმა **ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲜᲘᲐᲛ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲙᲔᲛᲣᲚᲐᲠᲘᲐᲛ** და სხვებმა მოიპოვეს ფართო აღიარება და მასების პატივისცემა.

ისინი მუდამ მოწიწებით მოიხსენიებდნენ თავიანთი პედაგოგის სახელს. **ᲜᲘᲜᲝ ᲓᲘᲓᲘᲐ-ᲨᲔᲠᲕᲐᲨᲘᲫᲔ** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1966 წელს. დაკრძალულია ოჯახის საგვარეულო სასაფლაოზე.

ნინოსთანა ადამიანები უდავოდ ამშვენებენ ქართულ-აფხაზურ ისტორიას. იგი ხალხის მეხსიერებას შემორჩა როგორც ქველმოქმედი, უკეთილშობილესი პიროვნება. მთელი სიცოცხლე უერთგულა დაღუპულ მეუღლეს და მისადმი სიყვარული მთელ აფხაზ ხალხს გადაუნაწილა. დედის სიყვარულით ევლებოდა თითოეულ აღსაზრდელს, აფხაზ ბავშვებს და ძალას არ იშურებდა მათ მამულიშვილებად აღსაზრდელად! სასიხარულოა, რომ აფხაზი ხალხი დღესაც იმკის ამ დიდებული ბანოვანის შრომით მოყვანილ მოსავალს.

"ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ" – ასე ეწოდებოდა ნინო დიდია-შერვაშიძისადმი მიძღვნილ, ზაურ ბუტბას სტატიას, რომელიც გაზეთმა **"სოვეტსკაია აბხაზიამ"** ამოაქვეყნა 1975 წლის 3 სექტემბერს.

ამ სამ სიტყვაში სრულადაა გადმოცემული შესანიშნავი მოღვაწისა და პიროვნების სიცოცხლის არსი.

მარტვილში ოპოზიციონერი დააკავეს

ინციდენტი მარტვილში, პოლიტიკური მოძრაობა **„თეთრების"** წარმომადგენლების ვიზიტისას მოხდა. **„თეთრების"** ერთ–ერთი ლიდერის ზურაბ ხასიას განცხადებით, ის და მოძრაობის თავმჯდომარე შენობაში იმყოფებოდნენ, როცა სამართალდამცავები ოფისში შევიდნენ და მფლობელ ნოდარ ჯღარკავას, მისი დატოვება მოთხოვეს და საკუთრებაში არსებული ფართი დაურბიეს.

"თეთრების" მტკიცებით, გამგეობაში შიშობდნენ, რომ ფართში წინასაარჩევნოდ ოპოზიცია უნდა განთავსებულიყო. ხელისუფლებაში კი განმარტავენ, რომ ფართი ჯღარკავას საკუთრება არაა და მისი განკარგვის უფლება არა აქვს.

თეთრების ლიდერმა და მისმა პრესსამსახურმა ამის შესახებ სოციალური ქსელით საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც ის პოლიტიკური მოძრაობის წევრებზე ფიზიკური და მორალური ზეწოლის შესახებ იუწყება.

ნოდარ ჯღარკავა ამტკიცებს, რომ მას საკუთრების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი აქვს. შენობაში მისი დაკვეთით, სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა, როცა სამართალდამცავებმა შენობის დატოვება მოთხოვეს. უარის მიღების შემდეგ კი, იქ მიმდინარე სამუშაოების შეჩერება ძალის გამოყენებით სცადეს.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჯღარკავა სენაკის საავადმყოფოში იმყოფება, პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დაკავებულია აკაკი გაბისონიას 30-დღიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

აივენგო გაბისონია აცხადებს, რომ მის ძმას პოლიციისათვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია და ის მხოლოდ იურიდიულ განმარტებას ითხოვდა, რის გამო არ აძლევდნენ საკუთარი ფართის გარემონტების საშუალებას. ზურაბ ხასია ამბობს, რომ პოლიციას და გამგეობა ფართის დატოვებასა და სარემონტო სამუშაოების შეჩერებას სიტყვიერად ითხოვდნენ და მათ არანაირი საბუთი არ წარმოუდგენიათ.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდოდნენ **„თეთრების"** ლიდერები, მამა ელიზბარი და პარტიის სხვა აქტივისტები.

აივენგო გაბისონიას თქმით, ინცინდენტის დროს იქ იმყოფებოდა ადგილობრივი პოლიციის უფროსი. მისი თქმით, გამგეობაში მიაჩნდათ, რომ ფართს ჯღარკავა საარჩევნო აქტივობისთვის არემონტებდა, სადაც, სავარუდოდ, რომელიმე პოლიტიკური პარტია განთავსდებოდა.

– „ეუბნებოდნენ, აქ „სახალხო კრების" ოფისის გახსნა გაქვთ დაგეგმილი. არ მოგცემთ ამის უფლებასო, წინააღმდეგობის გაწევის დროს სთავაზობდნენ, მხოლოდ 400 ლარით დაგაჯარიმებთ თუ საკუთრებაზე უარს იტყვითო," – აცხადებს ხასია.

მარტვილის გამგეობის იურისტის შორენა ჯღარკავას განცხადებით, ფართი გამგეობის საკუთრებაშია რეგისტრირებული, შენობაში სარემონტო სამუშაოებს გამგეობა ატარებს და ჯღარკავა თავად დაესხა მუშებს თავს და სამუშაოების ჩატარება აუკრძალა.

გამგეობაში განმარტავენ, რომ შენობაში 1999 წელს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ფუნქციონირებდა, რომლის ხელმძღვანელი ნოდარ ჯღარკავას შვილი იყო. იურისტის განმარტებით, მას ფართი უზუფრუქტის წესით ქონდა გადაცემული. შენობაში ჯღარკავამ სარემონტო სამუშაოები ჩაატარა და მოგვიანებით მის ანაზღაურებას ითხოვდა.

გამგეობაში აცხადებენ, რომ 2002 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით რემონტისთვის დახარჯული თანხა, 5 ათას ლარი მას აუნაზღაურდა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ გოროზიას განცხადებით, აღნიშნული ფართი არასდროს ყოფილა ჯღარკავას საკუთრებაში და ის თვითნებურად ცდილობდა ფართის დაკავებას.

– „ეგ მასე იძახის, გამგეობის შენობაც ჩემიაო, მაგრამ მისია? დათმობის სანაცვლოდ, რაღაც თანხებს ითხოვს," – განმარტავს გოროზია.

Ი. ᲡᲐᲚᲐᲫᲐᲘᲐ

ქუთაისური მედია მშენებლობაზე დაშავებული კიდევ ერთი ადამიანის დაღუპვას იუწყება

პარლამენტის მიმდებარედ მშენებარე შენობის ნგრევის დროს მეორე ადამიანის, ქუთაისში მცხოვრები ნიკო მამაგეიშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას რადიო **„ძველი ქალაქი"** ავრცელებს.

ნიკო მამაგეიშვილის ახლობლების თქმით, ის მშენებლობაზე დროებით იყო დაკავებული.

ინტერნეტგამოცემა **newpress.ge**-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილის ოჯახის წევრები მამაგეიშვილის გარდაცვალების ფაქტს პარლამენტის მშენებლობას არ უკავშირებენ.

გარდაცვლილის ნათესავების განცხადებით, ის მიმდინარე წლის 6 ივნისს, დაახლოებით 15 საათზე ავტოქარხანაში, ინდუსტრიულ ზონაში, ე.წ. **„ჩინელების კომპანიაში"** სამშენებლო სამუშაოებზე მუშაობისას დაშავდა და გადაყვანილი იქნა იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში.

ამავე გამოცემის ცნობით, გამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებს საავადმყოფო. ფაქტის გადამოწმებისას ნიუსრესის ჟურნალისტებს, საავადმყოფოში უთხრეს, რომ ნიკო მამაგეიშვილი გუშინ, 7 ივნისს შეიყვანეს სხეულის მძიმე დაზიანებებით და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. საავადმყოფოს ინფორმაციით, მამაგეიშვილი 8 ივნისს, 18 საათზე გარდაიცვალა – იუწყება გამოცემა.

ქუთაისში, პარლამენტის მიმდებარედ, მშენებარე შენობის ჩამონგრევისას, ამ დრომდე მხოლოდ ერთი გარდაცვლილის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია. ის ზესტაფონის მკვიდრი, რეზო ნებიერიძეა.

ბიძინა ივანიშვილი – „პირდაპირ ვაცხადებ, რომ „თელასის" ყიდვის სურვილი მაქვს"

„თელასი არ მიყიდია, მაგრამ არ ვმალავ და პირდაპირ ვაცხადებ, რომ ნამდვილად მაქვს მისი ყიდვის სურვილი", – ამის შესახებ კოალიცია **„ქართული ოცნების"** ლიდერი ბიძინა ივანიშვილი გაზეთ **„ასავალ-დასავალთან"** ინტერვიუში აცხადებს.

მისივე განმარტებით, იმის მიუხედავად, კომპანიას შეიძენს თუ არა, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ელექტროენერგიის და გაზის გადასახადს აუცილებლად შეამცირებს.

„დღეს ადამიანს სახლში ქვითარს რომ მიუტანენ, გული უსკდება და დახედვის ეშინია. ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში, ადამიანებს ქვითრის მოსვლის აღარ შეეშინდებათ, რადგან სამსახურიც ექნებათ, შემოსავალიც და გადასახადის გადახდის უნარიც", – განმარტავს ივანიშვილი.

დიდი სიხარული გამოიწვია ხალხში ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი **„თელასის"** შეძენას აპირებს, რადგან, დენის უსაშველოდ გაბერილი საფასურის და მასზე მიბმული ნაგვის გადასახადის გამო მოსახლეობა შუქს არ რთავს და საღამოებს სიბნელეში ატარებს. ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც საქართველოს გაჭირვებული მოსახლეობისათვის უამრავი სიკეთე აქვს მომადლებული, ხალხს დაპირდა, რომ დენის საფასური 6 თეთრზე მეტი არ იქნებაო, რაც უდავოდ შვებას მისცემს გაღატაკებულ მოსახლეობას.

ნანა დევდარიანი: „გიულჩატაი სახეს აჩენს!“

არცთუ დიდი ხნის წინათ ქართულ ინტერნეტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აბსურდული ბრძანება გამოჩნდა, რომელიც ღაღადებდა: **„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომში გამოსაყენებელი რუსულენოვანი სამეცნიერო წყაროების დასაშვები ოდენობის განსაზღვრის შესახებ“. „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის, ა(ა)იპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:**

1. იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე შესრულებულ (რეფერატი, წინასამაგისტრო და სამაგისტრო ნაშრომი, დოქტორანტის სემინარი, კოლოკვიუმი, სადისერტაციო ნაშრომი), აგრეთვე, ჟურნალ „სამართალში“ გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ყველა სახის სამეცნიერო ნაშრომში მითითებული რუსულენოვანი წყაროები არ უნდა აღემატებოდეს ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის საერთო ოდენობის ერთ მეხუთედს.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე“.

ინტერნეტფორუმი აფეთქდა. ამ ბრძანების აბსურდულობა ყოველი მხრიდან განიხილებოდა. თავდაპირველად საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ იმაზე, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანს პრობლემები არა მარტო რუსულ ენასთან, არამედ ძირითად სპეციალობასთანაც აქვს. დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის ცოდნას, რომ ბრძანება არ შეიძლება ძალაში შევიდეს **„ხელმოწერისთანავე“**, რადგან ამის შესახებ შესაძლოა, ვერც ვერავინ გაიგოს. ის უნდა გამოქვეყნდეს, თუნდაც, დეკანატში გამოკვრის მეშვეობით! პარლამენტის მიერ მიღებული და პრეზიდენტის ხელმოწერილი კანონებიც კი მხოლოდ ოფიციალურ ორგანოში – **„საკანონმდებლო მაცნეში“** – გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ შედის ძალაში! თუმცა, მოდი, ბრძანების შინაარსს მივუბრუნდეთ. ინტერნეტში ბრძანების გავრცელება სხვა ფაკულტეტებზეც დაიწყეს და დასვეს შეკითხვა: როგორ მოვიქცეთ, თუ სამეცნიერო ნაშრომი ნიადაგმცოდნეობას, ქიმიას, ფიზიოლოგიას ეხება? დასკვნები კომიკური იყო. გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოს“** ჟურნალისტმა თამარ დავითულიანმა კი ბრძანება საერთოდ მასხრად აიგდო:

„როგორც ცნობილია, ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა დიმიტრი მენდელეევის შექმნილია, რომელსაც არ გაუმართლა და რუსულენოვანი, თანაც, რუსი მეცნიერი იყო. სტუდენტებს, როგორც ჩანს, მენდელეევის სისტემის 103 ელემენტიდან მხოლოდ ოციოდეს გამოყენება შეეძლებათ. ახლა ვინმე ინტრიგანი იტყვის, პერიოდულ სისტემას მენდელეევის სიკვდილის შემდეგაც დაემატა ელემენტებიო, მაგრამ იმ კაცის გენიალურობა სწორედ იმით გამოიხატებოდა, რომ მან წინასწარ დატოვა ცარიელი უჯრები მომავალში აღმოსაჩენი ელემენტებისთვის. საინტერესოა, გავრცელდება „ერთი მეხუთედის“ ბრძანება ცარიელ უჯრებზეც? მართალია, პერიოდული სისტემის გავრცობაში საკუთარი წვლილი თეოდორ სიბორგმა და ნილს ბორმაც შეიტანეს, მაგრამ ამ არარუსულენოვანმა ავტორებმა ერთი მეხუთედიც ვერ შეჰმატეს მენდელეევის აღმოჩენას. ახლა წარმოიდგინეთ, რა გამოვა, შვედეთში ან ნორვეგიაში რომ ნილს ბორის ნაშრომებზე ერთი მეხუთედის წესი განავრცონ!

უკეთეს მდგომარეობაში არც ფიზიოლოგები აღმოჩნდებიან. ივანე პავლოვსაც არ გაუმართლა, რადგან რუსია და რიაზანში დაიბადა. ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების შესახებ მეცნიერული თეორიის შემქმნელს შვედებმა რუსობა არ დაუწუნეს და ნობელის პრემიით დააჯილდოვეს“.

ხუმრობა იქით იყოს და, რუსული ენის განდევნა ყველა სფეროში აშკარაა. ჯერ რუსულ ენაზე ფილმები აკრძალეს (თუმცა ქართულად გახმოვანების ნაცვლად ყველა ეროვნული მაუწყებელი ფილმებს სუბტიტრებს ადებს), შემდეგ რუსულ სიმღერებს გამოუცხადეს ომი (აქ მიდგომა შერჩევითია – კეთილგანწყობილი არიან იმ შემსრულებლებისა და ავტორების მიმართ, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება მკაცრად აკრიტიკებს), ხოლო განათლების სისტემაში რუსული სექტორის შემცირების ტენდენციამ ბოლო წლებში უპრეცედენტო მასშტაბი შეიძინა: 2004 წლის მონაცემებით, საქართველოს რუსულენოვან სკოლებში 7 ათასამდე რუსი ეროვნების მოსწავლე იყო, დანარჩენი 25 ათასი კი ქართველები იყვნენ. 2000 წლამდე 214 რუსულენოვანი სკოლა ფუნქციონირებდა, ახლა კი მხოლოდ ორი დარჩა.

პრობლემას ის აღრმავებს, რომ მოზარდმა თაობამ რუსული ენა უკვე აღარ იცის, ინგლისური კი ჯერ ვერ აითვისა. ამას ვერც პროექტის – **„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“** – ათობით ათასი ინგლისურენოვანი მონაწილე უშველის, რადგან ისინი არა კვალიფიციური პედაგოგები, არამედ უმუშევრები არიან, რომლებსაც ღატაკი მოსახლეობის მქონე სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე დასაქმების საშუალება მიეცათ მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისური მათი მშობლიური ენაა! ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნება მორგის ყოფილი თანამშრომლისაგან ნასწავლი (ასეთი შემთხვევაც იყო) უცხო ენა!

თუმცა ჩვენ მიერ აღწერილი პროცესი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ აბსურდისა, რომელსაც თანამედროვე საქართველოში აქვს ადგილი. ცოტა ხნის წინათ საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ პრეზიდენტის დედას – გიული ალასანიას ბრალი დასდო იმაში, რომ მას, ეკონომიკის ყოფილ მინისტრ კახა ბენდუქიძესთან ერთად, უმაღლესი განათლების სისტემა მონოპოლიზებული აქვს.

„საქართველოში ორი მონოპოლიური კლანია შექმნილი. ერთ მათგანს თურქული კაპიტალის მეშვეობით პრეზიდენტის დედა ხელმძღვანელობს, ხოლო მეორეს – რუსული კაპიტალით – ბენდუქიძე“, – აცხადებს ბაღათურია. აშკარაა, რომ ბენდუქიძის კაპიტალის რუსული წარმომავლობა არანაირად არ აწინაურებს რუსულ ენას მის კონტროლს დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებლებში. რაც შეეხება თურქულ ინტერესებს, ოპოზიციონერმა მეტად საინტერესო მასალა წარმოადგინა: იმ მრავალ უმაღლეს სასწავლებელს შორის, რომელთა სოლიდურ წილებს საქართველოს **„პირველი დედა“** ფლობს, **„შავი ზღვის უნივერსიტეტიც“** არის. პრეზიდენტისა და შეთავსებით მისი ვაჟის განკარგულებით, ამ უნივერსიტეტმა ხელიდან ხელში 10 ჰექტარი მიწა მიიღო. ბაღათურიას თქმით, ამ უნივერსიტეტის უკან თურქეთის მოქალაქე ფეთჰულაჰ გიულენი დგას, რომელიც საკუთარ საიტზე თავის თავს ისლამის მქადაგებელს უწოდებს. გიულენი შავი ზღვის უნივერსიტეტს თავისი ბიზნესკომპანია **„ჩაღლარის“** საშუალებით აფინანსებს, და ბაღათურია ამტკიცებს, რომ სწორედ ამ უნივერსიტეტის მეშვეობით პრეზიდენტის ოჯახი პირდაპირ არის დაკავშირებული უცხოურ კაპიტალთან. დეპუტატი ამას ქვეყნის უსაფრთხოებისათვის პირდაპირ საშიშროებად მიიჩნევს.

პრეზიდენტის დედა – თურქოლოგი-წყاროთმცოდნე – **„ვარდების რევოლუციამდე“** რიგითი პროფესორი გახლდათ, მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ ლობირებდა თურქულ-ქართული უნივერსიტეტის შექმნას. 16 საგანმანათლებლო დაწესებულება გიული ალასანიას მფლობელობაში მას შემდეგ გადავიდა, რაც მისი შვილი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. მათ შორის – დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი, თბილისის სკოლა-ლიცეუმი **„სხივი“**, ბათუმის რ. შაჰინის სახ. დაწყებითი სკოლა, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებითი სკოლა, რუსთაველის სახელობის ხელოვნების დაწყებითი სკოლა რუსთავში, ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი, დემირელის სახელობის კოლეჯი, ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა, ბათუმის რ. შაჰინის სახ. დაწყებითი ლიცეუმი, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი, რუსთაველის სახელობის ლიცეუმი რუსთავში, მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი მარნეულში.

ინვესტიციების თემით იმდენად ხშირად სპეკულირებენ, რომ უცხოელი ინვესტორის წინააღმდეგ გამოსვლა ლამის დანაშაულად მიიჩნევა, მაგრამ თურქული მხარის ასეთი ინტერესი განათლების სისტემის მიმართ დამაფიქრებელია, თუკი გავიხსენებთ, რომ აჭარაში თურქული კომპანიები სამუშაოზე მხოლოდ თურქული ენის მცოდნეებს იღებენ, ამასწინათ კი თურქმა ინვესტორმა კონკურსში გამარჯვებულ ქალს სამსახურზე უარი მხოლოდ იმ მიზეზით უთხრა, რომ მას რამდენიმე წელი საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში ჰქონდა ნამუშევარი!

კიდევ უფრო აბსურდული სიტუაცია შეიქმნა თელავში მეფე ერეკლე მეორეს სასახლის კომპლექსის ირგვლივ. ერეკლეს მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა თენგიზ ალდამიძემ ერთხელ უკვე გადაარჩინა გაყიდვას საქართველოს უკანასკნელი მეფის საფლავი, და სწორედ ამის შემდეგ დაკარგა სამსახური. ახლა კი მან გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეაბილიტაციის პროცესში არქიტექტურაში გეგმაზომიერად ნადგურდება რუსული კვალი, მის ადგილს კი სპარსული სტილის ნაგებობები იკავებს. მაგრამ მუზეუმის ყოფილი დირექტორის აზრით, ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ მათში ყაჯართა ეპოქის ეთნოგრაფიული და კულტურული ექსპონატები განთავსდება. ყაჯარების დინასტიის ფუძემდებელი კი საქართველოს ერთ-ერთი საძულველი დამპყრობელი აღა-მაჰმად-ხანი გახლდათ (1796-1828). სწორედ მას ებრძოდა მეფე ერეკლე.

თენგიზ ალდამიძე: „პროექტი, რომლითაც რეაბილიტაციის ჩატარებას აპირებენ, ერეკლეს სასახლის რესტავრირებულ პირველ სართულს ამახინჯებს. პროექტი ითვალისწინებს რუსული არქიტექტურის ტიპის სამსართულიანი კაპიტალური შენობის დანგრევას, რომელიც, სხვათაშორის, ქართველებმა ააშენეს, და რომელშიც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპოზიცია არის განთავსებული. აქ მე-19 საუკუნეში საშუალო განათლების კერა იყო – წმ. ნინოს სასწავლებელი, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივ განათლებაში. პროექტში სპარსული ტიპის კოშკი გაჩნდა. ეს, ალბათ, წმ. ნინოს სასწავლებლის კიბის უჯრედის ნარჩენია, რომელიც აგურით უნდა მოაპირკეთონ და სპარსული იერი მისცენ. აბსოლუტურად იცვლება არქიტექტურული ანსამბლის შინაარსი – ქრება რუსული არქიტექტურული კვალი. რუსული სტილის ორი შენობიდან ერთი – მემორიალური – დაინგრევა, ხოლო მეორე მთლიანად შეიცვლება“. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მსოფლიო ბანკს რეაბილიტაციის პროექტი ჯერ არ დაუმტკიცებია, სააკაშვილმა კი უკვე მოაწყო მისი პრეზენტაცია და სამუშაო დაწყებულია.

ერთი სიტყვით, საქართველო თითქოს იმ ეპოქაში ბრუნდება, როდესაც ქვეყანა გავლენის ორ – ოსმალურ და სპარსულ – სფეროდ იყო გაყოფილი. საქართველოს ისტორიიდან ყოველივე რუსულის ამოშლით სააკაშვილის რეჟიმი დასავლეთისკენ კი არ მიდის (ევროპა იქნება ეს თუ აშშ), არამედ ძვეყანას იმ წარსულში აბრუნებს, რომელსაც დასავლეთთან საერთო არაფერი ჰქონდა. რუსეთის, როგორც ოკუპანტის, რაც შეიძლება მტკივნეულად დანესტვრის სურვილით ის ფართოდ უღებს კარს თურქეთსა და ირანს. მათი გავლენა სულ უფრო საგრძნობი ხდება არა მარტო გარეუბნებში, არამედ დედაქალაქშიც. სააკაშვილის მიერ პომპეზურად წარდგენილი ყოფილი პლეხანოვის გამზირი (90-იან წლებში მას დავით აღმაშენებლის გამზირი დაერქვა) თურქული რესტორნებით, მაღაზიებითა და ბანკებით არის სავსე. თითქოსდა ისტორიული წარსულის ჯიბრზე დავით აღმაშენებლის სახელს, პრაქტიკულად, თურქულ კვარტალად გადაქცეული, წარსულში სავსებით ევროპული თბილისური გამზირი ატარებს. ხოლო წარწერები, რომლებიც საბჭოთა დროს ორ ენაზე – ქართულად და რუსულად, კეთდებოდა, ახლა თურქულითა და ინგლისურით შეცვალეს და სამოქალაქო აქტივისტებს ბრძოლა უწევთ იმისათვის, რომ ქართული დასახელებები უცხოურზე ნაკლები ზომის არ იყოს.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების დროს, ის იყო, ერთმა დეპუტატმა ელიტარული კორუფციის შესახებ თქვა რაღაც, რომ სააკაშვილმა მას იქვე შეაწყვეტინა და დიდხანს აცივდებოდა, კონკრეტული გვარები დაასახელეო. დეპუტატი გაჩუმდა. წელს პარლამენტის ტრიბუნიდან უკვე ორმა დეპუტატმა ილაპარაკა ღიად სააკაშვილის გარემოცვაში კორუფციის შესახებ, ასე საჯაროდ პირველად გაისმა ინფორმაცია პრეზიდენტის დედის – გიული ალასანიას, შესახებაც.

„გიულჩატაი სახეს აჩენს!“

P.S. 23 მარტს გამოქვეყნდა მარკეტინგული კომპანია „ACT“-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვის მიხედვით, საქართველოში რუსული ენა ჯერ კიდევ წამყვანია უცხო ენებს შორის.

გამოკითხულ თბილისელთა 96,3 პროცენტმა განაცხადა, რომ ამა თუ იმ დონეზე იცის რუსული, მათგან 36 პროცენტი რუსულ ენას სრულყოფილად ფლობს, 29% – კარგად, 28% – საშუალოდ, 3% – დაწყებით დონეზე, ხოლო სრულიად არ იცის 4 პროცენტმა.

რაც შეეხება ინგლისურ ენას, გამოკითხულთა 34 პროცენტმა ის საერთოდ არ იცის, 7% სრულყოფილად ფლობს, 13% – კარგად, 28% – საშუალოდ, 17% – დაწყებით დონეზე.

ასაკობრივ ჭრილში მკაფიოდ ჩანს პრიორიტეტების შეცვლის ტენდენცია. 18-24 წლის ასაკის გამოკითხულთა 19% აცხადებს, რომ ინგლისური ენა სრულყოფილად იცის, მაშინ, როდესაც 45 წელზე უფროს გამოკითხულთა შორის ამას მხოლოდ 3% პასუხობს.

გამოკითხვა თბილისში 2012 წლის თებერვალში ჩატარდა. გამოიკითხა 400 რესპონდენტი. სტატისტიკური ცდომილება 4,8%-ს არ აღემატება.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

საქართველო ევროპის ერთა თასის გამარჯვებულია!

9 ივნისს, **„ავჭალის სარაგბო სტადიონზე“** საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო მატჩში უკრაინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა და ანგარიშით 33:3 დაამარცხა, რითაც 2012 წლის ერთა თასის გამარჯვებული ზედიზედ მეორედ გახდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი მილტონ ჰეიგის გუნდის უპირატესობით წარიმართა. უკვე შეხვედრის მე-5 წუთზე, მას შემდეგ, რაც უკრაინელებმა ბურთი ხელში ვერ შეიმაგრეს, ჩვენი ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ, 18 წლის მერაბ შარიქაძემ უკრაინელთა ჩათვლის მოედანში ლელო დადო.

რეალიზაცია ირაკლი ყიასაშვილმა ზუსტად შეასრულა და საქართველოს ნაკრები 7:0 დაწინაურდა.

უკრაინელებს ანგარიშის შემცირება საჯარიმო დარტყმით მალევე შეეძლოთ, თუმცა შანსი ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ, 35-ე წუთზე კვლავ მასპინძლებმა შეძლეს ლელოს დადება. მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ უკრაინელთა დამწუხრება ვახტანგ მაისურაძემ შეძლო, ყიასაშვილმა კი კვლავაც ზუსტად გარდასახა – 14:0.

39-ე წუთზე საქართველოს ნაკრებს მესამე ლელოს დადებაც შეეძლო, თუმცა ლექსო გუგავას კარგ შეტევას წინ უკრაინელები დროულად აღუდგნენ და შანსი გამოუყენებელი დარჩა.

მეორე ტაიმში ჩვენმა ნაკრებმა აქტიურად დაიწყო და უკვე 44-ე წუთზე ვახტანგ მაისურაძემ ამ შეხვედრაში მესამე, საქართველოს ნაკრების ისტორიაში კი საიუბილეო – მეოთხასე ლელო დადო. ყიასაშვილმა ზუსტად გარდასახა და ანგარიში 21:0 გახდა.

ერთადერთი, რასაც სტუმრები ამ თამაშიდან გამორჩნენ, 3 ქულა იყო, ამის შემდეგ კი ირაკლი მაჩხანელმა ორჯერ – 51-ე და 79-ე წუთებზე დალაშქრა უკრაინელთა ჩათვლის მოედანი. ყიასაშვილმა ორიდან ერთი რეალიზაცია გამოიყენა და საბოლოო ანგარიში 33:3 დაფიქსირდა.

ამ მართლაც შესანიშნავი გამარჯვებით საქართველოს რაგბისტთა ნაკრები გუნდი ევროპის ერთა თასის გამარჯვებული უკვე მეხუთედ გახდა, ამ თამაშში ჩვენი ნაკრების კაპიტანმა ირაკლი აბუსერიძემ კი თავისი მე-80-ცე კეპი მოიხვეჭა.

„ბორჯღალოსნები“ 10 ივნისს ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავრებიან, სადაც ორ ტესტ-მატჩს გამართავენ აშშ-ისა და კანადის ნაკრებებთან.

09.06. 17:00 სთ. ერთა თასი. ავჭალის სარაგბო სტადიონი.

საქართველო-უკრაინა 33:3

საქართველო: 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. მერაბ შარიქაძე, 12. ლაშა მალაღურაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. რევაზ ბელქანია, 3. ირაკლი მირცხულავა, 4. ვახტანგ მაისურაძე, 5. ბაჩუკი გუჯარაიძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გიორგი თხილაიშვილი, 8. ზვიად მაისურაძე.

16. შალვა მამუკაშვილი, 17. დავით ზირაქაშვილი, 18. ბექა ბიწაძე, 19. გიორგი კალმახელიძე, 20. გიორგი ბეგაძე, 21. დავით კაჭარავა, 22. ბექა წიკლაური.

უკრაინა: 15. ვიტალი კრასნოდემსკი, 14. სერგეი მონსრირიოვი, 13. ვიაჩესლავ პნამარენკო, 12. პავლე მასიუკოვი, 11. მაქსიმ კრავჩენკო, 10. მიკოლა დელეგირიოვი, 9. ზურაბ კიკაჩეიშვილი. 1. ოლეგ ლიტვინენკო, 2. მიკოლა კირსანოვი, 3. ევგენი ჩაიკა, 4. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 5. ოლექსანდრ ცარენკო, 6. დიმიტრი ფედიშინი, 7. ვიტალი ორლოვი, 8. ჯაბა მალაღურაძე.

16. სერგეი სუხიხ, 17. ოლექსანდრ პოლიანსკი, 18. ვიტალი კრამარენკო, 19. ოლექსანდრ ცისისი, 20. მიროსლავ შულიაკი, 21. არტიომ კულიკი, 22. სერგეი ერმოლენკო.

დავით სირაძე: საქართველოში მხოლოდ თბილისის "დინამოში" ვითამაშებ!

ადრეც ვწერდით, რომ დავით სირაძემ ნალჩიკის **„სპარტაკთან“** მოქმედი კონტრაქტი გაწყვიტა, თავისუფალი აგენტი გახდა და ამ სტატუსის გამო მისით არაერთი კლუბი დაინტერესდა (იხილეთ ვრცლად).

30 წლის თავდამსხმელის გადაბირება საქართველოს ჩემპიონატის ლამის ყველა ლიდერს სურს – თბილისის **„დინამოს“**, ქუთაისის **„ტორპედოს“**, **„ზესტაფონსა“** და გორის **„დილას“**.

თავად სირაძემ ამ ყველაფერზე პოზიცია პირველად **„ლელოსთან“** დააფიქსირა და თქვა, რომ მოლაპარაკებას მხოლოდ **„დინამოსთან“** დაიწყებს:

„უკვე საკმაოდ ბევრი აგენტი დამიკავშირდა. ისინი უკრაინულ, გერმანულ, ავსტრიულ, აზერბაიჯანულ კლუბებში მოწყობას მთავაზობენ, მაგრამ სანამ თავად კლუბები არ დამიკავშირდებიან, მანამდე კლუბებს არ დავასახელებ.

რაც შეეხება საქართველოში დაბრუნებას: ძალიან მესიამოვნა კლუბების დაინტერესება, მაგრამ აქ მხოლოდ თბილისის „დინამოში“ ვითამაშებ. იქაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავალ, თუ ნორმალურ პირობებს შემომთავაზებენ.

მგონი, არავის გაუკვირდება, რასაც ახლა ვიტყვი – მე ისეთ ასაკში ვარ, რომ კარიერის შემდგომი ცხოვრებისთვის უნდა მოვემზადო.

ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა, შემდგომი ცხოვრება კი – გაურკვეველი და საფუძველი წინასწარ უნდა ჩაყარო“.

P.S. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ფეხბურთელი დავით სირაძე და თბილისის **„დინამო“** ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ.

იუმორი

– დანაშაულს თუ ადიარებ, ექვს თვეს მოგცემენ.

– თვეში ხუთი ათას ლარს აძლევს, ხო, ბიძინა პოლიტპატიმრებს? არ ყოფნის ჩემს ვალებს 6 თვე, იქნებ ერთი მაგდენი დაამატებინო პროკურორს.

***

მიხოს ეკითხება შვილი:

– მამი, კავკასიონი სად არის?

– დედაშენს ჰკითხე, მე რა ვიცი, სად რას ინახავს...

***

– სად ბრძანდებოდი, ვაჟბატონო? - ეკითხება მიხოს გაბრაზებული ცოლი.

– სად უნდა ვყოფილიყავი, დედაკაცო?

– წედან დაგინახე, ღვინის სარდაფიდან ამოდიოდი.

– მაშ, სულ იქ ხო არ ვიჯდებოდი?

***

არეულობა – ესაა ერთადერთი, რასაც ყველაზე ორგანიზებულად ვაწყობთ

***

მოსამართლე ბრალდებულს:

– თქვენ მიიჩნევით ბრალდებულად თაღლითობაში. თქვენ უკვდავების წამლის გამყიდველად ასაღებდით თავს. ხართ თუ არა შემჩნეულნი ადრე რაიმე დანაშაულში?

– დიახ, თქვენო ღირსებავ. 1161; 1487; 1631 და 1878 წლებში.

***

სვანი მამა და შვილი ქუჩაში მიდიან. უცებ სვანი ბავშვი გაჩერდება და პირჯვარს გადაიწერს. სვანი მამა თავში ჩასცხებს და ეტყვის: რამდენჯერ უნდა გითხრა აფთიაქებთან პირჯვარს ნუ იწერ მეთქი!

კახა ბექაური: ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მე-9 არხი არ შედგეს

ტელეკომპანია **„მე-9 არხის“** გენერალური დირექტორი კახა ბექაური უკანასკნელ პერიოდში მის მაუწყებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობს და აცხადებს, რომ **„ნაციონალური“** ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ არხი არ შედგეს.

ამას წინათ, თბილისის სასტუმრო **„ქორთიარდ მარიოტში“** გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც მის გარდა კომპანია **„გლობალ ტვ“**-ის ხელმძღვანელობა და ტელეკომპანია **„პირველი სტერეოსა“** და **„სტერეო +“**-ის დამფუძნებელი დავით ზილფიმიანიც ესწრებოდნენ, კახა ბექაურმა განაცხადა, რომ სხვა დაბრკოლებებთან ერთად, ტელეკომპანიას პრობლემები ექმნება რეგიონული ბიუროების გახსნის პროცესშიც, რადგან ოფისების მათთვის მიქირავებაზე საქართველოს ბანდიტური ხელისუფლებისაგან უზომოდ დაშინებული მეპატრონეები დიდწილად უარს ამბობენ. მან იქვე დასძინა, რომ ტელევიზიაში ამ დრომდე ვერ მოხერხდა ოპტიკური ინტერნეტის შეყვანა, რადგან არცერთმა ინტერნეტპროვაიდერმა, ვისაც ამის გაკეთების კომპეტენცია აქვს, **„მე-9 არხს“** ეს მომსახურება არ გაუწია.

ამასთან, ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის განმარტებით, პრობლემები შეექმნა ყველა კომპანიას, რომელმაც **„მე-9 არხთან“** რაიმე ფორმით თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

მოკლედ, სააკაშვილი და მისი ბანდიტები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ქართველი ხალხი ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფონ.

ათასწლოვანი „წვიმა“ დედამიწაზე

პალეონტოლოგებმა დინოზავრების ნამარხებს მიაკვლიეს, რომლებიც, მეცნიერთა მტკიცებით, 65 მილიონი წლის წინ, მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად მათი განადგურების ვერსიას ადასტურებს.

მეტეორიტის ჩამოვარდნის ჰიპოთეზა პირველად 1980 წელს დადასტურდა, როდესაც მეცნიერებმა 65 მილიონი წლის, ირიდიუმით მდიდარი გეოლოგიური ფენა აღმოაჩინეს. ამ ელემენტს მრავალი ციური სხეული შეიცავს. მოგვიანებით კი აღმოაჩინეს კრატერი ჩიკსულუბი, რომელმაც მეცნიერებს საშუალება მისცა დაედასტურებინათ, რომ ცარცული პერიოდის ბოლოს დედამიწას ასტეროიდი შეეჯახა.

აშშ-ში, მონტანას შტატში მეცნიერებმა დინოზავრის ერთადერთ ძვალს, რქის ნაწილს მიაკვლიეს, რომელიც სავარაუდოდ ტრიცერატოპსს ან ტირანოზავრს ეკუთვნის და 45 სანტიმეტრია. მას ცარცულ-პალეოგენური საზღვრიდან სულ რაღაც 13 სანტიმეტრით ქვემოთ მიაკვლიეს. კვლევამ დაადასტურა, რომ მეტეორიტის ჩამოვარდნამდე დინოზავრები **„თავს მშვენივრად გრძნობდნენ“**.

ახალ თეორიას მეცნიერთა ნაწილი უკვე აკრიტიკებს. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ შრომის ავტორებს ძვლის ერთადერთ ნატეხზე დაყრდნობით **„შორს მიმავალი“** დასკვნები გამოაქვთ. თუმცა იმაზე, რომ დინოზავრები მეტეორიტების თავს დამტყდარმა წვიმამ გადააშენა, მეცნიერები ერთი წლის წინაც საუბრობდნენ. შარშან, ივნისში ბრიტანელმა მეცნიერებმა კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს, რომ **„დინოზავრები 65 მილიონი წლის წინ მეტეორიტების წვიმის მთელი სერიების გამო გადაშენდნენ, რომლებიც ჩვენს პლანეტას ათასი წლის განმავლობაში უწყვეტად ბომბავდნენ“**.

უფრო ადრე მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა დაასკვნა, რომ დინოზავრების დაღუპვის მიზეზი იყო უზარმაზარი ასტეროიდის დარტყმა, რომლის ენერგია მილიარდჯერ აღემატებოდა ჰიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბის ენერგიას. სწორედ ამ დარტყმის შედეგად გაჩნდა კრატერი ჩიკსულუბი, რომელიც მექსიკის ნახევარკუნძულ იუკატანზე მდებარეობს და რომლის დიამეტრი 15 კილომეტრია. მეცნიერთა ვარაუდით, ჩამოვარდა 10 კმ დიამეტრის მეტეორიტი და გრუნტი 12 კმ-ის სიღრმემდე ჩაანგრია.

კიდევ ერთი მეტეორიტის დარტყმის კვალმა, რომელმაც ბოლტიშის კრატერი წარმოქმნა, მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ დინოზავრების გადაშენებას ხელი შეუწყო მეტეორიტების ჩამოცვენის სერიამ. ბოლტიშის კრატერი, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე 2002 წელს აღმოაჩინეს, ჩიკსულუბის კრატერზე რამდენიმე ათასი წლით ადრე წარმოიქმნა.



ISSN 1987-8966 ილორი

9 771987 896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge